

შინაარსი

შესავალი -----	4
თავი I. სახელი ქართულში. სახელის სწავლებასთან დაკავშირებული სირთულეები და სტრატეგიები არაქართულენოვან ჯგუფებში	
§1. სახელის რაობა და გრამატიკის სწავლების ზოგიერთი საკითხი -----	10
§2. მეორე ენის სწავლების მეთოდოლოგია და თანამედროვე ტენდენციები -----	16
§3. არსებითი სახელი ქართულში და მისი სწავლების სტრატეგიები არაქართულენოვან ჯგუფებში -----	20
3.1. არსებითი სახელის შინაარსობრივი ჯგუფები-----	21
3.1.1. ვინ და რა ოპოზიცია-----	21
3.1.2. სულიერი - უსულო -----	22
3.1.3. კონკრეტული – აბსტრაქტული-----	24
3.1.4. საკუთარი – საზოგადო-----	24
3.1.5. კრებითი სახელები-----	28
3.1.6. ნივთიერებათა სახელები-----	29
3.1.7. მოქმედებათა სახელები-----	29
3.2. არსებითი სახელი წარმოების მიხედვით-----	30
3.3. არსებითი სახელის სწავლების პრაქტიკული საკითხები არაქართულენოვან ჯგუფებში -----	31
§4. ზედსართავი სახელი ქართულში და მისი სწავლების სტრატეგიები არაქართულენოვან ჯგუფებში -----	40
4.1.1. ვითარებითი ზედსართავი სახელები-----	40
4.1.2. მიმართებითი ზედსართავი სახელები-----	41
4.2. ზედსართავი სახელის სწავლება არაქართულენოვან ჯგუფებში -----	43
§5. რიცხვითი სახელი ქართულში და მისი სწავლების სტრატეგიები არაქართულენოვან ჯგუფებში-----	48
5.1.1. რაოდენობითი რიცხვითი სახელი-----	48
5.1.2. რიგობითი რიცხვითი სახელი-----	49
5.1.3. წილობითი რიცხვითი სახელი-----	51
5.2. რიცხვითი სახელის სწავლება არაქართულენოვან ჯგუფებში -----	51

§ 6. ნაცვალსახელი ქართულში და მისი სწავლების სტრატეგიები	
არაქართულენოვან ჯგუფებში-----	60
6.1. ნაცვალსახელის რაობა-----	60
6.1.1 პირის ნაცვალსახელი-----	62
6.1.2. ჩვენებითი ნაცვალსახელი -----	63
6.1.3. კითხვითი ნაცვალსახელი -----	64
6.1.4. კუთვნილებითი ნაცვალსახელი -----	64
6.1.5. კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელი -----	65
6.1.6. მიმართებითი ნაცვალსახელი -----	66
6.1.7. განსაზღვრებითი ნაცვალსახელი -----	66
6.1.8. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი -----	66
6.1.9. ურთიერთობითი ნაცვალსახელი -----	66
6.1.10. უარყოფითი ნაცვალსახელი -----	67
თავი II. ბრუნების პრინციპები ქართულში და ბრუნვათა სწავლების საკითხები	
არაქართულენოვან აუდიტორიაში	
§1. ბრუნება და ბრუნების პრინციპები ქართულში -----	68
§ 2. ბრუნვათა სწავლების საკითხისათვის არაქართულენოვან ჯგუფებში-----	71
თავი III .სახელური შესიტყვებანი და მათი სწავლება არაქართულენოვან ჯგუფებში	
§1. შესიტყვების რაობა; სახელური შესიტყვების სახეები -----	86
§2. მსაზღვრელის სწავლების ზოგიერთი საკითხი თურქულენოვან ჯგუფებში -----	89
§ 3. სწავლებისა და შეფასების ელექტრონული სისტემის ზოგიერთი საკითხი -----	95
დასკვნები-----	115
გამოყენებული ლიტერატურა-----	124
დანართი -----	131

შესავალი

მეორე ენის სწავლება და მულტიკულტურული ასპექტების კვლევა თანამედროვე ლინგვისტიკაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და პრობლემური საკითხია. ამ მიმართებით საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ბევრი რამაა შესწავლილი, მაგრამ რიგი საკითხებისა ჯერ კიდევ გადასაჭრელია და მკვლევართა მხრიდან ერთიან მიდგომას საჭიროებს. მულტილინგვური განათლების მიდგომები განსაკუთრებით აქტუალურია ისეთ ქვეყნებში, სადაც ეთნიკური უმცირესობები კომპაქტურად არიან დასახლებულები.

2006 წლიდან განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დაიწყო მთელი რიგი პროექტების განხორციელება რეგიონებში ქართული ენის სწავლების ხარისხის ამაღლების მიმართულებით. პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულები უმაღლესი სასწავლებლები, არასამთავრობო სექტორი, სამეცნიერო ინსტიტუციები. უცხოელ ექსპერტთა ჩართულობით მუშავდებოდა სწავლების სტრატეგიები, ხერხები და მეთოდები.

2010 წლიდან საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ამოქმედდა ქართულ ენაში მომზადების პროგრამები, რომელთა მიზანიც უმცირესობათა წარმომადგენელი აბიტურიენტების მხარდაჭერაა, რათა მათ შეძლონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში არსებული ხარვეზების დაძლევა (სახელმწიფო ენის სწავლა/სწავლების თვალსაზრისით) და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ქართულ ენაზე განათლების მიღება.

მიუხედავად გარკვეული წარმატებებისა, სახელმწიფო ენის სწავლების მხრივ ჯერ კიდევ მიმდინარეობს ერთიანი ხედვის, მიდგომის შემუშავების რთული პროცესი, რაც საგანმანათლებლო სისტემის ყველა დონეზე (სკოლამდელი, ზოგადსაგანმანათლებლო, უმაღლესი...) მდგომარეობის გამოსწორებას ისახავს მიზნად.

უკანასკნელ პერიოდში ქართულის, როგორც მეორე ენის, შესწავლის მიმართ ინტერესი მნიშვნელოვნად გაიზარდა. ქვეყნის არაქართველი მოსახლეობის მისწრაფება სახელმწიფო ენის დაუფლებისკენ ბუნებრივი პროცესია და იგი რეგულირდება სახელმწიფოს (განათლების სისტემის) მიერ. თანამედროვე სასწავლო

პროგრამებში გათვალისწინებულია ენის შესწავლის არსებითი კომპონენტები და საფეხურები, თავისი მეთოდოლოგიით და სწავლების სტრატეგიებით.

ქართული არის საქართველოს სახელმწიფო ენა, ანუ შიდა მიმოქცევის ენა. გარდა ამისა, მისი დაუფლება მახლობელ თუ შორეულ ქვეყნებში მცხოვრები მრავალი მოქალაქის ინტერესის საგანია. განსხვავებულია მიზნობრივი ჯგუფებიც, რომელთა შორის შეიძლება დავასახელოთ: ა) საქართველოში განათლების მიღების მსურველები; ბ) უცხოეთის მოქალაქეები, რომელთა ბიზნესინტერესებიც საქართველოს უკავშირდება; გ) თურქეთში მცხოვრები ქართველები, რომელთაც მხოლოდ მე-20 საუკუნის ბოლოდან მიეცათ ისტორიულ სამშობლოსთან ურთიერთობის საშუალება (თურქეთის სხვადასხვა რეგიონში დასახლებული ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლები); დ) თურქეთის იმ უნივერსიტეტების სტუდენტები, სადაც ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობები ფუნქციონირებს (ყარსი, არდაჰანი, დუზჯე, რიზე). ქართული ენის შესწავლის მსურველები განსხვავდებიან ერთმანეთისგან ასაკით, მოტივაციით, ინტერესთა დიაპაზონით... აღარაფერს ვამბობთ შესაძლებლობებზე, ნიჭსა და უნარებზე. ბუნებრივია, ეს გარემოებები გასათვალისწინებელია კონკრეტულ ჯგუფში მუშაობისა და სასწავლო პროცესის დაგეგმვის დროს.

საკვალიფიკაციო ნაშრომის თემის აქტუალობას განაპირობებს უპირველესად ის, რომ უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა ინტერესი ქართულის, როგორც უცხო ენის, მიმართ. ენის შესწავლა, ცოდნის გაღრმავება, საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების: მოსმენის, ზეპირმეტყველების, კითხვის, წერის ინტერესების განვითარება გულისხმობს ენასთან დაკავშირებული ყველა კომპონენტის გათვალისწინებას. მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სწორედ სახელთა სწავლებაა. თუ გავითვალისწინებთ თანამედროვე საზოგადოებაში მიმდინარე სოციოკულტურულ სტერეოტიპთა მნიშვნელოვან ცვლილებებს, ლოგიკურია მისწრაფება სწავლებისა და სწავლის ახლებურად ორიენტირებული მეთოდებისკენ, რომლებიც მეორე ენის ათვისებისა და დაუფლების ტენდენციებს შეესაბამება და პრაქტიკულად ღირებულ შედეგებსაც მოგვცემს.

ამრიგად, ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენს ქართული ენის სწავლება, უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, სახელების სწავლება არაქართულენოვან ჯგუფებში.

სწორედ ეს განაპირობებს მიზნებისა და დასმული ამოცანების შინაარსსაც. ბუნებრივია, ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლებისა თუ შესწავლისას მრავალი პრობლემა იჩენს თავს. ენის შესწავლა რთული პროცესია და რაც შეეხება არაქართულენოვან ჯგუფებში სახელების სწავლებას, იგი ამ პროცესის ერთი ნაწილია, ისეთივე მნიშვნელოვანი, როგორც სხვა კომპონენტები. იგი გულისხმობს არსებული კვლევების ანალიზისა და ექსპერიმენტით მიღებული შედეგების საფუძველზე მსმენელზე ორიენტირებული ტექნოლოგიების გამოყენებას, ასევე, ახლის შემუშავებას და დანერგვას, ეს კი ხელს შეუწყობს ქართული ენის სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, ისე უმაღლეს სასწავლებლებში თუ კერძო სტრუქტურებში.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სახელთა რაობასთან დაკავშირებულ საკითხებს (და, ასევე, სხვა, ასე ვთქვათ, ქრესტომათიულ თემებს), ნაშრომის ზოგიერთ მონაკვეთში შედარებით ფართოდ ვეხებით რამდენიმე მიზეზის გამო. ჯერ ერთი, ნაშრომის კომპოზიციას განაპირობებს, უპირველესად, მიზანი, რაც ასახულია საანალიზო თემის სათაურშიც: „სახელი ქართულში და მისი სწავლება არაქართულენოვან ჯგუფებში“, მეორეც, სახელთა რაობასთან დაკავშირებული დეტალები უშუალოდ უკავშირდება სწავლების სტრატეგიებს, ანუ ამ საკითხებს ერთგვარად მოვნიშნავთ, როგორც მასალას სწავლების სტრატეგიების უზრუნველყოფისათვის, ანუ იმ არსებით საკითხებს, რომლებზეც უნდა გამახვილდეს ყურადღება სასწავლო პროცესის და მასში სხვადასხვა აქტივობის დაგეგმვის დროს.

ნაშრომის სამეცნიერო ბაზას წარმოადგენს მეორე ენის სწავლებასთან დაკავშირებული უკანასკნელი წლების ქართული და უცხოური კვლევების შედეგები. პრაქტიკული მუშაობის პარალელურად გავეცანით სამეცნიერო ლიტერატურას, სათანადო წყაროებს, მეორე ენის სწავლებაში ჩართული მკვლევრების, პრაქტიკოსი მასწავლებლების, მეთოდისტების გამოცდილებას. აღვნიშნავთ მ. ოძელის, კ. გაბუნias, ნ. დობორჯგინიძის, ზ. ბაღაშვილის, ქ. გოჩიტაშვილის, მ. კიკვაძის, თ. კილურაძის, მ. ინასარიძის, მ. მელიქიძის, მ. ნაჭყებias, ჭ. ქირიას, ე. ქუთათელაძის, თ. ჯაყელის, მ. ხუციშვილის და სხვათა პუბლიკაციებს, თეორიულ ნაშრომებს და სახელმძღვანელოებს, რომლებიც, არსებითად, ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების ახალ ეტაპს წარმოაჩენს. ჩვენ თითოეული მათგანის

შეხედულებებს გავეცანით, ბევრიც გავიზიარეთ, მაგრამ არაქართულენოვანებთან მუშაობის პროცესში ბევრი რამ თავად შევისწავლეთ, გავაანალიზეთ, რაც გამოვიყენეთ კიდევ სწავლების პროცესში.

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას სამეცნიერო ლიტერატურისა და ინტერნეტ-რესურსების მოძიება-დახარისხებასთან, შესწავლასა და კრიტიკულ ანალიზთან ერთად გამოვიყენეთ შედარებითი ანალიზისა და დაკვირვების მეთოდები, ასევე, პედაგოგიური ექსპერიმენტი; ეს უკანასკნელი გულისხმობს ინოვაციურ პროექტს სწავლება-შეფასების სტრატეგიაში და მასთან დაკავშირებულ კვლევებს. ჩვენ მიერ ჩატარებულ კვლევებში მონაწილეობა მიიღეს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა, რომლებიც ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო და მოკლევადიანი პროგრამების ფარგლებში სწავლობენ ქართულ ენას. კვლევა ჩატარდა აგრეთვე თურქეთში რიზეს რეჯეფ ტაიფ ერდოღანის უნივერსიტეტში ახლადგახსნილი ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობის პირველ კურსზე, სადაც სტუდენტები ერთი წლის განმავლობაში ეუფლებიან ქართულ ენას. კვლევა განხორციელდა კომპიუტერული სისტემა – „Kiber – 1“-ის ბაზაზე. კვლევის შედეგების შესახებ ფართოდ ვსაუბრობთ ნაშრომის ძირითად ნაწილში. სანდოობისთვის წარმოდგენილია კვლევის შედეგების ამსახველი ცხრილები და ძირითადი დასკვნები.

ზემოთქმული გულისხმობს აგრეთვე, რომ ნაშრომში გამოყენებულია აღწერითი მეთოდი უცხო ენის სწავლებაში არსებული თანამედროვე მეთოდებისა და ელექტრონული სასწავლო პლატფორმების გასაცნობად სტრუქტურულ, ფუნქციონალურ და ინტერაქტიულ მიდგომებთან კავშირში. გამოყენებულია პრაგმატული მიდგომა, კერძოდ, სხვადასხვა მკვლევრის მოსაზრებებისა და მიდგომების კომბინაცია საკუთარი მოსაზრების ფორმირების პროცესში.

ნაშრომში, სასწავლო მასალის განხილვისას, სურათის სისრულისა და შედარებითი ანალიზისთვის, ქართულის პარალელურად, მოხმობილია მაგალითები თურქული, ინგლისური და უკრაინული ენებიდან. შესაბამისად, გათვალისწინებულია ქართული ენის შემსწავლელებთან მუშაობის პრაქტიკა. ეს

არის, ძირითადად, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრუქტურაში მოქმედი „ქართულ ენაში მომზადების ერთწლიან საგამანათლებლო პროგრამაზე (აზერბაიჯანულენოვანთათვის / სომხურენოვანთათვის) ჩარიცხულ სტუდენტებთან და მოკლევადიანი, რვათვიანი მოსამზადებელი პროგრამის „ქართული ენა უცხოელთათვის“ ფარგლებში თურქულენოვან ჯგუფებთან მუშაობის რამდენიმეწლიანი გამოცდილება. ნაშრომის მიზანდასახულობიდან გამომდინარე, გვერდს ვერ ავუვლიდით უცხოენოვან მაგალითებს პარალელური ანალიზისათვის. აღვნიშნავთ იმასაც, რომ თურქულენოვან ჯგუფებთან ყველაზე მეტად გვიწევს მუშაობა, შესაბამისად, სადისერტაციო ნაშრომში შედარებით მეტია თურქულენოვანი მასალა, ხოლო უფრო მწირად – ინგლისურენოვანი და უკრაინულენოვანი მასალა.

წარმოდგენილი ნაშრომის მეცნიერული სიახლეა ის, რომ მონოგრაფიულად არის შესწავლილი სახელის სწავლების საკითხები ქართულის, როგორც მეორე ენის, სასწავლო ჯგუფებში. მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ კვლევისას გამოყენებულია არა მხოლოდ სამეცნიერო და მეთოდური ლიტერატურა, არამედ ბსუ-ს უწყვეტი განათლების ცენტრის ქართული ენის შემსწავლელთა ჯგუფებში პრაქტიკული მუშაობის შედეგები. ხსენებული საქმიანობა კი ეყრდნობოდა სწავლების თანამედროვე მეთოდებს და ინოვაციურ სტრატეგიებს, ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ სამეცნიერო მიმოქცევაში შემოსულია საკმაოდ დიდი მოცულობის მასალა, რაც ამავედროულად, განაპირობებს ნაშრომის თეორიულ და პრაქტიკულ მნიშვნელობას.

კვლევის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას წარმოადგენდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, ბსუ-ს უწყვეტი განათლების ცენტრის აუდიტორიები და კომპიუტერული კლასები, აგრეთვე, მუშაობის გარკვეულ ეტაპზე (კვლევების ჩატარების დროს) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რიზეს რეჯეფ ტაიფ ერდოღანის უნივერსიტეტი.

ნაშრომი შედგება შესავლის, პარაგრაფებად დაყოფილი სამი თავისა და დასკვნებისგან. თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია და დანართი. პირველ თავში ექვსი პარაგრაფია, მეორეში – ორი, მესამეში კი – სამი. ზოგიერთი პარაგრაფი, განსახილველი თემის სპეციფიკიდან გამომდინარე, დაყოფილია

ქვეპარაგრაფებად. დისერტაციაში განხილულია სახელის რაობა ქართულში და მისი სწავლების სტრატეგიები არაქართულენოვან ჯგუფებში; ყურადღება გამახვილებულია ისეთ საკითხებზე, როგორცაა, მეორე ენის სწავლების მეთოდოლოგია და ზოგიერთი თანამედროვე ტენდენცია; ბრუნების პრინციპები ქართულში და ბრუნვითა სწავლების საკითხები არაქართულენოვან აუდიტორიაში; სახელური სიტყვაშეხამებანი და მათი სწავლება არაქართულენოვან ჯგუფებში; მსაზღვრელ-საზღვრულის სწავლების ზოგიერთი საკითხი თურქულენოვან ჯგუფებში; სწავლებისა და შეფასების ელექტრონული სისტემის საკითხები და სხვა.

კვლევის შედეგების, ნაშრომში წარმოდგენილი მოსაზრებებისა და რეკომენდაციების გამოყენება შესაძლებელია ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების პროცესში. იგი დაეხმარება ქართული ენის მასწავლებლებსა და ენის შემსწავლელებს სწავლება/სწავლის პროცესის ეფექტურ წარმართვაში. ასევე, მკვლევრებს განსახილველი მიმართულების ფარგლებში რიგი საკითხების კვლევებისთვის.

თავი I. სახელი ქართულში. სახელის სწავლებასთან დაკავშირებული სირთულეები და სტრატეგიები არაქართულენოვან ჯგუფებში

§1. სახელის რაობა და გრამატიკის სწავლების ზოგიერთი საკითხი

ენაში არსებული სიტყვათა მარაგი – ლექსიკურ ერთეულთა რაოდენობა – განუსაზღვრელია. სიტყვები ერთმანეთისაგან განსხვავდება გრამატიკული (მორფოლოგიური და სინტაქსური), ლექსიკოლოგიური, სემანტიკური თვალსაზრისით. სწორედ ამ ნიშანთა საფუძველზე ხდება სიტყვათა დაჯგუფება კლასებად, რომელთაც მეტყველების ნაწილებს უწოდებენ. ქართულში ტრადიციულად გამოყოფენ ათ მეტყველების ნაწილს. მათგან ოთხის დასახელებაში შედის ტერმინი სახელი:

1. არსებითი სახელი: კაცი, სახლი, ოცნება, დავითი, რიონი...
2. ზედსართავი სახელი: დიდი, პატარა, ქუდიანი, უქუდო...
3. რიცხვითი სახელი: ერთი, ათი, მილიონი, მრავალი, ცოტა...
4. ნაცვალსახელი: მე, შენ, იგი... ყველა, თითოეული...

„ჩამოთვლილი მეტყველების ნაწილებისთვის საერთო გამაერთიანებელი ცნებაა „სახელი“, ხოლო თითოეული კლასის თავისთავადობის წარმომჩენი, განმასხვავებელი ტერმინის პირველი ნაწილი: „არსებითი“, „ზედსართავი“, „რიცხვითი“, „ნაცვალ-“...

ამდენად, შინაარსობრივი თვალსაზრისით, ცნება–ტერმინი „სახელი“ აერთიანებს სრულიად არაერთგვაროვან რამდენიმე ლექსიკურ ჯგუფს (ერთი მხრივ– „საგანი“, მეორე მხრივ – „თვისება“, მესამე მხრივ – რაოდენობა“...). ამ ცნების ქვეშ გაერთიანებული სიტყვები არც ფუნქციონალური თვალსაზრისით არიან ერთგვაროვანნი: არსებითი სახელი უბრალოდ მიემართება აღსანიშნს, ხოლო ნაცვალსახელი, შეიძლება ითქვას, საგნობრივი თვალსაზრისით მხოლოდ სიმბოლური ხასიათისაა.

მაშ რა არის ის, რითაც ცნება „სახელი“ ამ ოთხი კლასის გამაერთიანებელი შინაარსის მატარებელია?

დავუბრუნდეთ ზემოთ დასმულ კითხვას: ცხადია, ის, რის გამოც ცნებები გრამატიკაში (მორფოლოგიაში) არის შემოტანილი ანუ განმსაზღვრელია, არის

გრამატიკული კატეგორიები, რომლებიც მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაციას უდევს საფუძვლად.

უპირველეს ყოვლისა, საერთო (გამაერთიანებელი) ცნება სახელი უნდა დავახასიათოთ იმ გრამატიკული კატეგორიის მიხედვით, რომელიც ასევე საერთო იქნება ამ ცნებით წარმოდგენილი სახელთა ყველა კლასისათვის. ასეთი არის ბრუნება.

ამდენად, სახელად შეიძლება მოვიხსენიოთ ისეთი სიტყვები, რომლებიც განარჩევს ბრუნვებს, ანუ ქმნიან ბრუნების სისტემას (აქ პრინციპული მნიშვნელობისაა ის, რომ ყველა სახელს ახასიათებს ბრუნების კატეგორია, თორემ თვით ბრუნების სისტემა თუ ცალკეული ფორმები შეიძლება ერთგვაროვანი არ იყოს)“ (გოგოლაშვილი, 2011:62).

სახელებისთვის ასევე დამახასიათებელია გრამატიკული რიცხვის კატეგორია; ოღონდაც ეს კატეგორია შინაარსეულად არსებით სახელს მიემართება, ხოლო დანარჩენ მეტყველების ნაწილებზე გადადის იმდენად, რამდენადაც ისინი ან მსაზღვრელის როლში შეეთანხმებიან არსებით სახელს (მთანი მაღალნი, ორნი ძმანი...), ანდა არსებითი სახელის როლს ასრულებენ (ისინი, მათ, რანი...).

ამდენად, ცნება „სახელი“ რამდენიმე ლექსიკურ ჯგუფს აერთიანებს: სახელებში, უპირველეს ყოვლისა, მოიაზრება სიტყვები, რომლებიც გარემომცველი საგნობრივი სამყაროს ნომინაციურ პროექციას ასახავენ. ყოველ საგანსა თუ მოვლენას ენაში აქვს (შეიძლება ჰქონდეს) თავისი სახელი; საგანი მრავალია და მათი სახელების შედეგი, შესაბამისად, მრავალფეროვან სურათს იძლევა; საგნის (ობიექტის) არსებობას საგნის სახელი აფიქსირებს: ამიტომაც ჰქვია ამ კლასის სიტყვებს – „არსებითი სახელი“.

მეორე მხრივ, ცნება „სახელი“ მოიცავს სრულიად განსხვავებული შინაარსის სიტყვებს, იმ სიტყვებს, რომლებიც საგანთა (ობიექტების) ნიშან-თვისებას გამოხატავენ. ნიშან-თვისება ნაირგვარია და შესაბამისი სიტყვებიც მრავალფეროვანი (ისინი შეიძლება ასახავდნენ მატერიალური სინამდვილის სულ სხვადასხვა თვისებას: ფერს, ფორმას, სიდიდეს, წონას, შედგენილობას და მისთ.) ეს სიტყვები ისევე „ახლავს“ არსებით სახელს, როგორც საგანს „ახლავს“ ესა თუ ის თვისება. ამ კლასის სახელებს ჰქვია „ზედსართავი სახელი“.

კიდევ ერთი შინაარსობრივი ჯგუფი სახელებისა არის „რიცხვითი სახელი“. ეს არის საგანთა რაოდენობასთან დაკავშირებული სიტყვები, რომლებიც არსებით სახელთან მიმართების თვალსაზრისით (ანუ ატრიბუტული შინაარსითა და ფუნქციით) უფრო ზედსართავ სახელთა კლასს ეკედლება (გოგოლაშვილი, 2011:63).

კიდევ უფრო განსხვავებულია ენობრივი დანიშნულება იმ განზოგადებული (არაკონკრეტიზებული) შინაარსის სიტყვებისა, რომლებიც არც კონკრეტულ საგნობრივ სემანტიკას შეიცავენ (როგორც არსებითი სახელები) და არც განსაზღვრულ ნიშან-თვისებას გადმოსცემენ (როგორც ზედსართავები), მაგრამ ერთი კლასის სიტყვების ჩანაცვლებაც შეუძლიათ და მეორისაც; ამ „ჩანაცვლებითი“ დანიშნულებიდან გამომდინარე, მათ სუბსტიტუტებსაც უწოდებენ. ამ კლასის სიტყვებს ქართულში აერთიანებს ტერმინი „ნაცვალსახელი“.

ამდენად, გამოიყოფა „სახელთა“ ოთხი ჯგუფი, რომელთა სახელწოდებები მათ საერთოსაც ასახავს და განსხვავებულსაც; სახელდობრ:

ა) არსებითი სახელი – კლასი სრულმნიშვნელოვან სიტყვათა, რომლებიც გარემომცველ საგნებსა და მოვლენებს ასახავენ (მაგ: ძაღლი, ხე, ქვა...);

ბ) ზედსართავი სახელი: სიტყვები, რომლებიც საგანთა თვისებებს გადმოსცემენ (მაგ: ძაღლი, მძიმე, თეთრი...);

გ) რიცხვითი სახელი: სიტყვები, რომლებიც საგანთა რაოდენობრივ აღრიცხვასთან (რაოდენობასთან) არის დაკავშირებული (მაგ: ორი, ასი, ათასი, მეცხრე...);

დ) ნაცვალსახელი – კლასი ისეთი სიტყვებისა, რომელთა დანიშნულებაა დანარჩენი (წინა სამი) ჯგუფის სახელების ჩანაცვლება ფუნქციონირების დონეზე (შენ, იგი, ჩემი, რა, რომელი...) (გოგოლაშვილი, 2011: 64).

ყველა სახელი იბრუნება, ანუ ბრუნებადი სიტყვა, საზოგადოდ, არის სახელი. ამასთან, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი და ნაცვალსახელი – ყველა მიემართება საგანს, არსებით სახელს. ერთი საგნის ნიშან-თვისებას აღნიშნავს, მეორე – რაოდენობას, მესამე – საგანთა ნაცვალია.

არაქართულენოვან ჯგუფებში მუშაობისას, ერთ-ერთ მთავარ პრობლემად სწავლების პროცესში სასწავლო მასალის სწორად შერჩევა და თანმიმდევრული მიწოდება უნდა მივიჩნიოთ. სირთულეს განაპირობებს, უპირველესად, ქართუ-

ლისთვის სპეციფიკური ბრუნვები. ამ შემთხვევაშიც არსებითია ყურადღების გამახვილება ენაზე, როგორც ურთიერთობის საშუალებაზე და, აქედან გამომდინარე, მის პრაქტიკულ ღირებულებაზე.

სასურველია, მასწავლებელი თუ გამოიყენებს თავად შემსწავლელზე ორიენტირებულ სავარჯიშოებს. ისინი აგებული უნდა იყოს შემსწავლელის გამოცდილებაზე, ინტერესებზე, ყოველდღიურ მოღვაწეობაზე. ამრიგად, ყოველი გაკვეთილი უნდა შეიცავდეს:

- ახალ სალექსიკონო ერთეულებს;
- ტექსტს გაბმული მეტყველებისთვის;
- დიალოგებსა და სამეტყველო სიტუაციებს;
- სავარჯიშოთა გარკვეულ ტიპებს (მელიქიძე, 2006:13).

სწავლების პრინციპს, ჩვენ პირობითად, ვუწოდებთ „სპირალის ეფექტს“, რაც გულისხმობს „გამეორებას“ და „გაფართოებას“. ბუნებრივია, „სპირალის ეფექტი“ აუცილებლად გულისხმობს ზემოხსენებულ თანმიმდევრულობას, ანუ ენის შემსწავლელი ყოველ ახალ გაკვეთილზე იმეორებს წინა მასალას და ამატებს ახალს. პრაქტიკა ადასტურებს, რომ ამგვარი სტრატეგია შედეგის მომტანია და არა მხოლოდ სახელების სწავლების დროს.

ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ არაქართულენოვან სასწავლო ჯგუფებში სახელების სწავლების ძირითად საკითხებთან დაკავშირებულ სირთულეებს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ენის შემსწავლელებს არ მიეწოდებათ დეტალური თეორიული მასალა სახელთა სწავლების შესახებ. მხედველობაში გვაქვს, სწავლების პირველი ეტაპისთვის ქართული ენის გრამატიკის სწავლება. აღსანიშნავია ისიც, რომ ქართული ენის შემსწავლელებს მოცემული ეტაპისთვის აქვთ საბაზისო ცოდნა სახელების შესახებ მათს მშობლიურ ენაში. მაგალითად, არსებითი (ზედსართავი, რიცხვითი...) სახელის განმარტება ქართულში იგივეა, რაც მათს მშობლიურ ენაში. ამის გააზრება ახალი ენის შემსწავლელთათვის შეიძლება ოპტიმიზმის საფუძვლადაც იქცეს: ეს ერთგვარად უხსნის შიშს, უხერხულობას, რაც ყოველთვის თან ახლავს მეორე ენის შესწავლას. ამასთან, მათთვის ძალზე მნიშვნელოვანი იქნება, თუ გააცნობიერებენ, რომ თუკი მათ ოდესმე რამე ისწავლეს გრამატიკაში, ეს ყოველთვის გამოადგებათ სხვა ენის შესწავლისას. მაგალითად, „სახლი“ არსებითი

სახელი იქნება თურქულ ენაშიც (Ev), უკრაინულშიც (дів) და ამ სიტყვებს ყველა შემთხვევაში დაესმის კითხვა „რა“? ცხადია, ინტერგაციის პროცესში მნიშვნელოვანია ენათა შესწავლის შეპირისპირებითი მეთოდის უახლეს მიღწევათა გათვალისწინება. თუმცა, მასალა არ უნდა იყოს წმინდა ლინგვისტური ანუ მეცნიერული ხასიათის, არამედ უნდა ჭარბობდეს პოპულარული ხასიათის ინფორმაცია.

პირველ პარაგრაფში განხილული მასალაც ცხადყოფს, რომ მეორე ენის შესწავლის პროცესში გრამატიკის „დოზირების“ შესახებ სპეციალისტთა შორის ერთმნიშვნელოვნად ჩამოყალიბებული დამოკიდებულება არ არსებობს. ზოგს მიაჩნია, რომ გრამატიკის სწავლების გარეშე შეუძლებელია წარმატებული კომუნიკაციის მიღწევა, სხვების აზრით კი, გრამატიკული წესების მიწოდება სწავლების საწყის ეტაპზე სრულიად გაუმართლებელია. ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია კომუნიკაციისთვის აუცილებელი ელემენტარული გრამატიკული წესების მიწოდება ფრაზებით, მოსმენისა და განმეორების საშუალებით.

შესაბამისად, ქართული ენის გრამატიკის სწავლების მეთოდის ამოცანების შესახებ დღემდე არაერთი კითხვა ჩნდება. ამის შესახებ დავიმოწმებთ მოსაზრებებს:

- როგორ უნდა ისწავლებოდეს და კონკრეტულად რა უნდა ისწავლებოდეს: ფუნქციური თუ თეორიული გრამატიკა?
- არის თუ არა საჭირო საერთოდ გრამატიკის სწავლება მეორე ენის დაუფლების დროს?
- როგორ შეიძლება ქართული ენის გრამატიკის სწავლება გრამატიკული კონსტრუქციებისა და წესების გარეშე?
- როგორ ვასწავლოთ გრამატიკა არა გრამატიკის ცოდნისათვის, არამედ იმისათვის, რომ მნიშვნელოვანი გახდეს მისი პრაქტიკული შედეგები; იმისათვის, რომ მივალწიოთ უნარ-ჩვევათა რეალურად კომუნიკაციურ დონეს; როგორია ძირითადი პრინციპები ამ მიმართულებით?
- რა მეთოდები არსებობს სპეციფიკური გრამატიკული მოვლენებისა და კატეგორიების გასაგებად?
- რა უნდა იყოს გრამატიკის შესწავლის პარამეტრები და კრიტერიუმები? და ა. შ. (მელიქიძე, ქირია, 2006: 3).

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, როცა საქმე ეხება მეორე ენის სწავლებას, „გრამატიკის სწავლება კონტექსტშია სასურველი და არა კონტექსტისაგან მოწყვეტილად, რაც საკომუნიკაციო მიზნებს უნდა ემსახურებოდეს. წესებისა და ტერმინების ზეპირად სწავლება არ არის რეკომენდებული. მოსწავლეს საშუალება უნდა მიეცეს დააკვირდეს, ამოიცნოს, გაიაზროს და კონტექსტში გამოიყენოს გრამატიკული თავისებურებები და კონსტრუქციები / მოვლენები. ამისათვის სასურველია: „ასათვისებელ ენობრივ მასალაზე აგებული დიდაქტიზებული ტექსტების მეშვეობით გრამატიკული მასალის სახალისო, ადვილად გასაგებ ზეპირ თუ წერილობით საკომუნიკაციო სიტუაციებში მიწოდება. მრავალფეროვანი აქტივობებისა და სავარჯიშოების შეთავაზება“ (ეროვნული... 2011-2016: 348).

გრამატიკის სწავლებასთან დაკავშირებით მისაღებია ნ. შარაშენიძის მოსაზრებები, რომლებიც საკომუნიკაციოდ აუცილებელი გრამატიკის სწავლებას ეხება: „კომუნიკაციური გრამატიკა ენის გრამატიკული სისტემისადმი თავისებური მიდგომაა. იგი გულისხმობს ისეთი ახალი ქვესისტემის აგებას, რომელიც დაეხმარება ენის შემსწავლელს კომუნიკაციის დამყარებაში. კომუნიკაციურ გრამატიკაში ყოველი კატეგორია განიხილება იმის მიხედვით, რამდენად აქტიური და მნიშვნელოვანია იგი კომუნიკაციის ამა თუ იმ ფორმის დასამყარებლად და აზრის გამოსახატავად.

ქართული ენის გრამატიკული სისტემა მკვეთრად განსხვავდება ინდოევროპული ენებისგან, რაც განსაკუთრებულად ართულებს მის შესწავლას. ამ სირთულეების გამო, ხშირ შემთხვევაში, ენის შემსწავლელს პრობლემები ექმნება, რაც აფერხებს სწავლების პროცესს. სწავლებისადმი სწორი მიდგომა, ეფექტური საშუალებების უხვად გამოყენება, სწორი მეთოდოლოგია, სირთულეების გადანაწილება სწავლების ეტაპებზე, კომუნიკაციური სწავლების პრინციპების გამოყენება, გრამატიკული სისტემის სწორად და გააზრებულად მიწოდება - ყოველივე ეს დაეხმარება პედაგოგებს სწავლების რთული პროცესი ეფექტური და ადვილად დამლევადი გახადოს“ (შარაშენიძე, 2007:3).

ჩვენი აზრით, ენის სწავლების დროს აუცილებელია გაკვეთილები დაიგეგმოს შესასწავლი ენის სტრუქტურის საფუძველზე, ელემენტარული გრამატიკის მიწოდებით მხოლოდ ფრაზებში და არა ისე, როგორც ეს ქართული სკოლის მოსწავლეებისთვის არის წარმოდგენილი სასკოლო გრამატიკის

სახელმძღვანელოებში. სულაც არ არის საჭირო, ვთქვათ, არაქართულენოვანს თავიდანვე მთელი სისრულით მივაწოდოთ მათთვის საკმაოდ რთული სახელთა ბრუნების სისტემა. ასეთი მიდგომა მხოლოდ დაბრკოლებებს შექმნის სწავლების პროცესში, დააბნევს, გაუგებრობისა და უსიამოვნო სირთულის განცდას შეუქმნის შემსწავლელს. ჩვენ ვემხრობით თვალსაზრისს, რომ სასწავლო პროცესი უნდა დაიწყოს იმ ინფორმაციით, რაც თითქოს უკვე ნაცნობია მათთვის ან მეტ-ნაკლებად გასაგებია. დაწყება აუცილებელია უმარტივესი ფორმებით და თანმიმდევრულად, გრადაციით მარტივიდან შედარებით რთულისკენ – შესწავლილი მასალის პერმანენტული გამეორებით. ბუნებრივია, ჩვენ არ ვსაუბრობთ გრამატიკის სრული იგნორირების და მზა ფრაზების დაზეპირების შესახებ, მაგრამ უპირატესობას ვანიჭებთ საკომუნიკაციო პრაქტიკული გრამატიკული ფორმების სწავლებას მხოლოდ და მხოლოდ ფრაზებით, დიალოგებისა და მარტივი ტექსტების ფარგლებში.

§2. მეორე ენის სწავლების მეთოდოლოგია და თანამედროვე ტენდენციები

ადამიანების უმრავლესობამ მთელ მსოფლიოში, სხვადასხვა მიზეზის გამო, ერთზე მეტი ენა იცის. ადამიანები პირველ ენას, თითქმის უგამონაკლისოდ, ძალისხმევის გარეშე სწავლობენ და წარმატებასაც თითქმის ყველა აღწევს. მეორე ენის შესწავლაში გასათვალისწინებელია სხვადასხვა პირობა და პროცესი, ხოლო წარმატება გარანტირებული არ არის. ასევე, გავლენას ახდენს პირველი ენა და ბევრი სხვა ინდივიდუალური და კონტექსტუალური ფაქტორი (ტროიკე, 2016:29). მეორე ენის ათვისება გულისხმობს როგორც ინდივიდების ან ჯგუფების მიერ ენის შესწავლას (შედეგს), ასევე ამ ენის შესწავლის პროცესსაც. ამრიგად, დამატებით ენას მეორე ენა ეწოდება, თუმცა ის შეიძლება იყოს მესამე, მეოთხე ან მეათე. ძალიან ხშირად მას სამიზნე ენასაც უწოდებენ, რაც ნიშნავს ენას, რომლის შესწავლაცაა მიზნად დასახული (ტროიკე, 2016:2).

მრავალი ინდივიდუალური მიზეზი არსებობს, რატომაც სწავლობენ მეორე ან მესამე ენას. ენის შესწავლის ერთ-ერთი მიზეზი კულტურული ცნობიერების ამაღლებაა. ინტერკულტურული მგრძობიანობისა და ცნობიერების განვითარება, სტერეოტიპების მსხვრევა, ხელს უწყობს ინდივიდს გლობალურ სამყაროში

საცხოვრებლად, შესაბამისად მეორე ენის შესწავლა ხშირად ამ მიზეზით ხდება (ბეიკერი, 2010: 128).

საქართველო მრავალენოვანი ქვეყანაა. აქ სხვადასხვა მიზეზთა გამო ყოველთვის იყო მოთხოვნილება ქართულის, როგორც ერთი მხრივ, სახელმწიფო ენის შესწავლისა, და მეორე მხრივ, პიროვნული თუ სოციალური ინტერესებიდან გამომდინარე.

ბილინგვური სწავლების დროს გასათვალისწინებელია ენათა სტრუქტურული თავისებურებანი, რადგან, ბუნებრივია, სხვადასხვა სტრუქტურის ენებში თავს იჩენს საერთო და განსხვავებული ნიშნები, რაც ქმნის გარკვეულ სირთულეებს ენათა სწავლებისას.

ენის შესწავლის პირველი ნაბიჯები სახელებით იწყება. სახელთა სწავლების დროს თავს იჩენს მეთოდოლოგიური პრობლემები. ეს პრობლემები ყველა დროსა და ქვეყანაში აქტუალურია. ევროპისა და ამერიკის მოწინავე ქვეყნებში ბევრი რამ გაკეთდა ამ მიმართულებით. დაიხვეწა სწავლების მეთოდები, ხერხები, შემუშავდა ახალი სტრატეგიები... ქვემოთ, შევეცდებით, ზოგადად და მოკლედ მიმოვიხილოთ უცხო ენის სწავლების მეთოდები, შემდეგ კი შევეხებით სწავლების სტრატეგიასთან დაკავშირებულ ზოგიერთ კონკრეტულ საკითხს.

როგორც სპეციალისტები მიუთითებენ, თანამედროვე ეტაპზე უპირატესობა არ ენიჭება რომელიმე მეთოდს, რადგან არ არსებობს უცხო ენის სწავლების უნივერსალური მეთოდი, რომელიც შეიძლება მიესადაგებოდეს აბსოლუტურად ყველა მიზნობრივ ჯგუფს. ამა თუ იმ მეთოდის წარმატება დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორცაა შემსწავლელის წინარე ცოდნა, კულტურული განსხვავება, განსხვავებები მშობლიურსა და შესასწავლ ენას შორის, შემსწავლელის სწავლის ტრადიცია, ასაკი და სხვ. (კილურამე, ქუთათელაძე, 2013: 5).

ბუნებრივია, ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლება გულისხმობს საზოგადოდ უცხო ენის სწავლების მსოფლიოში ცნობილი და აპრობირებული მეთოდების გამოყენებას. ისიც ნათელია, რომ ყველა შემთხვევაში აუცილებელია სამიზნე ენის სპეციფიკის გათვალისწინება. ნაშრომში სწორედ ამ თვალსაზრისით ვეხებით ქართველი სპეციალისტების გამოცდილებას.

მ. მინდაძე, მაგალითად, განიხილავს ქართული ენის სწავლებისას გრამატიკულ-მთარგმნელობითი, პირდაპირი, აუდიოლინგვური, აუდიოვიზუალური, შერეული და კომუნიკაციური დიდაქტიკის მეთოდების გამოყენების საკითხებს. ამ მეთოდებიდან გამოვყოფთ რამდენიმეს:

პირდაპირი მეთოდი განიხილება როგორც აუდიოლინგვური მეთოდის განვითარების წინა საფეხური. ეს მეთოდი გრამატიკული წესების ათვისების სრულ იგნორირებას ქადაგებდა და აბსოლუტურ უპირატესობას ანიჭებდა სალაპარაკო ენას. ტერმინი „პირდაპირი“ გულისხმობს უცხო ენის ათვისებას მშობლიური ენის, როგორც საშუაშედეგო ენის, გარეშე, რადგან ამ კონცეფციით მშობლიური ენა უცხო ენის ათვისებისთვის ხელისშემშლელ ფაქტორად აღიქმება. პირდაპირი მეთოდის მიმდევრების აზრით, უცხო ენის შესწავლის პროცესი ზუსტად ჰგავს მშობლიური ენის შესწავლის პროცესს... უპირატესობა ენიჭება ყოველდღიურ სასაუბრო ტექსტებსა და მოსმენის უნარ-ჩვევის განვითარებას: მოსმენა და გამეორება ხდება გაკვეთილის ძირითადი ქვაკუთხედი. ენის ათვისება მხოლოდ მიზნობრივ ენაზე მიმდინარეობს. მშობლიური ენის გამოყენების სავარჯიშოების ტიპური ფორმებია: კითხვა-პასუხი, გამეორება, გამოთქმაზე ვარჯიში, გამოტოვებული სიტყვების ჩასმა, დიალოგების გათამაშება ნიმუშის მიხედვით, ლექსების, სიმღერების ზეპირად სწავლა, კარნახი და მოსმენილის მოყოლა.

აუდიოლინგვური მეთოდი გულისხმობს ახალი სასწავლო მასალის შესწავლას ყოველდღიურ სასაუბრო სიტუაციასთან დაკავშირებული დიალოგების თუ სურათების მეშვეობით. ამ მეთოდის მიხედვით გრამატიკული წესების შესწავლა ხდება მაგალითების სახით, ცხრილების თუ სხვა გრაფიკული დამხმარე საშუალებებით. მიუხედავად იმისა, რომ აუდიოლინგვურ მეთოდში გრამატიკა, ერთი შეხედვით, თითქოს არ ისწავლება, სინამდვილეში სასწავლო მასალა (ტექსტები, დიალოგები, თემები, სიტუაციები) მთლიანად გრამატიკის „ფარულ“ პროგრესიას ემსახურება. დიდი ყურადღება ექცევა ფონეტიკასა და გამოთქმას (მინდაძე, 2016: 15).

სრულიად ვეთანხმებით მინდაძის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ენის სწავლებაში მნიშვნელოვანია სამიზნე ჯგუფზე მორგებული ტიპური სავარჯიშოების

გამოყენება, გამოტოვებული ადგილების შევსება, სახელთა სწორი ფორმებით ჩასმა, დიალოგების ზეპირად სწავლა და წყვილებში გათამაშება.

აუდიოვიზუალური მეთოდი აუდიოლინგვური მეთოდის შემდგომი განვითარებაა. ეს მეთოდები ერთმანეთის პარალელურად, მაგრამ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად განვითარდა ამერიკის შეერთებულ შტატებსა (აუდიოლინგვური) და საფრანგეთში (აუდიოვიზუალური). აუდიოვიზუალურ მეთოდში მაქსიმალურად არის გამოყენებული ენის ვიზუალიზაციის საშუალებები: სადაც კი შესაძლებელია, ყველგან სურათების საშუალებით არის გადმოცემული სამეტყველო სიტუაციის შინაარსი. წინ წამოწეულია სურათი, და შემდეგ მიეწოდება შემსწავლელს ინფორმაცია ვერბალური ფორმით (მაგალითად, დიალოგი ჩანაწერის სახით და სხვ.)

აუდიოლინგვურ და აუდიოვიზუალურ მეთოდებს განსაკუთრებით აქტიურად ვიყენებთ ქართული ენის შესწავლისას, კერძოდ, სახელთა სწავლებისას. მოსმენა, გამეორება, ყურადღების რეაქციების გაძლიერება, უკუკავშირი, შეკითხვების დასმა, პასუხების გაცემა და დიალოგში ჩართვა საკომუნიკაციო გრამატიკის შესწავლის აუცილებელი საშუალებებია. ეს მეთოდები უპირატესობას ანიჭებს სასაუბრო ენას. ასევე მნიშვნელოვანია, ენის შემსწავლელებს რამდენად სწორად შევურჩევთ მოსასმენ თუ აღსაწერ მასალას, სასაუბრო თემებს, რამდენად შევძლებთ, გავუძლიეროთ მათ უცხო ენაზე მოსმენის, ლაპარაკის, კითხვისა და წერის უნარ-ჩვევების კომპეტენციები.

მოსმენის უნარ-ჩვევას ყველაზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ენის ათვისების საწყის ეტაპზე. მოსმენით ხორციელდება გაგება, ინფორმაციის აღქმა და გადაცემა, აზრის გამოხატვა, დასაბუთება და სხვა. ყოველივე ეს საკომუნიკაციო სტრატეგიებია, რასაც კარგად ვიყენებთ დიალოგებში, მარტივ ტექსტებში. ამდენად, აუცილებელია თითოეულ მათგანში სახელები ფონეტიკურად და გრამატიკულად გამართული იყოს.

ქართული ენის შემსწავლებლებს საწყის ეტაპზე ყველაზე მეტად უჭირთ გაბმულ მეტყველებაში სიტყვათა სწორი ფორმით გამოყენება. მათ ჯერ კიდევ არ იციან გრამატიკული წესები. მოსმენით კი აქტიური მსმენელი სწავლობს ენას, აკვირდება მასწავლებლის მიერ წარმოთქმულ სიტყვებს, სიტყვაში ინტონაციურად ამალღებულ ადგილებს, სიტყვათა დაბოლოებებს, მოკლე ფრაზებს და ცდილობს, დაიმახსოვროს

და გამოიყენოს იმავე ფორმით. ამ დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მახვილს.

პრაქტიკულმა გამოცდილებამ დაგვანახა, რომ მეორე ენის ათვისებაში მნიშვნელოვანია ენის შემსწავლელის ფონური ცოდნის, გენდერული ფაქტორის, მოტივაციის, აქტიური და პასიური მსმენელის გათვალისწინებაც, ვერბალური და არავერბალური მეთოდების პრაქტიკული და მიზნობრივი გამოყენებაც.

ქვემოთ პარაგრაფებში ეტაპობრივად განვიხილავთ იმ მეთოდებს, რომლებიც ყველაზე ხშირად გამოიყენება სახელთა სწავლების პროცესში.

§3. არსებითი სახელი ქართულში და მისი სწავლების სტრატეგიები არაქართულენოვან ჯგუფებში

არსებითი სახელი, ლათინური ტერმინით – სუბსტანტივი, არის მეტყველების ნაწილი, რომელიც აღნიშნავს საგანს. „არსებითი სახელი ჰქვია სიტყვას, რომელსაც საგნობრივი წარმოდგენა ახლავს“ (შანიძე, 1973:25). საგანი ამ შემთხვევაში შეიძლება გავიგოთ, როგორც განზოგადებული ცნება, რომელიც მოიცავს როგორც რეალურ საგნებს, ისე იმგვარ რეალობებს, რომლებიც ადამიანის ცნობიერების მიერ არის გათანაბრებული საგნებთან.

ტერმინი „საგანი“ გაიგება როგორც აღსანიშნი. არსებითი სახელის კითხვებია: ვინ? და რა?

საგანი გულისხმობს ყველა მატერიალურ (ნივთიერ) არსს, რომლის აღქმაც გრძნობათა ორგანოებით არის შესაძლებელი: ბავშვი, კვიცი, ჭია... (გოგოლაშვილი, 2011:67).

მოვლენა გულისხმობს, ერთი მხრივ, განყენებულ (აბსტრაქტულ) სუბსტანციასა (სული, სევდა, ბედნიერება...) და, მეორე მხრივ, ფსიქიკურსა და ფიზიკურ უხილავ პროცესებს (ვითარებას) (ყინვა, ფიქრი, ლაპარაკი...).

ანუ, ყოველი სიტყვა, რომელიც **ვინ** ან **რა** კითხვას შეესაბამება, არსებითი სახელია.

სასწავლო პროცესში ზემოთქმულის გათვალისწინება გულისხმობს, უპირველეს ყოვლისა, ქართული ენის შემსწავლელთა აქტიურობას მიზანმიმართულად.

აღვნიშნავთ, რომ მათ მეტ-ნაკლებად ეადვილებათ არსებითი სახელის გაგება, ცდილობენ თავიანთ მშობლიურ ენაში მოძებნონ მსგავსი ლექსიკური ერთეულები, დაინახონ მათ შორის შინაარსობრივი მსგავსება. არსებითი სახელის ჯგუფების შესწავლა არაქართულენოვანთათვის შეპირისპირებითი მეთოდით სახალისოც იქნება. სწავლების პირველ ეტაპზე სასურველია საერთაშორისო სიტყვების მიწოდება ლექსიკის ეს ნაწილი არაქართველისთვის ადვილი აღსაქმელია, (ინტერნეტი, სკაიპი, ბანკი, აეროპორტი, ტელეფონი, სტუდენტი, უნივერსიტეტი...)

ენის შემსწავლელი საწყისი ეტაპისთვის იგებს ნაცნობ სიტყვებს, მარტივ ფრაზებს და თანდათან გადაგვყავს დიალოგურ მეტყველებაზე.

3.1. არსებითი სახელის შინაარსობრივი ჯგუფები

არსებითი სახელი სიტყვათა მეტად მრავალრიცხოვან კლასს წარმოადგენს, რომლებიც სემანტიკურად განსხვავებულ ჯგუფებს მოიცავს.

არსებით სახელთა შინაარსობრივი კლასიფიკაციის ნიშნით გამოიყოფა შემდეგი სემანტიკური ჯგუფები:

- ა) „ვინ“ და „რა“ ოპოზიცია;
- ბ) სულიერი და უსულო;
- გ) კონკრეტული და აბსტრაქტული;
- დ) საკუთარი და საზოგადო;
- ე) კრებით სახელთა ჯგუფი;
- ვ) ნივთიერებათა სახელები;
- ზ) მოქმედების სახელი

ქართული ენის შემსწავლელებთან მუშაობის პროცესში მეტ ყურადღებას ვუთმობთ არსებითი სახელის იმ შინაარსობრივ ჯგუფს, რომელთაც ყველაზე მეტად იყენებენ ზეპირი და წერითი კომუნიკაციის დროს.

3.1.1. ვინ და რა ოპოზიცია

ქართულში, განსხვავებით სხვა ენებისგან, კითხვა **ვინ?** დაესმის მხოლოდ ადამიანს. შესაბამისად, „ვინ“ ჯგუფის სახელები (ადამიანთა აღმნიშვნელი სახელები) შინაარსობრივ ოპოზიციაშია ყველა დანარჩენთან, სულიერთანაც და არასულიერთანაც. ვინ (ანუ ადამიანი) უპირისპირდება ყველა სხვა სუბსტანციას

(ცოცხალსაც და არაცოცხალსაც), რაც ქართული ენის ერთ-ერთი თავისებურებაა. ყველა დანარჩენი არსებითი „რა“ ჯგუფს განეკუთვნება, როგორც სულიერთა (ცხოველთა, ფრინველთა...), ისე – უსულოთა (მცენარეთა, სხვა საგანთა) აღმნიშვნელია: (მაგიდა, ტელეფონი, კალამი...).

3.1.2. სულიერი და უსულო

კატეგორია **სულიერი** – **უსულო** გულისხმობს საგანთა კლასის გაყოფას სიცოცხლის „მქონებლობის“ მიხედვით. ოღონდ ეს ოპოზიცია არ უდრის „ცოცხალი“ – „არაცოცხალის“ დაპირისპირებას, ვინაიდან, ამ ოპოზიციის მიხედვით, მცენარეებიც „ცოცხალ“ კლასში მოიქცევა, ხოლო წინამავალ კლასიფიკაციაში მცენარეები „უსულოთა“ ჯგუფს განეკუთვნება.

ამდენად, სულიერთა ქვეკლასში გაერთიანდება სახელები, რომლებსაც სულიერი არსებობა აქვს და თავისი ძალით გადაადგილება შეუძლია:

- ა) ცხოველები (ლომი, ხარი, ძაღლი...)
- ბ) ფრინველები (არწივი, ორბი, მერცხალი...)
- გ) თევზები (კალმახი, ქაშაყი, ლოქო...)
- დ) მწერები და ქვეწარმავლები (ფუტკარი, კრაზანა, ობობა, ხვლიკი...)

უსულოთა რიგს განეკუთვნება ყველა დანარჩენი აღსანიშნი: ხე, ძელი, კიბე, მთა...

ამ ჯგუფთა (ვინ და რა, სულიერი და უსულო) განმარტებისას, სწავლების პროცესში მიზანშეწონილია შესაბამისობების დადგენა ენის შემსწავლელის მშობლიურ ენაში არსებულ ვითარებასთან, ანუ საჭიროა აღინიშნოს მსგავსება-განსხვავებანი. შესაბამისად, არაქართულენოვანები აღწერენ მათი მშობლიური ენების სისტემას ამ ლინგვისტურ კატეგორიათა მიხედვით და მოჰყავთ მაგალითები.

ქართულის ანალოგიური ვითარებაა ინგლისურ ენაში, თურქულ ენაში. ვინ ჯგუფში ერთიანდება მხოლოდ ადამიანთა სახელები; რა ჯგუფში – ყველა დანარჩენი სულიერი და უსულო საგნები. განსხვავებულია დაჯგუფების პრინციპი უკრაინულში, რუსულში და ა.შ.: ვინ ჯგუფში ერთიანდება ყველა სულიერი საგანი; რა ჯგუფში – უსულო საგნები.

მაგალითად:

ქართული:

ვინ?	ადამიანთა სახელები	ქალი, კაცი, მასწავლებელი, ექიმი... თამარი, ამირანი...
რა?	სულიერი საგნები	ლომი, არწივი, კალმახი, ფუტკარი...
	უსულო საგნები	ხე, კიბე, მთა, სახლი...

თურქული:

Kim?	ადამიანთა სახელები	Kadın, Adam, Öğretmen, Doktor... Zehra, Ali...
ne?	სულიერი საგნები	Aslan, Kartal, Alabalık, Arı...
	უსულო საგნები	Ağaç, Merdiven, Dağ, Ev...

ინგლისური:

Who?	ადამიანთა სახელები	A woman, a man, a teacher, a doctor... Tom, Bob...
What?	სულიერი საგნები	A lion, an eagle, a trout, a bee...
	უსულო საგნები	tree, ladder, mountain, house...

უკრაინული:

Хто?	ადამიანთა სახელები	жінка, чоловік, вчитель, лікар....
	სულიერი საგნები	лев, орел, форель, бджола ...
Що?	უსულო საგნები	дерево, драбина, гора, дім...

სწავლების სტრატეგიის დაგეგმვისას საჭიროა გავითვალისწინოთ აგრეთვე, რომ სულიერისა და უსულოს სემანტიკური განსხვავება თავისებურ გამოვლინებას ჰპოვებს გრამატიკაშიც, კერძოდ, ქართული ენის სწავლებისას არსებითია ვინ და რა, სულიერი და უსულო ჯგუფის სახელებთან გაიმიჯნოს **მყავს/მაქვს** ზმნათა ოპოზიცია. არაქართულენოვანებს უნდა ავუხსნათ, რომ ვინ და რა ჯგუფის სულიერ სახელებთან გამოიყენება **მყავს** ზმნა (დედა, ძმა, ძალი, ცხენი...), ხოლო უსულო საგნებთან – **მაქვს** (ტელეფონი, წიგნი, სახლი...). აქვე ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმ გამონაკლისებზე, რომლებიც მხოლოდ ქართულისთვის არის დამახასიათებელი. მხედველობაში გვაქვს უსულო საგნები: მანქანა, თვითმფრინავი... და ა. შ. რომლებთანაც გამოიყენება **მყავს** ზმნა.

3.1.3. კონკრეტული და აბსტრაქტული

კატეგორია კონკრეტული – აბსტრაქტული უკავშირდება არსებითი სახელის აღსანიშნის საგნობრივ სუბსტანციას. „კონკრეტული“ გულისხმობს ისეთ საგნობრივ არსებობას, რომელიც ადამიანის (აღმქმელის) გრძნობათა ორგანოებით (შეხებით, მხედველობით, სმენით, ყნოსვით) აღიქმება. მაგალითად: ყვავილი, ღრუბელი, სითბო, სუნი...

განყენებულ (აბსტრაქტულ) სუბსტანციათა აღქმა გრძნობათა ორგანოებით შეუძლებელია, რადგან მათ ფიზიკური (საგნობრივი) არსი არა აქვს, მათი აღქმა მხოლოდ გონებისმიერია (ან გრძნობისმიერია – მისი ძირითადი მნიშვნელობით): მეგობრობა, სიყვარული, სილამაზე, მშვენიერება, ოცნება...

შენიშვნა: ამ თვალსაზრისით „გრძნობისა“ და „შეგრძნების“ მნიშვნელობები უნდა გაიმიჯნოს: „შეგრძნება“ პირველი ქვეკატეგორიის გაგებას მოიცავს კონკრეტული – აბსტრაქტული „გრძნობათა ორგანოებით აღქმა“, ხოლო „გრძნობა“ უპირველესად აბსტრაქტულ განცდას გულისხმობს (გოგოლაშვილი, 2011:70).

3.1.4. საკუთარი – საზოგადო

„საზოგადო სახელს“ ცნებითი შინაარსი აქვს, რაც იმას გულისხმობს, რომ შესაბამისი არსებითი სახელით აღნიშნულ ყოველ საგანში მოიაზრება სხვა მსგავს საგანთა ერთობლიობა. მაგალითად სიტყვა **სკამი** გულისხმობს მრავალგვარ, მაგრამ ერთფუნქციურ („დასაჯდომი“) აღსანიშნს: ოთხფეხას, სამფეხას, ზურგიანს, რბილს და მისთ. „საკუთარი სახელი“ შინაარსით არაა ცნებითია – იქნება ის ერთი „საგნის“ აღმნიშვნელი, თუ „საგანთა კრებულისა“. მაგ: გიორგი, თბილისი, მცხეთა, არაგვი, ტოკიო...

საკუთარი „ერთს“ მიემართება, ხოლო საზოგადო „მრავალს“. საკუთარს საზოგადოსაგან განსხვავებით, ცნებითი შინაარსი არა აქვს, თუნდაც ის „მრავალს“ მიემართებოდეს. შდრ. „გვარი“ და „ბერიძე“: გვარი შინაარსობრივი ცნებაა ნათესაობრივი კავშირისა, ხოლო ბერიძე ამ კატეგორიის კერძობითი სახელია.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში „სახელის“ რამდენიმე მნიშვნელობაა მოცემული. ერთ-ერთის მიხედვით სახელი არის სიტყვა, რომელიც აღნიშნავს ვისმე ან რასმე; რაც ჰქვია, რასაც უწოდებენ ვისმე ან რასმე, – სახელწოდება, რასაც ყოველ

ცალკეულ პიროვნებას, ინდივიდს უწოდებენ სხვებისგან გასარჩევად“. (ქეგლ,1990: 879).

საკუთარი სახელების სწავლების სტრატეგიის დაგეგმვისას სასურველია, გამოიყოს მისი ქვეჯგუფები: პირთა სახელები (ლუკა, ლილე...), გვარები (ბუაძე, დვალი...), ცხოველთა შერქმეული სახელები (ნიშა, ნიკორა), ფსევდონიმები (ვაჟა-ფშაველა, მთის ნიავი), ადგილთა (წყნეთი, თერგი), ქვეყანათა (დანია, ერაყი...), ეთნოსთა (ქართველი, ბერძენი...) სახელები, პლანეტების (ვენერა, სატურნი...) სახელები, პერიოდულ გამოცემათა შერქმეული სახელები (დროშა, ლელო...) ობიექტთა, დაწესებულებათა შერქმეული სახელები (მერანი, ნაკადული...).

საკუთარ სახელთა სწავლების პროცესი იძლევა ენის შემსწავლელთა განსაკუთრებული აქტივობის დაგეგმვის შესაძლებლობას. შეპირისპირებითი ანალიზი, მშობლიურ და შესასწავლ ენაზე საკუთარ სახელთა წარმოთქმის შედარება ლექსიკური მარაგის გაზრდის გზაცაა და შესასწავლი ენის თავისებურებებზე დაკვირვების საშუალებაც.

ყველა ენას ადამიანის სახელებთან თავისებური მიდგომა გააჩნია, რომელსაც საფუძვლად, ძირითადად, მოტივაცია უდევს.

სადისერტაციო ნაშრომში საგანგებოდ ვეხებით საკუთარი და საზოგადო სახელების სწავლების საკითხებს ქართულსა და თურქულ ენებში. საანალიზოდ ავიღეთ ადამიანის საკუთარი სახელები, ხოლო პრაქტიკულ მასალად – ქართული და თურქული სახელები, გამომდინარე იქიდან, რომ პრაქტიკული სამუშაოს გარკვეული ნაწილი, როგორც აღვნიშნეთ, განხორციელდა თურქულენოვან ჯგუფში. საქართველო-თურქეთის ტერიტორიულმა სიახლოვემ, ისტორიულმა წარსულმა თუ სხვა ფაქტორებმა განაპირობა ქართულსა და თურქულ ენებში ერთნაირი ან მსგავსი ფუძეების ადამიანის სახელთა არსებობა. აღსანიშნავია ისიც, რომ ქართულში საკუთარი სახელების გარკვეული ჯგუფი სწორედ თურქულიდან, ან თურქული ენის მეშვეობითაა შემოსული. იმასაც აღვნიშნავთ, რომ თურქული და ქართული საკუთარი სახელების მნიშვნელობა ზოგჯერ ემთხვევა ერთმანეთს, ზოგჯერ კი სრულიად განსხვავებულია.

აღსანიშნავია, რომ თურქულ ენაში ერთი და იგივე არსებითი სახელი ერთდროულად არის საზოგადოც და საკუთარიც. ასეთი შემთხვევები თურქულში საკმაოდ ბევრია, ქართულში კი–გაცილებით მწირი.

ადამიანთა სახელი, პირთა სახელები თურქულში უმეტესად მოტივირებულია, ანუ სახელის შერქმევა ხდება სხვადასხვა სემანტიკური ნიშნით. ქართულში კი, ადამიანის სახელთა სახელდების პრინციპი ნაკლებად მოტივირებულია. წარმოვადგენთ მაგალითებს ქართული მასალიდან და შევუდარებთ თურქულს:

ა) სახელები, რომლებშიც წარმოჩენილია ადამიანის ფიზიკური, მორალური ღირსებები.

ქართულში: ნაზი (ნაზიბროლა), ზვიადი, რაინდი...

თურქულში: *Nur* (ნურ)–მსუბუქი, სათუთი, ნაზი, *Doğan* (დოღან)–შევარდენი, *Kartal* (ქართალ) – არწივი, *Demir* (დემირ) – რკინა... *Ateş* (ათეშ) –ცეცხლი.

ბ) სახელები, რომლებშიც წარმოჩენილია ადამიანის გრძნობები, მისწრაფებები:

ქართულში: იმედა, ნუგეშა, ფიქრია...

თურქულში: *Umut* (უმუთ) – იმედი, *Sevgi* (სევგი) –სიყვარული, *Hülya* (ჰულია) – საოცნებო, *Özgür* (ოზგური) – შეუფასებელი.

გ) სახელები, რომლებშიც წარმოჩენილია ადამიანის ჭკუა-გონება, წარმატება:

ქართულში: ბედისა, ბედია...

თურქულში: *Zeki* (ზეკი)–ჭკვიანი, *Şgur* (ულგური) – წარმატება...

დ) სახელები, რომლებიც გულთან და სულთან არის დაკავშირებული:

ქართულში: გულსუნდა, გულისვარდი, გულიკო, გულისა, გულნარა, გულიზარი, გულთამზე, გულია. „გულ“და „სულ“ ძირები გვხვდება კაცის სახელადაც. სულო, სულიკო. (აქვე შევნიშნავთ, რომ ამავე ფორმით (*Gül*) სახელები თურქულშიც გვხვდება, მაგრამ მის ფუძეს სხვა შინაარსი გააჩნია - „გულ“ თურქულში „ვარდს“ ნიშნავს : *Gül*, *Gülşah*, *Gülcengü*, *Gülseren*, *Birgül*, *Nurgul*, *Sengül*, *Aslıgül*, *Gülcan*...)

ე) სახელები, რომლებიც დაკავშირებულია ნათელთან და მნათობებთან :

ქართულში: მზისადარი, მზისა, მზიანა, მზეხათუნი, მზეონა, მზია, პირიმზე თინათინი, იათამზე, იამზე, ნათელა, შუქია, ნათია, მთვარისა...

თურქულში: *Yıldız* (ილდიზი) – ვარსკვლავი, *Güneş* (გუნეში) – მზე.

ვ) სახელები, რომლებშიც წარმოჩენილია მიწა (დედამიწა), ცა,მხარე, წყალი, ზღვა, მდინარე:

ქართულში: ცისანა, ციცია, ციცინო, ცისია, ცისმარა, ცისმარი, ციური...

თურქულში: *Toprak* (თოფრაქი) - მიწა, დედამიწა, *Asya* (ასია) - აზია, *-Su* (სუ)-წყალი, *Deniz* - (დენიზი) - ზღვა, *Nehir*-(ნეჰირი) - მდინარე.

ზ) სახელები, რომლებშიც წარმოჩენილია მცენარეები: ხეები, ყვავილები:

ქართულში: *ვარდო*, *ვარდუა*, *ვარდიკო*. (*ვარდიკო* გვხვდება ვაჟის სახელადაც), ენძელა, ია, იასამანი...

თურქულში: *Kardelen* (კარდელენ) - ენძელა, *Gül* (გულ) - ვარდი, *Menekşe* (მენექშე) - ია, *Yasemin* (იასემინ) - იასამანი, *Çinar* (ჩინარი) - ალვის ხე, *Başak* (ბაშაკი) - ხორბალი, *Çiçek* (ჩიჩექი) - ყვავილი.

თ) სახელებში, რომლებშიც წარმოჩენილია ფრინველები:

- ქართულში: გედია , გვრიტია//გვრიტუნა, გუგული, ჩიორა, ჩიტო, შოშია

- თურქულში: *Kartal* (ქართალი) - არწივი.

ი) სახელები, რომლებშიც წარმოჩენილია ცხოველები:

ქართულში: ლომა, ლომი, ლომკაცი, ლომკაცია, დათვია, ვეფხია, მგელა (გელა), ძაღლიკა, ნუკრი...

თურქულში: *Küçük* (ქუჩაკ) - კოზაკი, *Aslan* (ლომი) - ასლანი (იგივეა, რაც ქართულში დღეს გავრცელებული სახელი ასლან, რომლის კნინობითი ფორმაა ასლანიკა).

აღსანიშნავია ისიც, რომ თურქულში ერთი და იგივე სახელი შერქმეული აქვს ქალსაც და მამაკაცსაც. ამ ტიპისაა: *Başak* (ბაშაკ) - ხორბალი; *Çinar* (ჩინარ) - ალვის ხე; *Ekin* (ექინი)-მოსავალი; ანალოგიური სიტუაციაა ქართულშიც: სულიკო, გუგული, ვარდო, ნუკრი, თუმცა ასეთი სახელები შედარებით იშვიათია ორივე ენაში. აგრეთვე გვხვდება დღეების, თვეების, ფერების და ძვირფასი ქვების სახელებიც, მაგალითად: იანვარა, ივლიანე, მარტია, მაისა, პარასკევა, შაბათა... *Ekim* (ექიმ) - ოქტომბერი; *Eylul* (ეილულ) - სექტემბერი; *kasım* (ქასიმ) - ნოემბერი, *Perşembe* (ფერშემბე) -

ხუთშაბათი... ბროლა, მარგალიტა, ფირუზი, Zümrit (ზუმრუთ) - ზუმრუხტი, Elmas (ელმას) - ალმასი...

ამრიგად, ადამიანის საკუთარი სახელები წარმომავლობით და მნიშვნელობით სხვადასხვაგვარია. ბუნებრივია, უნდა ვასწავლოთ სწორედ „ქართული“ წარმოთქმა.

მაშასადამე, ერთი არსებითი სახელით ორი განსხვავებული ჯგუფის შესწავლა არაქართულენოვანთათვის იოლი გზა და საშუალებაა.

სწავლებისას გასათვალისწინებელია აგრეთვე, რომ საკუთარი სახელების თავისებურება მორფოლოგიაში თავს იჩენს სახელთა ბრუნებისას (სახელობითი, წოდებითი...).

3.1.5. კრებითი სახელები

კრებით სახელებს, როგორც უფრო მცირე, კერძობით ჯგუფს, ჩვეულებისამებრ, სემანტიკური ოპოზიციის გარეშე გამოყოფენ ხოლმე; თუმცა აქაც იგულისხმება, რომ არსებობს ოპოზიცია „არაკრებითი“ – „კრებითი“. პირველია ყველა ის აღსანიშნი, რომელიც საგნობრივ „ცალკეობას“ („ერთეულობას“) გულისხმობს. მაგ: ხე, მაგიდა, კალამი... კრებით სახელს ფორმა მხოლოდობითსა აქვს, მაგრამ შინაარსით მრავლობითია; ოღონდ მასში ჩანს სიმრავლე არა იმ სიტყვისა, რომელიც კრებითად წარმოგვიდგება, არამედ – სულ სხვა სიტყვისა; მაგ: ხალხი (ადამიანების სიმრავლე), გუნდი (ფრინველთა სიმრავლე), ფარა (ცხვრების სიმრავლე), რემა (ცხენების სიმრავლე) , ხროვა (მგლების სიმრავლე) და მისთ.

ამგვარად, კრებითი სახელი აღნიშნავს ერთგვაროვან საგანთა კრებულს, ერთიანობას, „ერთმთლიანობას“.

კრებით სახელთა სემანტიკას ანგარიში უნდა გაეწიოს რიცხვში შეთანხმების თვალსაზრისით: მათი კრებითი შინაარსი რიცხვში გრამატიკულ შეთანხმებას არ მოითხოვს (ხალხი შეიკრიბა), მაგრამ ზმნის ფუძის სუპლექტურ მონაცვლეობას განაპირობებს (ხალხი დასხდა) (გოგოლაშვილი, 2011:72).

შეპირისპირებითი ანალიზი ამ შემთხვევაშიც საინტერესო სურათს იძლევა და სასწავლო პროცესისთვის განსაზღვრული კონკრეტული მეთოდების გამრავალფეროვნების შესაძლებლობას ქმნის. მაგალითებს დავიმოწმებთ ქართული, თურქული, ინგლისური და უკრაინული ენებიდან (როგორც კრებითი, ასევე, არაკრებითი) სწორედ რიცხვში შეთანხმების თვალსაზრისით:

	არაკრებითი	კრებითი
ქართული	კაცი დგას	ხალხი დგას
თურქული	Adam duruyor	Halk duruyor
ინგლისური	A person stands	People stands
უკრაინული	Чоловік стоїть	Люди стоять

ქართული ენის შემსწავლელები აკვირდებიან წარმოდგენილ სქემას, სადაც ენათა მიხედვით კარგად ჩანს განსხვავება კრებით და არაკრებით სახელთა ფორმებში. მათთვის გასაგები ხდება, რომ კრებითი სახელების შემთხვევაში სხვა ფუძე გამოიყენება, რომელიც არ არის ერთი. მშობლიური და შესასწავლი ენის ამ თვალსაზრისით შედარება სწავლების პროცესზე დადებითად აისახება.

3.1.6. ნივთიერებათა სახელები

ნივთიერებათა სახელების თავისებურება ის არის, რომ მათ კონკრეტული საგნობრივი სახე არ აქვთ, მათი ნივთიერი არსებობა „ამორფულია“, ისინი რაიმე მასის, ნივთიერების ზოგად შინაარსს გამოხატავენ. როგორც ამბობენ, ასეთ ობიექტებს თვლადი სუბსტანცია არა ქვთ – ან ფხვიერ მასას ქმნიან, ან თხევადს, ან აიროვანს, ან, უბრალოდ, ნივთიერებას გამოხატავენ.

ნივთიერებათა სახელებია: რკინა, ოქრო, ვერცხლი, პური (როგორც მარცვლეული), წყალი, ღვინო, შაქარი, მიწა და სხვ.

ნივთიერებათა სახელებს მრავლობითი არ ეწარმოება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შესაბამისი ნივთიერებები „დაფასობულად“ არის წარმოდგენილი (ღვინოები, წყლები, მიწები...) (გოგოლაშვილი, 2011:72).

3.1.7. მოქმედებათა სახელები

არსებით სახელთა კლასში გამოიყოფა ჯგუფი, რომელიც მოიცავს ისეთ სახელებს, რომლებიც ფაქტობრივად ზმნური შინაარსისაა. როგორც ცნობილია, ეს ერთეულები ფორმით (გრამატიკულად) არსებით სახელებს განეკუთვნება, ხოლო სემანტიკურად (წარმომავლობით) ზმნებს – ისინი ნაზმნარი სახელებია. მაგ: **ხატვა** მასდარია ხატავს ზმნისა და მასში არსებითად შენარჩუნებულია ის შინაარსი, რასაც

ზმნა წარმოგვიდგენს; მაგრამ მორფოლოგიური სტატუსით ხატვა ბრუნებადი სიტყვაა, ანუ არსებითი სახელია „რა“ ჯგუფისა.

მოქმედებათა სახელების სწავლება არაქართულენოვან ჯგუფებში სირთულეს არ წარმოადგენს იმდენად, რამდენადაც ეს ჯგუფი მათთან მასდარის სახელითაა ცნობილი.

როგორც ვხედავთ, არსებით სახელთა ლექსიკურ-სემანტიკური სისტემა ენათა მიხედვით არაერთგვაროვან სურათს გვიჩვენებს; მითითებულ კატეგორიებს შორის არის არათანაბარი და არათანმიმდევრული მიმართებები, რაზედაც სწავლების პროცესში უნდა გამახვილდეს ყურადღება.

3.2. არსებითი სახელი წარმოების მიხედვით

წარმოების მიხედვით არსებით სახელთა დახასიათება გულისხმობს იმას, რომ ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს, ერთი მხრივ, სახელური სემანტიკის (ამოსავალი) ძირ-ფუძეები, ხოლო მეორე მხრივ, მათგან, აგრეთვე სხვა მეტყველების ნაწილთაგან წარმოქმნილი ახალი ლექსიკური ერთეულები. ამ თვალსაზრისით არსებითი სახელები გაიყოფა ორ ძირითად ჯგუფად:

1. **პ ი რ ვ ე ლ ა დ ი** სახელები: ხე, მთა, სახლი, წყალი, მიწა, ცა, გზა, ეზო, ქალი, კაცი, დედა, მამა, ყური, თვალი, პური, რძე, ცხვარი, თხა...

2. **მ ე ო რ ე უ ლ ი** ანუ **წ ა რ მ ო ქ მ ნ ი ლ ი** სახელები: არსებითი სახელის ახალი ფუძის მიღება შეიძლება მოხდეს ნებისმიერი მეტყველების ნაწილისაგან მრავალფეროვანი წარმომქმნელი (სიტყვამაწარმოებელი) მოდელების საფუძველზე. წარმოქმნილ სახელებში თავის მხრივ ორ ჯგუფს გამოვყოფთ:

ა) აფიქსური სიტყვაწარმოება;

ბ) კომპოზიცია.

არსებითი სახელი შეიძლება წარმოქმნილი იყოს ყველა მეტყველების ნაწილისაგან:

–თავად არსებითისაგან: ხელ-ი **ხელობა, სახელო, ხელოსანი...**

–ზედსართავისაგან: წითელ-ი - **წითელა, რბილ-ი - რბილობი...**

–რიცხვითისაგან: ერთ-ი - **ერთობა, სამ-ი - სამება, ას-ი - ასეული...**

-ნაცვალსახელისაგან: თავ-ი - თავისიან-ი, თვის-ი - თვისობა; მე - მეობა; ურთიერთ-ი - ურთიერთობა...

-ზმნიზედისგან: აქ (ა) - აქაობა, სააქაო, ქვეშ - ქვეშეთ-ი...

-ზმნისგან: კერავ-ს - კერვა; რბი-ს - სირბილი, უყვარ-ს - სიყვარული...

-უდეტრებისგან: არა - არაობა, ჰო - ჰოობა, ალბათ - ალბათობა და სხვ.

აფიქსები (პრეფიქს-სუფიქსები), რომლებიც გამოყენებულია ამგვარი სიტყვაწარმოების დროს, ასევე მრავალფეროვანია. სწორედ ეს მრავალფეროვნება გარკვეულ სირთულეს ქმნის სახელთა სწავლებისას. იგივე შეიძლება ითქვას კომპოზიციის გზით წარმოქმნილი არსებითი სახელების შესახებაც. ფუძეთა შერთების განუსაზღვრელი შესაძლებლობა არსებობს და ამ გზით მრავალრიცხოვანი სახელია წარმოქმნილი:

რედუქლიკაცია: ბებერი, გორგოლა, გვირგვინი, ფირფიტა...

ტოლადშერწყმული ანუ ორცნებიანი კომპოზიტები: და-ძმა, მთა-ბარი, მტერ-მოყვარე...

ერთცნებიანი კომპოზიტები, რომელთა მიღება ნაირგვარი ფუძითა და ფორმით ხდება: ძმისწული, ცისკარი, გულთმისანი, წელიწადი...

არის შემთხვევები, როდესაც დროთა განმავლობაში მომხდარა წარმოქმნილი ზედსართავი სახელის გასუბსტანტივება: საკაცე, მხატვარი, მშობელი, მოძღვარი, მასწავლებელი.

არსებით სახელთა სემანტიკური ჯგუფების ცოდნა აუცილებელია არა მხოლოდ მათი გრამატიკული ანალიზისათვის. ამ შემთხვევაშიც თეორიული საფუძველი აუცილებელი პირობაა სწავლების სტრატეგიების დასაგეგმად როგორც კონკრეტული ამოცანის გადაწყვეტისთვის, ასევე თანმიმდევრული სასწავლო პროცესისთვის.

3.3. არსებითი სახელი ს სწავლების პრაქტიკული საკითხები არაქართულენოვან ჯგუფებში

ზემოთ ჩვენ უკვე შევხეთ არაქართულენოვან ჯგუფებში გრამატიკის სწავლების საკითხს. თუ რამდენად შეძლებს ენის შემსწავლელი გრამატიკულად

სწორი ფორმების დაუფლებას და ზეპირ თუ წერით მეტყველებაში გამოყენებას, მნიშვნელოვანწილად მასწავლებლის ნიჭსა და უნარზეა დამოკიდებული.

არაქართულენოვან ჯგუფებში სწავლების პირველ ეტაპზე ენის შემსწავლელს ძირითადად ზეპირი კომუნიკაციის უნარ-ჩვევები უყალიბდება. იმისთვის, რომ ქართული ენის შემსწავლელმა სწორად გაიგოს შესასწავლ ენაზე გამონათქვამი, შეძლოს ინფორმაციის მიღება ზეპირი თუ წერილობითი ფორმით, უმარტივეს გრამატიკულ მექანიზმებს უნდა დაეუფლოს. მარტივად, რომ ვთქვათ გრამატიკის ცოდნა შემსწავლელს უნდა დაეხმაროს სწორი მეტყველების დაუფლებაში, აგრეთვე მართებული წერის ჩვევების გამომუშავებაში (მელიქიძე, 2006: 9).

სასურველია, მასწავლებელი თუ გამოიყენებს თავად შემსწავლელზე ორიენტირებულ სავარჯიშოებს, ანუ ისინი აგებული უნდა იყოს შემსწავლელის გამოცდილებაზე, ინტერესებზე, ყოველდღიურ საქმიანობაზე.

არსებითი სახელის სწავლების ეტაპები შეიძლება შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ:

პირველ რიგში შემსწავლელებს უნდა შევახსენოთ ელემენტარული ჰემარიტება, რომ ყველა საგანს თავისი სახელი აქვს და საგნის აღმნიშვნელ სიტყვას არსებითი სახელი ჰქვია. შემდეგ კი მასწავლებელი არაქართულენოვანებთან ერთად იწყებს ოთახში არსებული ნივთების ჩამოთვლას. შემსწავლელები მასწავლებლის დახმარებით ცდილობენ უპასუხოთ კითხვებს: ვინ არის ეს? რა არის ეს?

ამრიგად, გაკვეთილი იწყება ადამიანთა, საგანთა აღმნიშვნელი სიტყვებით, რასაც ყოველდღიურად ისმენენ, ხედავენ, აღიქვამენ. ასეთებია: მასწავლებელი, ამხანაგი, უნივერსიტეტი, წიგნი, კალამი, რვეული, ტელეფონი, ტრანსპორტი... ამ სიტყვების გამეორება ენის შემსწავლებლებს თითქმის ყოველდღიურად უწევთ და შესაბამისად მათი დამახსოვრებაც უფრო ადვილია. ასევე ადვილად იმახსოვრებენ ისინი კითხვებს:

ეს ვინ არის?	ეს რა არის?
ეს არის ნინო.	ეს არის ჩანთა.
მასწავლებელი	წიგნი
მოსწავლე	რვეული
ადამიანი	სკამი

ენის სწავლების საწყის დონეზე შემსწავლელი იმახსოვრებს იმ სახელებს, რომლებსაც ყოველდღიურად ხედავს და აღიქვამს და არა იმას, რაც უნდა რომ თქვას. ზეპირი გზით, მარტივი ფრაზებით, მასწავლებლის დახმარებით, კითხვა-პასუხებით, სიტუაციური სავარჯიშოებით მყარდება კომუნიკაცია. ამ პროცესში ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ე.წ. „სიტყვის რუკის“ გამოყენება. ასევე, ამავე კომპონენტს საკმაოდ ფართოდ ვითვალისწინებთ სწავლების და შეფასების ელექტრონულ სისტემაში (ხსენებულ სისტემას დეტალურად ვეხებით ნაშრომის მესამე თავის მესამე პარაგრაფში). ეს პროცესი ენის შემსწავლელისთვის სახალისოა და შედარებით მარტივი. იგი ერთი სიტყვით, კერძოდ, არსებითი სახელით, იწყებს „შენებას“, სიტყვას უკავშირებს მეორე სიტყვას, მესამეს და ა.შ.

მაგალითად:

ტელეფონი —> ეს ტელეფონი / ახალი ტელეფონი / ჩემი ტელეფონი
 —> ჩემი ახალი ტელეფონი —> ეს არის ჩემი ახალი ტელეფონი...

შენიშვნა: „სიტყვის რუკისთვის“ იხ. დანართი

გარკვეული ლექსიკური მარაგის, მეტყველებასთან, წარმოთქმასთან დაკავშირებული მინიმალური ცოდნის დაგროვების შემდეგ მასწავლებელი იწყებს **მოკლე კონტექსტური დიალოგების** მოხმობას. იგი ჯერ თავად ადგენს მოკლე დიალოგს, რომელიც კონცენტრირებულია კონკრეტულ საკითხზე. მაგ:

- ეს მაგიდაა?
- დიახ, ეს არის მაგიდა.
- სად არის მაგიდა?
- მაგიდა არის საკლასო ოთახში;

თავისთავად იგულისხმება, რომ თავდაპირველად ვიყენებთ ნასწავლ მზა ფორმებს და გამოთქმებს. ენის შემსწავლელეები დამოუკიდებლად ცდილობენ ცნობილი სიტყვების გამოყოფას. ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების დროს უაღრესად მომგებიანია ყურადღების გამახვილება ცნობად სიტყვებზე. გარკვეული ეტაპის შემდეგ მასწავლებელი აღარ ეხმარება შემსწავლელებს, ისინი დამოუკიდებლად მართავენ დიალოგებს შეთხზვას. ამ პროცესში მთელი ჯგუფი შეიძლება ჩაერთოთ. მაგალითად: მოსაუბრე X იწყებს დიალოგის პირველ ფრაზას, შემდეგ აგრძე-

ლებს y, და ა. შ. აუცილებლად გამოვეყოფთ ჩვენთვის საინტერესო საკითხებს. მასწავლებელი დაფაზე წერს ყველა არსებით სახელს, რომელიც გაჟღერდება აუდიტორიაში და ამეორებინებს მთელ ჯგუფს. ეს მეთოდი ენის შემსწავლელებს ეხმარება საკითხის სიღრმისეულ გააზრებაში, ისინი სწავლობენ მნიშვნელოვანი ინფორმაციის გამოყოფას, ეჩვევიან სხვათა აზრის პატივისცემას, მოსმენასა და თანამშრომლობას.

ამრიგად, არსებითი სახელის სწავლების საწყის ეტაპზე შემსწავლელებისთვის მნიშვნელოვანია ზეპირმეტყველების ორივე ფორმის განვითარება. როგორც გამეორების, აგრეთვე ზეპირი ინტერაქციის, ანუ მონოლოგიური და დიალოგიური მეტყველების.

ამავე ეტაპის ნაწილია ერთობლივი კითხვა, რაც ხელს უწყობს ტექსტების შეგნებულად წაკითხვას და გააზრებას.

ერთობლივი კითხვა საუკეთესო მეთოდია კითხვის საბაზისო უნარების გასავითარებლად და გარკვეული საკითხების გასააზრებლად. ეს არის დამწყებ მკითხველებთან სამუშაო მეთოდი, რომელიც ორი ძირითადი ნაწილისგან შედგება. პირველ ნაწილში მასწავლებელი საჩვენებელი კითხვით აცნობს ტექსტს შემსწავლელებს, ხოლო მეორე ნაწილში კითხვის პროცესში ენის შემსწავლელებიც ერთვებიან. სასურველია, რომ მასწავლებელმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭოს ამ მეთოდის სისტემატურ გამოყენებას და გამოყოს კონცეპტუალური საკითხები, ამ შემთხვევაში, არსებითი სახელთან დაკავშირებული კომპონენტები. ერთობლივი კითხვისთვის გამოიყენება როგორც მხატვრული, ისე საინფორმაციო ტიპის ტექსტები. მნიშვნელოვანია, რომ ტექსტები იყოს ენის შემსწავლელთა შესაძლებლობების შესაბამისი სირთულის და კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებული (G-Pried, 2015:88). შესაბამისად, შეიძლება პირობითად გამოვეყოთ სირთულის რამდენიმე საფეხური. მაგალითად:

I. თავდაპირველად ვკითხულობთ იმ მასალას, რომელიც მოსწავლეთათვის ნაცნობია განვლილი გაკვეთილებიდან და დამუშავებული სავარჯიშოებიდან. ეს შეიძლება იყოს სიტყვების სია, რომელშიც უნდა ამოიცნონ მხოლოდ არსებითი სახელები. ამოცნობის შემდეგ შეიძლება სცადონ (ჯგუფურად ან ინდივიდუალურად) ამ სიტყვების დაჯგუფება შინაარსის მიხედვით.

II. იმავე დავალებას ასრულებენ არა სიტყვების სიის, არამედ მარტივი ტექსტისთვის.

III. შემდეგ საფეხურზე დავალების არსი იგივე რჩება, მაგრამ ამოცანა გართულებულია იმით, რომ ენის შემსწავლელებს ეძლევათ უცნობი ტექსტი (შეიძლება ეს იყოს ტექსტი, რომელსაც მომდევნო გაკვეთილზე ან რამდენიმე გაკვეთილის შემდეგ დაამუშავებენ). ამ შემთხვევაშიც, მათ უნდა ამოიცნონ ნაცნობი არსებითი სახელები და დაახასიათონ ისინი. ამავე დროს, უნდა სცადონ უცნობი შინაარსის მქონე არსებითი სახელების ამოცნობა კონტექსტის მიხედვით. ცხადია, ასეთი დავალების შესრულებისთვის მასწავლებელს წინასწარ აქვს განსაზღვრული სამუშაო ტექსტების თანმიმდევრობა და მათი შინაარსი.

აღნიშნული სტრატეგია საკმაოდ მრავალფეროვანი ვარიაციების შესაძლებლობას იძლევა (არა მხოლოდ არსებითი სახელების სწავლებისას), კონკრეტული ჯგუფის შესაძლებლობებიდან, სწავლების ეტაპებიდან და მასწავლებლის მიზნებიდან გამომდინარე. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ მიზანი შეიძლება ეხებოდეს ცალკეულ კომპონენტს (მაგალითად, არსებითი სახელის რაობას), ან, შედარებით უფრო მაღალ საფეხურზე, დასახული ამოცანა შეიძლება იყოს უფრო მასშტაბური და კომბინირებული ხასიათის. ამ (უფრო მაღალი) საფეხურის საილუსტრაციოდ ჯგუფს შეიძლება წავაკითხოთ ტექსტი „ზრდილობიანი“ (დედაენა, 2009:171), რომელიც თავისი შინაარსით და ლექსიკით არ არის რთული, თუმცა, ამ ტიპის ტექსტების გამოყენებამდე გარკვეული ცოდნის და გამოცდილების დაგროვება აუცილებელია.

პირველ რიგში მასწავლებელი ენის შემსწავლელებს წარუდგენს ტექსტს, გააცნობს სათაურსა და ავტორს, მიმოიხილავს ტექსტის შინაარსს. ენის შემსწავლელები გამოთქვამენ ვარაუდებს, თუ რის შესახებ შეიძლება იყოს ტექსტი. შესაძლებელია მასწავლებელმა წინასწარ გააცნოს ტექსტში არსებული უცნობი ერთეულები. შემდეგ მასწავლებელი საჩვენებელი კითხვის მეთოდის გამოყენებით ხმამაღლა და მკაფიოდ რამდენჯერმე კითხულობს ტექსტის მონაკვეთს. მასწავლებლის წაკითხვის შემდეგ მსმენელები ყურადღებას ამახვილებენ არსებით სახელებზე, მათთვის ნაცნობ ლექსიკაზე. ამ შემთხვევაში აუცილებელია ცალკეული სახელების დახასიათება, თუმცა, ტექსტზე მუშაობა ამით არ ამოიწურება. მასწავლებელი მსმენელეთან ერთად ხმამაღლა კითხულობს ტექსტს:

„-ზრდილობიანი უნდა იყო! –ხშირად ეუბნებოდა დათოს დედა.

– ზრდილობიანი უნდა ვიყო, მაგრამ როგორ? – ფიქრობდა დათო და შემთხვევაც მალე მიეცა. მან ქუჩაში ნაცნობი ბიძია დაინახა. „ახლა უნდა მივესალმო“, – გაიფიქრა გულში და თავი დაუკრა. ორივე ნასიამოვნები დარჩა.

შუადღისას დათო მაღაზიაში შევიდა ბრინჯის საყიდლად. მაღაზიიდან ერთ ბერიკაცს გამოსვლა უნდოდა, ორივე ხელში ჩანთა ეჭირა. დათომ მასთან მიიღბინა და კარი გაუღო.

– რა კარგი ბიჭი ხარ, გმადლობ! – გაუცინა ბერიკაცმა...“

ტექსტის ამ მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ მსმენელებს მიეწოდებათ სამსვეტი-ანი ცხრილი და განემარტებათ, რომ უნდა შეავსონ ცხრილის მხოლოდ ორი სვეტი.

როგორ ფიქრობთ, რა მოხდება?	რა მიგანიშნებთ ამაზე?	სინამდვილეში რა მოხდა?

როცა მოსწავლეები სქემაში გადაიტანენ თავიანთ ნააზრევს, გარძელება კითხვა:

„...დათო დედასთან ერთად ავტობუსით მიდიოდა. ავტობუსში მოხუცი ქალი ამოვიდა. დათო წამოხტა და თავისი ადგილი დაუთმო. მოხუცმა დედამისს უთხრა: „რა ზრდილობიანი შვილი გყოლიათ“. დედამ გაიღიმა და კმაყოფილებით გადახედა ბიჭს“.

ამის შემდეგ ენის შემსწავლელი ავსებენ ცხრილის ბოლო სვეტსაც.

ამ სტრატეგიის გამოყენება შეიძლება როგორც ინდივიდუალურად, ასევე წყვილებში მუშაობისას. ეს მეთოდი შეიძლება წარმოვადგინოთ ასეთი ფორმითაც:



ამ სახით კითხვა ენის შემსწავლელს აძლევს ტექსტის გაგების საშუალებას. ისინი მსჯელობენ და პასუხობენ მასწავლებლის მიერ დასმულ შეკითხვებს (პირველ რიგში მასწავლებელი ამოწმებს, თუ როგორ გაიგეს ტექსტი მსმენელებმა).

ტექსტის მიხედვით უპასუხეთ შეკითხვებს:

- რას ეუბნებოდა დედა დათოს?
- როგორ შეასრულა დათომ დედის დარიგება?

მოცემული საკვანძო სიტყვებით დაასახელეთ ტექსტიდან სამი შემთხვევა:

1. **ქუჩაში:** დათომ ქუჩაში ნაცნობი ბიძია დაინახა...
2. **მაღაზიაში:** დათო მაღაზიაში შევიდა ბრინჯის საყიდლად...
3. **ავტობუსში:** ავტობუსში მოხუცი ქალი ამოვიდა...

აქვე მოსწავლეები გამოყოფენ არსებით სახელებს და არკვევენ, რომელია ვინ ჯგუფის და რომელი – რა ჯგუფის. **ამავე საფეხურზე მასწავლებელი შეარჩევს კითხვებს, რომლებიც გამიზნული იქნება არსებით სახელზე აქცენტირებისათვის.**

მაგალითად:

1. მონახეთ ტექსტში სამი არსებითი სახელი, რომლებიც აღნიშნავს მოქმედების ადგილს (ქუჩა, მაღაზია, ავტობუსი).

2. მონახეთ ტექსტში სამი არსებითი სახელი, რომლებიც აღნიშნავს მოქმედების ობიექტს (ბიძია, ბერიკაცი, ქალი) და ა.შ.

ტექსტის მიხედვით დასვით ბოლო და შემაჯამებელი შეკითხვა:

- როგორი იყო დედის რეაქცია შვილის საქციელზე?

შეკითხვები მსჯელობისთვის:

- რას ფიქრობთ თქვენ?

- მოგეწონათ დათოს საქციელი?

- თქვენ როგორ მოიქცეოდით დათოს ადგილზე?

- როგორი უნდა იყოს ადამიანი?

დასახელებული მეთოდი არაქართულენოვან ჯგუფებში ავითარებს კითხვის, წერის, ზეპირმეტყველების უნარებს და ეხმარება გრამატიკის საკითხების გაგებაში, წარმოსახვისა და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებაში.

რა თქმა უნდა, აქტივობის მოდიფიცირება შესაძლებელია მსმენელთა ასაკის, უნარ-ჩვევებისა და საჭიროების მიხედვით.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ კითხვის მოტივაციას ამლიერებს არჩევანის თავისუფლება – ზოგჯერ მასწავლებელმა ენის შემსწავლელს უნდა მისცეს საშუალება, აირჩიოს წასაკითხი მასალა. სხვადასხვა სახისა და ჟანრის ტექსტები ენის დაუფლების არსებითი წყაროა. ასევე, მათ უნდა მიეცეთ წაკითხულით აღძრული შთაბეჭდილებების თანაჯგუფელებისათვის გაზიარების, გულწრფელი აზრის გამოხატვის შესაძლებლობაც. ასე ისინი უკეთ გაიაზრებენ ტექსტს, მიღებულ ინფორმაციას, შეხედულებებს.

ტექსტების ამგვარი სისტემატიზაცია კითხვის სტრატეგიების კიდევ უფრო მეტ მრავალფეროვნებას გულისხმობს. მთავარია, ენის შემსწავლელთათვის უცხო არ იყოს აქტიური მკითხველის როლი და მორგებული იყოს გრამატიკულ მასალას, რაც შესაძლებლობას მისცემს მათ, გაიმდიდრონ ენობრივი მარაგი და მიაღწიონ მეტ დამოუკიდებლობას სწავლაში.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ წერითი მეტყველების განვითარება ჩამორჩება ზეპირი მეტყველების განვითარებას, რადგან მისი ყოველმხრივ დახვეწა მნიშვნელოვან ფაქტორებზეა დამოკიდებული. ბუნებრივია, ამგვარი პრაქტიკა გათვალისწინებული უნდა იქნას არსებითი სახელის (და, საზოგადოდ, სახელების) სწავლების დროს. რადგან ერთობლივად კითხვის სტრატეგიას შევხებით, აქვე შევნიშნავთ, რომ არაქართულენოვან ჯგუფებში „ერთობლივ კითხვასთან“ ერთად, გამართლებულია ე.წ. „ერთობლივი წერა“, ანუ მასწავლებელთან ერთად წერს მთელი ჯგუფი. მასწავლებელი წერს დაფაზე სიტყვებს, საორიენტაციო შეკითხვებს, მარტივ ფრაზებს. იგი მსმენელებს ყურადღებას ამახვილებინებს სახელთა ფორმებზე, მათ დაწერილობაზე (რაც იმ ეტაპისთვის აქვთ ნასწავლი). იგი ცდილობს, ენის შემსწავლელებს თავად დააკავშირებინოს ერთმანეთთან სახელები, სახელი და ზმნა, დაასმევინოს კითხვა სწორად და ა.შ. ამ დროს წერის პროცესი აქტიურია, ჩართულია ყველა. ეს მეთოდი სახალისოა. მასწავლებელი ახსენებს ენის შემსწავლელებს, „რომ თავად იქნება კალამი და მოსწავლეების ნააზრევს დაფაზე დაწერს“. ასეთი მიდგომა, ვფიქრობთ, არაქართულენოვან მსმენელს თუ აუდიტორიას უკარგავს იმ შიშს, რასაც „წერის შიში“ ჰქვია.

„მასწავლებელს შეუძლია, გაითვალისწინოს და გამოიყენოს ის ფაქტორი, რომ მოსწავლეებს გამომუშავებული აქვთ მშობლიურ ენაზე წერის უნარი. შესაბამისად, მეორე ენაზე წერის შესწავლისას გარკვეული გამოცდილება უკვე აქვთ. ამ გამოცდილებას ისინი აუცილებლად გამოიყენებენ ქართულად წერის დროსაც“ (G-Preied, 2015 :294).

წარმატებული სწავლებისთვის მნიშვნელოვანია ქართული ენის შემსწავლელი წერის პროცესში თავს გრძნობდეს კომფორტულად, ესმოდეს, რას წერს და რისთვის წერს. წერის აქტივობა ინტეგრირებული უნდა იყოს სხვა ენობრივი მიმართულებების სწავლებასთან. ყურადღება უნდა გავამახვილოთ არა შეცდომებზე,

არამედ წერის დროს გამოვლენილ ძალისხმევასა და შედეგზე, განსაკუთრებით წერის სწავლის საწყის ეტაპზე. დავაფიქსიროთ შეცდომები არა ხაზგასასმელად და კრიტიკული შენიშვნების მისაცემად, არამედ მომავალში მათი აღმოფხვრისთვის საჭირო აქტივობების დასაგეგმად (G- Preied, 2015 :294).

არაქართულენოვან ჯგუფებში მუშაობისას საწყის დონეზე წერითი პროცესის ეფექტურად წარმართვა გულისხმობს: „სიტყვების ჩასმას, მოცემული სიტყვების მიხედვით წინადადებების შედგენას, წინადადების დასრულებას; წინადადების გამართვას; კითხვებზე დადებითი ან უარყოფითი პასუხის გაცემას; კითხვების შედგენას; მარტივი დიალოგის შედგენას; წინადადების შეცვლას ზმნის პირის, დროისა და რიცხვის მიხედვით; მოცემულ თემაზე წინადადებების შედგენას“ (შაბაშვილი, 2012: 5).

ამის მისაღწევად კი სამიზნე აუდიტორიას ეტაპობრივად უნდა გავუფართოოთ და გავურთულოთ ენობრივი და სამეტყველო მასალა, მივაწოდოთ მოდელები, სქემები, მზა წინადადებები, მოკლე ტექსტები, დიალოგები. კითხვის მეთოდის გამოყენებით ისინი უნდა გადავრთოთ წერის პროცესზე (როცა წერს, ვიზუალურად იმახსოვრებს იმას, რასაც კითხულობს). ასეთი მიდგომა ქართული ენის შემსწავლელს ეხმარება სამეტყველო ფუნქციების განვითარებაში.

სწავლებისას აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ კომუნიკაციური, ჯგუფური და პარტნიორული მუშაობის მეთოდები, როლური თამაშები. ზოგსაც მასწავლებელი თავად შეარჩევს სწავლების პროცესში.

სწავლების მეთოდის შერჩევისას მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს მოსმენის, წერის, კითხვის, ლაპარაკის... გაკვეთილების ჰარმონიზაციის, ამ გაკვეთილებზე გამოყენებული მასალის ურთიერთთავსებადობის პრინციპები; მან სწორად უნდა დაგეგმოს მიზანი და სავარაუდო შედეგი: მოცემული ეტაპისთვის რა უნდა იცოდეს ქართული ენის შემსწავლელმა და რის გაკეთებას შეძლებს იგი. სწორედ ამაზეა დამოკიდებული რამდენად წარმატებული იქნება სწავლების პროცესი.

შესაბამისად, ნებისმიერი საკითხის შესწავლა უნდა იყოს მიმართული ოთხივე უნარის – მოსმენის, ლაპარაკის, კითხვის და წერის განვითარებაზე. თითოეული აქტივობა ამ უნარ-ჩვევების ათვისებას უნდა ემსახურებოდეს.

§ 4. ზედსართავი სახელი ქართულში და მისი სწავლების სტრატეგიები არაქართულენოვან ჯგუფებში

ზედსართავი სახელი ჰქვია ისეთ მეტყველების ნაწილს, რომელიც ენაში საგნის ნიშან-თვისებას გამოხატავს.

„ზედსართავით გამოხატული ნიშანი (თვისება) არ არსებობს თავისთავად, რაიმე საგნის გარეშე, ამიტომ ზედსართავი სახელი ჩვეულებრივ საგნის სახელს ახლავს. ზედსართავი, ისევე როგორც არსებითი, ფორმას იცვლის ბრუნვისა და რიცხვის მიხედვით, მაგრამ მათ შორის ამ მხრივ არსებითი განსხვავებაა: არსებითი სახელის ამა თუ იმ ბრუნვისა და რიცხვის ფორმას სათანადო შინაარსიც ახლავს, ზედსართავისა კი მთლიანად არსებითზეა დამოკიდებული და მხოლოდ გრამატიკულ ფუნქციას ასრულებს: სათანადოდ ეწყობა არსებით სახელს“ (კვაჭაძე, 2001: 149).

ტრადიციულად იმიჯნება ერთმანეთისაგან ზედსართავ სახელთა ორი ძირითადი ჯგუფი: ვითარებითი, რომელიც საგნის ნიშან-თვისებას ასახელებს უშუალოდ, სხვა საგანთან მიმართების გარეშე (დიდი მაგიდა, მწვანე მსხალი) და მიმართებითი, რომელიც საგნის ნიშან-თვისებას წარმოაჩენს სხვა საგანთან მიმართებით (ხავსი-ხავსიანი ქვა).

4.1.1. ვითარებითი ზედსართავი სახელები

ვითარებით ზედსართავ სახელთა უდიდესი ნაწილი პირველადი სიტყვაა. მაგ: შავი, პატარა, კარგი, ცუდი, ბოროტი, კეთილი, ყრუ, ცრუ... ვითარებითი ზედსართავი სახელი გარკვეული გრამატიკული და ლექსიკური თავისებურებებით ხასიათდება:

- ა) აწარმოებს ხარისხის ფორმებს (დიდი-უდიდესი-მოდიდო)
- ბ) უნარი აქვს იგივე შინაარსი აღწერითი ფორმითაც გადმოსცეს (ძალიან დიდი, ოდნავ დიდი)
- გ) ქმნის საპირისპირო მნიშვნელობის მქონე (ანტონიმურ) წყვილებს (დიდი-პატარა)
- დ) აქვს ზმნიზედური ფორმები (ჩქარი - ჩქარა)
- ე) აბსტრაქტულ სახელებს უპირატესად სი-ე აფიქსებით აწარმოებს (ახალი - სიახლე).

ეს ნიშნები ყველა ზედსართავი სახელისთვის ერთნაირად დამახასიათებელი არ არის. ბრმა, ყრუ, ცრუ... აბსოლუტურ, მუდმივ ნიშანს გამოხატავს, ამიტომ ხარისხის ფორმებს ვერ აწარმოებს; ხარისხის ნაკლულოვანი სისტემით ხასიათდება: წმინდა-უწმინდესი, ახალი-უახლესი... ფერის და ნაწილობრივ, ზომის აღმნიშვნელი სახელებისთვის ბუნებრივი ჩანს ოდნაობითი ხარისხის ფორმები: წითელი-მოწითალო, ყვითელი-მოყვითალო (უწითლესი, უყვითლესი გრამატიკულად დასაშვები ფორმებია, თუმცა ეს მნიშვნელობა სალიტერატურო ენაში უპირატესად აღწერითად გადმოიცემა: მუქი წითელი, ხასხასა მწვანე. ასევე დიდი-მოდილო, გრძელი - მოგრძო... ზოგი სპეციალისტი ამ ფორმათა წარმოშობას სიტყვაწარმოებას უკავშირებს. (თ. ზურაბიშვილი)

მიღებული შეხედულების თანახმად, ხარისხის ფორმები, საზოგადოდ, ვითარებითი ზედსართავი სახელის კუთვნილებაა, მიმართებითი ზედსართავი სახელი ამ უნარს მოკლებულია. ის ნიშან-თვისება, რომელსაც იგი გამოხატავს (მქონებლობა-უქონლობა, წარმომავლობა, დანიშნულება...) საგანს შეიძლება ახასიათებდეს, ან არ ახასიათებდეს. ამ თვისების მეტ-ნაკლები ოდენობით წარმოდგენა კი შეუძლებელია. თუ რომელიმე მიმართებითი ზედსართავი სახელი ხარისხის ფორმას აწარმოებს, ეს იმას ნიშნავს, რომ მას დაკარგული აქვს მიმართებითობა და ვითარებითად არის ქცეული (ა. შანიძე). ეს ზედსართავებია: ძლიერი (ძალ-იერ-ი), ჭკვიანი (ჭკუ-იან-ი)...

4.1.2. მიმართებითი ზედსართავი სახელი

მიმართებითი ზედსართავი არის ნაწარმოები, მოტივირებული სახელი გამჭვირვალე სტრუქტურითა და სემანტიკით. ფუძის მიხედვით მიმართებითი ზედსართავი სახელი წარმოქმნილი ან თხზულია. წარმოქმნილ ზედსართავებში ძირეულ სახელად (სემანტიკურ ბირთვად) უპირატესად არსებითი სახელი გვხვდება, შედარებით იშვიათად სხვა მეტყველების ნაწილი (კალანდაძე 2009 : 122).

წარმოქმნა ხდება ნაირგვარი სადერივაციო ფორმანტებით:

ა) სუფიქსებით:

-იან (ქონიანი, ქვიშიანი...)

-ოვან (გულოვანი, კლდოვანი...)

-ურ/ -ულ (მთიულური, გურული...)

-იერ (მადლიერი, ძლიერი...)

-ად (გულადი, პირველადი...)

-ით (რიცხვითი, წერითი...);

ბ) პრეფიქსებით (ჩვეულებისამებრ, მიმდებარე წარმოებები):

სა- (სარეცხი, საკეცი, სალენი...)

უ- (უხვედრი, უტყვი...)

ნა- (ნათრევი, ნატეხი...)

გ) პრეფიქს-სუფიქსებით: სა-ო (სასწრაფო, სათადარიგო...)

სა-ე (საქარე, სანერგე...)

უ-ურ (უწიგნური, უგემური, ჟამური...)

უ-ო (უმნო, უგონო, უბედო...) და სხვ.

თხზულ ზედსართავ სახელთა რიგში გამოიყოფა რედუბლიცირებული ფუძეები და ნაირფუძიანი კომპოზიტები:

ა) ფერად-ფერადი, ჭრელ-ჭრელი, დიდ-დიდი, გიჟმაჟი...

ბ) ტკბილ-მწარე, შავ-თეთრი, მეტ-ნაკლები...

გ) მზისდარი, მტრედისფერი, კუდმოკეცილი, თავქუდმოგლეჯილი...

ამრიგად, ზედსართავი სახელი, როგორც ნიშან-თვისების გამომხატველი სიტყვა, საგნის სახელთან – არსებით სახელთან (საზღვრულთან) ერთად ფუნქციონირებს: ქმნის მსაზღვრელ-საზღვრულის სინტაქსურ წყვილს, იბრუნვის როგორც ატრიბუტული მსაზღვრელი (წითელი ვაშლი, წითელმა ვაშლმა...). ზედსართავი სახელი კონტექსტში შეიძლება დამოუკიდებლად, არსებითი სახელის (საზღვრულის გარეშეც შეგხვდეს. ამ შემთხვევაში იგი გასუბსტანტივებულია, შესიტყვებას ქმნის ზმნასთან, ასრულებს არსებითი სახელის ფუნქციას და იბრუნვის როგორც სათანადო ფუძის არსებითი სახელი (კალანდაძე 2009 : 123).

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სახელთა თავისებურებებს განვსაზღვრავთ იმდენად, რამდენადაც ისინი უშუალოდ უკავშირდება სწავლების სტრატეგიებს. ამ შემთხვევაშიც, როცა საქმე ეხება ზედსართავ სახელს, უნდა გავითვალისწინოთ ის სამი ძირითადი კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც ხასიათდება ეს მეტყველების ნაწილი ენათმეცნიერებაში. მათგან უპირველესი ისაა, რომ ზედსართავი სახელის ზოგადი ლექსიკურ-გრამატიკული მნიშვნელობა არის საგნის ნიშანი; გარდა ამისა,

მისი მორფოლოგიური ნიშან-თვისებები განისაზღვრება რიცხვისა და ბრუნვის (ბევრ ენაში აგრეთვე გრამატიკული სქესის, სულიერისა და უსულოს) მორფოლოგიური კატეგორიების მიხედვით, თუმცა, მიუხედავად ამისა, მათ დამოუკიდებელი მნიშვნელობები არსებითი სახელთან დგომის გარეშე არ გააჩნიათ და მხოლოდ შეთანხმების ფუნქციას კისრულობენ. და ბოლოს, ზედსართავის სახელის საბაზისო სინტაქსური ფუნქცია სუბსტანტივური წინადადების წევრთან განსაზღვრების გამოხატვაა. გარდა ამისა, ის შეიძლება შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილად იდგეს წინადადებაში. ბუნებრივია, ამ შემთხვევაშიც ენის შემსწავლელისთვის მნიშვნელოვანია ადრე, მშობლიური ენის ფარგლებში შეძენილი ცოდნა ზედსართავი სახელის შესახებ.

4.2. ზედსართავი სახელის სწავლება არაქართულენოვან ჯგუფებში

ისევე, როგორც არსებითის, ზედსართავი სახელის სწავლებაც უნდა დაიგეგმოს თანმიმდევრულად, ზემოხსენებული „სპირალის“ პრინციპით, მარტივიდან რთულისკენ – შესწავლილი მასალის პერმანენტული გამეორებით. სწავლების თანამედროვე სტრატეგიებში მიღებულია მოსაზრება, რომ თითოეული თემატური ერთეული მასწავლებელს შეუძლია გაანაწილოს რამდენიმე გაკვეთილზე, მას ეძლევა სრული თავისუფლება მასალის გაკვეთილებად განაწილებაში, აქტივობებისა და ორგანიზების ფორმის შერჩევაში. ცხადია, უნდა გაითვალისწინოს ენის შემსწავლელთა შესაძლებლობები, საჭიროებები, მასალის აქტუალურობა და სირთულე, ამიტომ მანამდე უნდა განისაზღვროს გრამატიკული მასალის შერჩევის კრიტერიუმები:

რამდენად სისტემურია;



რამდენად მრავალფეროვანია;

რამდენად მნიშვნელოვანია კომუნიკაციისთვის;

დაკავშირებულია თუ არა ადრე შესწავლილ მასალასთან და ა. შ. (ინასარიძე 2007:16)

ჩვენი მიზანია ძველ მასალაზე ახლის დაშენება და ამიტომ, ზედსართავი სახელის შესწავლას, ისევე როგორც არსებითისას, ქართული ენის შემსწავლელს ვაწყებინებთ სიტყვებით, რომლებსაც ყოველდღიურად ისმენენ, ხედავენ, აღიქვამენ. პირველ რიგში განვიხილავთ ვითარებით ზედსართავ სახელს და ვაცნობთ ენის


შემსწავლელებს, რომ იგი საგნის ნიშან-თვისებას უშუალოდ, სხვა საგანთან მიმართების გარეშე გამოხატავს. აგრეთვე გავაცნობთ ზედსართავი სახელის კითხვებს და მივაწვდით შესაბამის სავარჯიშოებს. აუცილებელია, არაქართულენოვანებმა გაიხსენონ, გაიაზრონ და გამოიყენონ ზედსართავ სახელთან დაკავშირებით მშობლიური ენის სწავლებისას მიღებული ცოდნა, გავაცნობიერონ ზედსართავი სახელის დანიშნულება, რომ ის ახასიათებს არსებით სახელს.



ზედსართავი სახელის სწავლების პირველ ეტაპზე ქართული ენის შემსწავლელს ვავარჯიშებთ, რომ შეძლოს მარტივი ფრაზების, წინადადებების აგება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირველ რიგში ზეპირმეტყველების და მოსმენის უნარ-ჩვევების განმავითარებელ აქტივობებს ვთავაზობთ. ამ შემთხვევაში კარგია მასწავლებლის მხრიდან ე.წ. „დახმარების მეთოდის“ გამოყენება, რაც გულისხმობს: ა) ერთი საკვანძო-საორიენტაციო სიტყვის მითითებას და განვრცობას სხვა სიტყვით ან სიტყვებით. ბ) ერთი საკვანძო-საორიენტაციო სიტყვის მითითებას და სიტყვათა დალაგებას ლოგიკურად. სქემების საშუალებით უფრო მარტივია სიტყვათა დაკავშირება. ტექსტის შექმნა კი შემდგომი პროცესია.

მასწავლებელი ჯგუფთან ერთად ცდილობს, დააკავშიროს სიტყვები ერთმანეთთან. საკვანძო სიტყვა იწერება ცენტრში. იგი აუცილებლად არსებითი სახელი იქნება. დაკავშირების მეთოდით წერა ადვილია.


როგორი?



მასწავლებელი შეკითხვების მეშვეობით ააქტიურებს ენის შემსწავლელებს. აჩვენებს საგანს (ტელეფონი), ურჩევს, რომ ესაა მთავარი–საკვანძო სიტყვა და ყველა შეკითხვა ამ საგანს უკავშირდება. შემდეგ დაფაზე წერს სამ შეკითხვას და მოითხოვს, უპასუხონ წერილობით. თუ მოსწავლეებს უჭირთ წერის დაწყება, პირველი წინადადება შესაძლოა მასწავლებელმა შესთავაზოს. ამ შემთხვევაში ისინი იმახსოვრებენ შეკითხვის ფორმას:

1. ეს რა არის?
 - ეს არის ტელეფონი.
2. როგორი ტელეფონი?
 - ახალი /კარგი /შავი /ლამაზი... ტელეფონი;
3. როგორი ტელეფონი გაქვს?
 - ახალი/კარგი/შავი/ლამაზი ტელეფონი + მაქვს .

ამ სავარჯიშოების წარმოდგენა შემდეგნაირადაც არის შესაძლებელი: მასწავლებელი სთავაზობს ენის შემსწავლელებს თემას/საკითხს ან სიტყვას, რომელიც მნიშვნელოვანია კომუნიკაციისთვის, რათა შეავსონ მოცემული გრაფიკული სქემა. ეს მეთოდი შეიძლება გამოვიყენოთ მაშინ, როცა მოსწავლეებს შეუძლიათ მეტყველების ნაწილების გარჩევა.



ჩემს მეგობარს შავი, ლამაზი ტელეფონი აქვს.

სქემის პირველ ხაზზე იწერება საკვანძო სიტყვა, არსებითი სახელი. მეორე ხაზზე ორი ზედსართავი სახელი, რომლებიც აღწერს საკვანძო სიტყვას. მესამე ხაზზე სამი ზმნა, რომლებიც გამოხატავენ საკვანძო სიტყვის მოქმედებას. ბოლოს მოსწავლეები ცდილობენ წინადადების შედგენას (G-Pried, 2015 :300).

ამ მეთოდის საშუალებით არაქართულენოვანები შემოქმედებითი ფორმით გამოხატავენ ცოდნას და დამოკიდებულებას ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. ეს მეთოდი წარმატებულია გრამატიკული ფორმების (არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, ზმნა) დაუფლებასა და გამოყენებაში.

ზედსართავ სახელთან დაკავშირებული აქტივობები შეიძლება შემდეგნაირად დავალაგოთ სწავლების ამ ეტაპზე: არ ვივიწყებთ ოთხივე უნარის (ზეპირმეტყველება, მოსმენა, კითხვა, წერა) ინტეგრირებულ განვითარებას.

ზედსართავი სახელის სწავლების დროს ყურადღება გადატანილი უნდა იყოს აღწერა/დახასიათებაზე. ტანსაცმლის, ადამიანის, გარეგნობის, ნივთის, ცხოველის და ა. შ... მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი აქტივობა. მასწავლებელი ხმამაღლა კითხულობს მოკლე ტექსტს: „ეს ანას და ნინოს სურთია. ანა ძალიან ლამაზი ქალია. მას აქვს გრძელი წაბლისფერი თმა. მისი თმა ხვეულია. მაღალი შუბლი. დიდი შავი თვალები გრძელი წამწამებით. მაღალი ყელი. ანა მაღალია. ის შავგრემანია. ამ სურათზე ანას გვერდით ნინო დგას. ნინოც ლამაზი ქალია. მას სწორი, ქერა თმა აქვს. ნინოს ძალიან ლურჯი თვალები აქვს. მაღალი შუბლი და დიდი წარბები. ნინო შავგრემანი არ არის, ის თეთრია“ (გაბუნია, 2015:117).

ტექსტის წაკითხვის შემდეგ მასწავლებელი დაფის შუაში წერს სიტყვებს: **ანა** და **ნინო**. შემდეგ ენის შემსწავლელებს სთხოვს გაიხსენონ და უკარნახონ მასწავლებელს თითოეული ქალის მახასიათებლები. შემდეგ ჩახედონ ტექსტს და ნახონ, რა გამორჩათ. საბოლოოდ ყველა მოცემულ ზედსართავს მოუყრიან თავს.

- გამოყოფენ მახასიათებლებს.
- პასუხობენ შეკითხვებს.
- თავიანთი სიტყვებით აღწერენ მარიამს და ანას.
- წაიკითხავენ ტექსტს და შემდეგ მეგობარს მისწერენ მოცემული პერსონაჟების შესახებ.

ეს აქტივობა ქართული ენის სამეტყველო ფუნქციების განვითარებას ემსახურება.

რაც შეეხება მიმართებითი ზედსართავი სახელის სწავლებას, ენის შემსწავლელებს ვუხსნით, რომ მიმართებითი ზედსართავი სხვა სახელისგან იწარმოება: მაგ:

შვილი -----შვილიანი

მარილი -----მარილიანი

ქალაქი-----ქალაქელი

კარგი იქნება თუ არაქართულენოვანები ასეთ ფორმებს სქემის სახით დაიმახსოვრებენ,

მიღებულია არსებითი სახელებისგან:	
იან	შვილიანი, მარილიანი, ყვავილიანი, მთვარიანი....
-ერ/იელ	ნიჭიერი, გონიერი, ღონიერი, გემრიელი...
-ოსან	ფრიადოსანი, ქუდოსანი...
-ოვან	მრავალფეროვანი, ერთფეროვანი...
უ-ო	უმარილო, უშვილო, უხორცო...
-ელ	ქალაქელი, სოფლელი, ინგლისელი...
-ურ/ულ	ქალაქური, ქუთაისური, იმერული...

საინტერესო, სახალისო და ამასთან, სასურველ შედეგზე ორიენტირებული აღმოჩნდა მეთოდი, რომელიც ცნობილია, როგორც „ტექსტის აწყობა“: მოსწავლეებს მიეწოდებათ სიტყვები და მათ უნდა ააწყონ წინადადება. ზედსართავი სახელის სწავლების დროს, ბუნებრივია, მეტი ყურადღება ამ მეტყველების ნაწილზეა გადატანილი. მეთოდი მეტად მოსახერხებელია მოდერნიზებისა და ვარიაციებისათვის. მაგალითად, შესაძლებელია, მიწოდებულ სიტყვათაგან ერთ-ერთი ზედსართავი სახელი სრულიად შეუფერებელი იყოს მოცემული კონტექსტისათვის. მოსწავლემ უნდა ამოიცნოს იგი, ანუ ეს სიტყვა უნდა „მორჩეს“. ვარიანტების დაშვება ამ შემთხვევაშიც შეიძლება: მასწავლებელმა მსმენელები ან წინასწარ უნდა გააფრთხილოს ზედმეტი სიტყვის არსებობის, მათი რაოდენობის შესახებ, ან გაფრთხილების გარეშე მისცეს ამოცნობის შესაძლებლობა. ნებისმიერ შემთხვევაში ეს არის ენასთან ურთიერთობის ცოცხალი პროცესი და სიტყვათა რომელიმე თემატურ ჯგუფზე დაკვირვების კარგი საშუალება.

ქართულში, განსხვავებით სხვა ენებისაგან, თავისებურია ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმათა წარმოების წესი (ერთი მხრივ გვაქვს: დიდი-მოდიდო-უდიდესი და მეორე მხრივ, კარგი-უფრო კარგი და უკეთესი). ქართული ენის შემსწავლელებთან ამ თავისებურებებზეც უნდა გავამახვილოთ ყურადღება.

ბუნებრივია, ენობრივი კომპეტენციების ზრდასთან ერთად იზრდება სწავლების შესაძლებლობები. შემდეგ ეტაპზე, რა თქმა უნდა, ენის შემსწავლელებს, შეიძლება, წერითი საკომუნიკაციო სიტუაციებისა და ტექსტების უფრო მრავალფეროვანი არჩევანი შევთავაზოთ. ენის შემსწავლელი ამგვარი სავარჯიშოებით გაიწაფება მარტივი კონსტრუქციის მქონე წინადადებების აგებაში და მათი გამოყენებით აზრის თანმიმდევრულად გადმოცემაში.

§ 5. რიცხვითი სახელი ქართულში და მისი სწავლების სტრატეგიები არაქართულენოვან ჯგუფებში

რიცხვითი სახელის სემანტიკურ კლასში ერთიანდება იმ რიგის დამოუკიდებელი შინაარსის სიტყვები, რომლებიც საგანთა რაოდენობრივ დახასიათებას (აღწერას, აღრიცხვას) უკავშირდება. ეს არის სიტყვიერი (ენობრივი) გამოხატულება იმისა, რასაც ციფრთა სისტემაში არაბული ან რომაული სიმბოლოებით ავსახავთ. შესაბამისად, რიცხვითი სახელის მთავარი ფუნქციაა საგანთა რ ა ო დ ე ნ ო ბ ი ს გამოხატვა, ხოლო შემდეგ – რაოდენობას თან დაკავშირებული სემანტიკური მიმართებების ასახვა: რ ი გ ი (რაოდენობრივ სათვალავში) და რაოდენობრივი ნ ა წ ი ლ ი (გოგოლაშვილი, 2011: 121).

ამის მიხედვით, რიცხვითი სახელი შეიძლება იყოს:

რაოდენობითი: ერთი, ხუთი, ათი, ასი...

რიგობითი: პირველი, მეხუთე, მეათე, მეასე...

წილობითი: ნახევარი, მეხუთედი, მეათედი....

5.1.1. რაოდენობითი რიცხვითი სახელი აღნიშნავს საგანთა რაოდენობას და უპასუხებს კითხვას: რ ა მ დ ე ნ ი ? **ორ-**ი (ვაშლი), **ცხრა** (ძმა), **ას-**ი (ცხვარი)... რაოდენობითი რიცხვითი სახელების (და მათგან წარმოქმნილი შესაბამისი რიგობითი და წილობითი რიცხვითი სახელების) აგებულება–შედგენილობა ერთგვაროვანი არ არის. გვხვდება როგორც მარტივფუძიანი, ისე რთული შედგენილობის რიცხვითი სახელები; ოღონდაც, ჩვეულებრივი კომპოზიტური

სიტყვაწარმოებისაგან განსხვავებით, რთული რიცხვითი სახელების ნაწილი შერწყმული არ არის, დამოუკიდებელ სიტყვებად იწერება (გოგოლაშვილი, 2011: 123).

არსებობს გარკვეული და გაურკვეველი რაოდენობითი რიცხვითი სახელები. გარკვეულია ერთი, ორი, სამი და ასე შემდეგ, ხოლო გაურკვეველი რიცხვითი სახელებია: ბევრი, მრავალი, ურიცხვი, ცოტა.....

ამრიგად, რიცხვითი სახელი შეიძლება იყოს მარტივი, რთული, შედგენილი. მარტივია ერთი ფუძის რიცხვითი სახელები, ასეთებია: ერთი, ორი, სამი..., ათი, ოცი, ასი, მილიონი. რთული რიცხვითი სახელები შედგება ორი ან მეტი ფუძისაგან: ოც-და-შვიდი, სამ-ოც-და-ცხრა-მეტი... შედგენილია რიცხვითი სახელები, რომლებიც რამდენიმე რიცხვითი სახელისგან შედგება: თხუთმეტი ათას შვიდას სამოცდაჩვიდმეტი...

ფუძის მიხედვით ყველა რაოდენობითი რიცხვითი სახელი თანხმოვანფუძიანია, გარდა რამდენიმესი, ესენია: რვა, ცხრა.

5.1.2. რიგობითი რიცხვითი სახელი გამოხატავს საგნის რიგით „ოდენობას“, იგი რეალურად გამოყოფს რიგით ერთს მრავლისაგან, უჩვენებს კონკრეტული საგნის რიგით „ადგილს“ საგანთა სიმრავლეში:

მეორე (=რიგითი ნომერი ერთსა და სამს შორის)

მეცხრე (= რიგითი ნომერი რვასა და ათს შორის)

ოცდამეათე (= რიგითი ნომერი ოცდაცხრასა და ოცდათერთმეტს შორის)

ორასმეერთე (= რიგითი ნომერი ორასსა და ორას ორს შორის)...

რიგობითი რიცხვითი სახელი იწარმოება რაოდენობითი რიცხვითი სახელისაგან მე – ე კონფიქსის მეშვეობით:

ორ-ი მე-ორ-ე; ხუთ-ი მე-ხუთ-ე; ცხრა მე-ცხრ-ე; ასი მე-ას-ე და მისთ.

როგორც ვხედავთ, ფუძეთანხმოვნთან რაოდენობით რიცხვით სახელს ფუძის სახით გამოიყენებს რიგობითის წარმოება (ორ-ი მეორ- ე...); ხოლო ხმოვნით დაბოლოებული ფუძე -ე სუფიქსის წინა პოზიციაში კვეცას განიცდის: ცხრა მე-ცხრ-ე...

წარმოქმნილი სიტყვა, ჩვეულებისამებრ, იქნება ფუძეხმოვნიანი: მესამე, მეთერთმეტე, ათასმეერთე...

როგორ არის წარმოდგენილი სხვადასხვა შედგენილობის (მარტივის, რთულის, შედგენილის) რაოდენობითისაგან წარმოქმნილი რიგობითი რიცხვითი სახელები? ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია სიტყვაწარმოების ზოგადი პრინციპი: წარმომქმნელი აფიქსებით ნაწარმოები ნებისმიერი რთული სიტყვა (კომპოზიტი) ერთ სიტყვად იწერება (მაგ.: დედაშვილობა, და-ძმური...). შესაბამისად, ნებისმიერი წარმომავლობის რიგობითი რიცხვითი სახელი ერთ სიტყვად უნდა დაიწეროს: მეორასე (ორასი), მეასიათასე (ასი ათასი), ასოცდამესამე (ას ოცდასამი)... ამავე დროს, გასათვალისწინებელია, რომ ამგვარ წარმოებაში მე- თავსართი ყოველთვის თავკიდურ პოზიციას არ იკავებს. კერძოდ:

ა) მე- თავკიდურ პოზიციას იკავებს, როდესაც რიგობით რიცხვით სახელს საფუძვლად უდევს რაოდენობითი:

ერთიდან ოცის ჩათვლით (*მე-სამ-ე, მე-თორმეტ-ე, მე-ოც-ე ...*);

ორმოცი, სამოცი, ოთხმოცი, ასი (*მე-ორმოც-ე, მე-ას-ე ...*);

ასეულთა სახელები: ორასი, სამასი... (*მე-ორას-ე ...*);

ათასეულთა სახელები: ორი ათასი, ცხრა ათასი (*მე-ორიათას-ე ...*);

ბ) მე- თავსართი ბოლო კომპონენტის წინ დაერთვის ყველა დანარჩენი რთულფუძიანი რაოდენობითი რიცხვითი სახელიდან წარმოქმნილ რიგობითს:

ოცდა-მე-შვიდ-ე, სამოცდა-მე-ცხრ-ე, ას-მე-ხუთ-ე...

შენიშვნა: 1. საგანთა რაოდენობა (შესაბამისად – რიგობითობა) შეიძლება გამოხატული იყოს რიცხვითი (ციფრობრივი) სიმბოლოებით. რიგობითი რიცხვითი სახელის არაბული ციფრებით გადმოცემისას განსხვავებული დაწერილობა გვექნება მითითებული ორი ჯგუფის მიხედვით. პირველ შემთხვევაში მხოლოდ მე- თავსართი დაერთვის (მე-5, მე-20, მე-100...), ხოლო მეორე შემთხვევაში – მხოლოდ -ე ბოლოსართი (29-ე, 109-ე, 1001-ე...).

რიგობითის გადმოსაცემად რომაულ ციფრებს (I – ერთი, V – ხუთი, X – ათი, L – ორმოცდაათი, C – ასი, D – ხუთასი, M – ათასი) თავსართ-ბოლოსართები არ დაერთვის: I, V, X, XX, XXII და მისთ.

2. ერთი-ს შესაბამისი რიგობითია **პირველი**, მაგრამ რთულ ფუძეში კვლავ „ერთი“ იქნება: *სამოცდამეერთე, ასმეერთე...*

5.1.3. წილობითი რიცხვითი სახელი გამოხატავს მთელის (სიმრავლის) რიცხობრივ (რაოდენობრივ) **ნაწილს**. ის ციფრულ რეალობაში შეესაბამება წილადს „ერთი“ მრიცხველით. როგორც ცნობილია, ასეთ დროს შეგვიძლია ვთქვათ მხოლოდ მნიშვნელი (მრიცხველის გარეშე):

მესამედი, მეასედი

წილობითი რიცხვითი სახელი იწარმოება რიგობითისაგან სადერივაციო **-დ** სუფიქსის დართვით (რომელიც წარმოშობით ვითარებითი ბრუნვის ნიშანია):

მესამე – მესამე-დ-ი; მეცამეტე – მეცამეტე-დ-ი; ორმოცდამეხუთე – ორმოცდამეხუთე-დ-ი...

წარმოქმნილი სიტყვა, ჩვეულებისამებრ, იქნება ფუძეთანხმოვნიანი: მეცხრედ-ი, ოცდამეხუთედ-ი, მეათასედ-ი...

წარმოების დანარჩენი თავისებურებები რიგობითი რიცხვითი სახელისაგან მომდინარეობს; შდრ.:

მეხუთე – მეხუთედ-ი; ოცდამეხუთე – ოცდამეხუთედ-ი

ასმეხუთე – ასმეხუთედ-ი და სხვა.

შენიშვნა: 1. მოსალოდნელი **მეორედი-ს** ნაცვლად გამოიყენება სიტყვა **ნახევარი**.

2. **ნახევარი** რიცხვით სახელთან ერთად დაიწერება დეფისით: სამ-ნახევარი... ასევე აღრიცხვად არსებით სახელებთან: ლარ-ნახევარი, ტონა-ნახევარი...

5.2. რიცხვითი სახელის სწავლება არაქართულენოვან ჯგუფებში

არაქართულენოვან ჯგუფებში რიცხვითი სახელების სწავლება ენის სწავლების ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. ფაქტია, რომ ჩვენ ყოველდღიურ ცხოვრებაში, მარტივი კომუნიკაციის დროს აქტიურად ვიყენებთ რიცხვით სახელებს. სწორედ რიცხვითი სახელებით ხდება ადამიანთა თუ საგანთა რაოდენობის დასახელება, ტელეფონის ნომრების დამახსოვრება, ფასებზე საუბარი და ა.შ. ანუ, რიცხვითი სახელები ნებისმიერი ენის ლექსიკის აქტიური ნაწილია. მთავარი ისაა,

არაქართულენოვანებს მარტივად, იოლი გზით ავუხსნათ და გავაგებინოთ ქართულში რიცხვითი სახელების შესწავლასთან დაკავშირებული სირთულეები.

რიცხვითი სახელის სწავლებისას მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება ისეთ კომპონენტებზე, როგორცაა: ა) მარტივფუძიანი, ბ) რთული, რომლებიც ორი ან მეტი ფუძისაგან შედგება; გ) შედგენილი, რომლებიც რამდენიმე რიცხვითი სახელისგან შედგება; დ) განსაზღვრული და განუსაზღვრელი რაოდენობითი რიცხვითი სახელები.

სასურველია, პირველი გაკვეთილი დაეთმოს დათვლას და შემსწავლელებს საშუალება მიეცეთ, მაქსიმალურად იაქტიურონ და გამოავლინონ თავიანთი ცოდნა ამ სფეროში. ამის შემდეგ ვაცნობთ რაოდენობითი რიცხვითი სახელის ძირითად განმარტებას და პრაქტიკული სავარჯიშოების დახმარებით განვუმარტავთ, რომ რაოდენობითი რიცხვითი სახელი საგანთა რაოდენობას აღნიშნავს და პასუხობს კითხვაზე რამდენი? რიცხვითი სახელების სწავლება მიმდინარეობს არსებითი სახელის პარალელურად. მსმენელებს ყურადღებას ვამახვილებინებთ ჯერ საგანზე, და შემდეგ საგანთა რაოდენობაზე. სასურველია, ახსნის პროცესში და დაფაზე მასალის წარმოდგენისას თავად შემსწავლელებმა მიიღონ მონაწილეობა. მაგალითად ვხაზავთ სქემას და ვთხოვთ ენის შემსწავლელებს დაასახელონ მათ ირგვლივ მყოფი ადამიანების რაოდენობა, ასევე სხვადასხვა საგნების რაოდენობა. რიცხვით სახელებს ვაფიქსირებთ მოცემულ ცხრილში. ამასთან, ენის შემსწავლელებს აქტიურად ვრთავთ როგორც უშუალოდ წერის პროცესში, ასევე ტექსტის შედგენასთან დაკავშირებულ დისკუსიაში.

რამდენი?	
დაფა	ორი
მერხი	თხუთმეტი
სკამი	თვრამეტი
რუკა	სამი
კარადა	ერთი
კალამი	ბევრი
რვეული	ოცდაერთი

ამის შემდეგ შემსწავლელებს ვუნიშნავთ მარტივფუძიან რიცხვით სახელებს, და ვუხსნით, რომ მარტივია რიცხვითი სახელი, რომელიც ერთი ფუძისგან შედგება და მათთან ერთად ვცდილობთ დასახელებას: ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა, ცხრა, ათი, ოცი, ასი... კარგი იქნება თუ ამ შემთხვევაშიც შევადარებთ ქართულსა და შემსწავლელთა მშობლიურ ენებს ერთმანეთს, ანუ კონკრეტულ საკითხს, ამ შემთხვევაში რიცხვით


სახელებს. იმისთვის, რომ შემსწავლელებმა უკეთ გაიაზრონ მოცემული საკითხი, ვთავაზობთ შემდეგ სავარჯიშოს:

მოუსმინეთ აუდიო ჩანაწერს (ან მასწავლებელი უკითხავს) და შემოხაზეთ მარტივი რიცხვითი სახელები:

9	16	20	2	19	5
	12	4	18	10	13
7	17	1	3	8	0

ამის შემდეგ ენის შემსწავლელები ქართულად წარმოთქვამენ მათ მიერ შემოხაზულ რიცხვით სახელებს და წერენ რვეულებში. ეს სავარჯიშო ხელს უწყობს სწრაფი აზროვნების განვითარებას, ყურადღების მობილიზებას, სიტყვის შედგენილობის გააზრებას.

შემდეგი ეტაპი რთული რიცხვითი სახელების სწავლებაა, რა თქმა უნდა, შემსწავლელებს ტერმინების დამახსოვრებას არ ვთხოვთ, მაგრამ მართლწერის საკითხებისთვის მათი გარჩევა აუცილებელია. არაქართულენოვანებს ვუხსნით, რომ ათიდან ცხრამეტამდე რიცხვითი სახელები ქართულში ნაწარმოებია ფუძეების შეერთებით. იმისთვის რომ მარტივად დავამახსოვრებინოთ რთული რიცხვითი სახელები, წარვუდგენთ მათ წარმოების წესს. ჩვენ უკვე ვიცით რიცხვითი სახელი ათი, მას ემატება მეორე რიცხვითი სახელი და სიტყვა მეტი, რომელიც გამოხატავს ათს დამატებულ ოდენობას.



ჯგუფში მუშაობისას შეიძლება მოვუხმოდ პარალელებს ენის შემსწავლელის მშობლიური ენიდან. ამაჯერად შედარებისთვის თურქული ენის მაგალითებს მოვიხმობთ. აღსანიშნავია, რომ თურქულში უფრო მარტივადაა საქმე, რადგან ყოველი ათეული იწყება წინა ათეულზე ერთეულის დართვით და ორივე ნაწილი ფუმის სახითაა წარმოდგენილი: $10+1=11$ (on bir); $10+2=12$ (on iki); $10+3=13$ (on üç)...

$20+1=21$ (yirmi bir) ; $30+1=31$ (otuz bir). ამ ფორმათა გამოყენებას ააქტიურებს ასევე შესაბამისი სიტუაციების გათამაშება, როცა ხდება კონკრეტული ინფორმაციის მიწოდება საკუთარი თავის, საცხოვრებელი ადგილის, საქმიანობის, ასაკის, ინტერესის... შესახებ. ამ შემთხვევაშიც ამოცანა შეიძლება რამდენიმე ეტაპად განხორციელდეს. მაგალითად, შეიძლება შემსწავლელებს:

- მივაწოდოთ მოკლე სიტუაციური ტექსტი;
- მოვთხოვოთ ტექსტიდან რაოდენობითი რიცხვითი სახელების ამოწერა;
- შევადგენინოთ ხუთი კითხვა მოცემული ტექსტის მიხედვით (გამოვაყენებინოთ კითხვითი სიტყვა რამდენი?)
- ბოლოს კი შემსწავლელებს შევასწორებინოთ ერთმანეთის ნამუშევრები;


მაგალითად:

მე ვარ ანა. ჩემი გვარია თურმანიძე. მე სკოლაში დავდივარ. ჩემს კლასში თექვსმეტი მოსწავლეა, თერთმეტი გოგო და ხუთი ბიჭი. დედაჩემი მასწავლებელია, მამაჩემი ინჟინერია. ჩემი და თორმეტი წლისაა. მისი სახელია ნინო. ისიც მოსწავლეა, სწავლობს მეექვსე კლასში. ძმა ათი წლისაა. მისი სახელია ირაკლი. ის მეოთხე კლასში სწავლობს. ჩვენი სახლი აბაშიძის ქუჩაზეა.


- 1.რამდენი მოსწავლეა ანას კლასში? _____ (თექვსმეტი)
- 2.რამდენი გოგო სწავლობს ანას კლასში? _____ (თერთმეტი)
3. რამდენი ბიჭი სწავლობს ანას კლასში? _____ (ხუთი)
4. რამდენი წლისაა ანას და? _____ (თორმეტი)
5. რამდენი წლისაა ანას ძმა? _____ (ათი)

ამ სავარჯიშოების შესრულების შემდეგ ენის შემსწავლელები ერთმანეთს უცვლიან თავიანთ ნამუშევრებს და ასწორებენ. ეს მეთოდები მათ ეხმარება ყურადღების კონცენტრირებაში და წინარე ცოდნის გააქტიურებაში.

სწავლების შემდეგ ეტაპზე ყურადღებას ვამახვილებთ იმაზე, რომ რიცხვითი სახელი „ოცი“ სულ სხვა ფუნქციით გამოიყენება. ოცის ზემოთ რიცხვითი სახელებიც ქართულში ნაწარმოებია ფუძეების შეერთებით, თუმცა განსხვავებულია წარმოების ტიპი: ორი რიცხვითი სახელი ერთმანეთს და კავშირის საშუალებით უერთდება



ამის შემდეგ ვაგრძელებთ თვლას და შემსწავლელებისთვის უკვე ნათელი ხდება ოცობითი სისტემის არსი: ოცდათერთმეტი, ოცდათორმეტი, ოცდაცამეტი და ა.შ.



40 (ორმოცი) არის ორჯერ ოცი (2×20); **ორ(ი)×20**: ორ(მ) + ოცი;

41(ორმოცდაერთი)= 40+1(ორმოც-და-ერთი)...

50 (ორმოცდაათი)= 40+10 (ორმოცი+და+ათი)> ორმოც-და-ათი;

51(ორმოცდათერთმეტი)=40+11(ორმოცი+და+თერთმეტი)>ორმოც-და-თერთმეტი...

60 (სამოცი) არის სამჯერ ოცი (3×20); **სამ(ი)×20**: სამ + ოცი;

61=(სამოცდაერთი) = 60+1 (სამოც-და-ერთი)...

70 (სამოცდაათი)= 60+10 (სამოცი+და+ათი)> სამოც-და-ათი;

71(სამოცდათერთმეტი)=60+11 (სამოცი+და+თერთმეტი)>სამოც-და-თერთმეტი...

80 (ოთხმოცი) არის ოთხჯერ ოცი (4×20); **ოთხ(ი)×20**: ოთხ(მ) + ოცი;

81 (ოთხმოცდაერთი)=80+1 (ოთხმოც-და-ერთი)...

90 (ოთხმოცდაათი)= 80+10 (ოთხმოც-და-ათი);

91(ოთხმოცდათერთმეტი)=80+11(ოთხმოცი+და+თერთმეტი)>ოთხმოც-და-თერთმეტი...

100 (ასი)

1000 (ათასი)= (ათ(ი) ×ასი

ქართული ენის შემსწავლელებისთვის სირთულეს წარმოადგენს რაოდენობითი რიცხვითი სახელის მართლწერა, განსაკუთრებით რამდენიმეფუძიანი რაოდენობითი რიცხვითი სახელებისა. ამ შემთხვევაში არაქართულეოვანებს ყურადღებას ვამახვილებინებთ იმაზე, თუ რამდენი ფუძისგან შედგება რიცხვითი სახელი. შესაბამისად, მათ ვუხსნით დაწერილობის პრინციპებს სათანადო მაგალითების ჩვენებით.

ორფუძიანი რაოდენობითი რიცხვითი სახელები იწერება ცალ-ცალკე: ას ერთი, ას ორი, ას ათი...

განსხვავებაა სამფუძიანი რაოდენობითი რიცხვითი სახელების დაწერილობაში, კერძოდ: ა) სამივე ფუძე ცალ-ცალკე იწერება: ორი ათას ორი (2002), ორი ათას თვრამეტი (2018)... ბ) რაოდენობითი რიცხვითი სახელის პირველი ნაწილი იწერება ცალკე, დანარჩენი (თავად რთულფუძიანი) ერთად: ას ოცდაჩვიდმეტი (137), ათას ორმოცდათხუთმეტი (1055);

იგივე პრინციპი შეიძლება გამოვიყენოთ ოთხ და მეტფუმიან რაოდენობით რიცხვით სახელებთანაც, როგორცაა: ორი ათას ორას ოცდახუთი (2225), თხუთმეტი ათას ცხრაას სამოცდაათი. ანუ, რთული რაოდენობითი რიცხვითი სახელის ბოლოკომპონენტი იწერება ერთად, წინა კომპონენტები კი-ცალ-ცალკე.

ამის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად წერს დაფაზე შედგენილი რიცხვითი სახელების მაგალითებს:

137 – ას ოცდაჩვიდმეტი.

1238 – ათას ორას ოცდათვრამეტი.

1957 – ათას ცხრაას ორმოცდაჩვიდმეტი.

შემდეგ სვამს კთხვებს:

-რომელი წელია ახლა?

-როდისაა თქვენი დაბადების დღე?

-რომელ წელს დაიბადე?

-დაასახელეთ თქვენი ერთ-ერთი მეგობრის დაბადების წელი.

ამგვარი სავარჯიშოებით მასწავლებელი ცდილობს, სასწავლო პროცესში მაქსიმალურად ჩართოს მთელი ჯგუფი.

აგრეთვე მნიშვნელოვანია სიტუაციური დიალოგების მოხმობაც. მაგალითად:

- გთხოვთ, თქვენი ტელეფონის ნომერი მითხარით...

- 25-74-21.

- მობილური გაქვთ?

- დიახ, ჩემი მობილური ტელეფონის ნომერია: 523 -39-45-80.

- დიდი მადლობა. საღამოს დაგირეკავთ, რაღაც უნდა გკითხოთ.

- კი ბატონო. 7 საათიდან სახლში ვიქნები.

- ნახვამდის.

- ნახვამდის.

პირველ რიგში ვაკითხებთ დიალოგებს ცალკეულ მსმენელს, შემდეგ ვთხოვთ, ასეთი დიალოგი ააგონ მეწყვილესთან ერთად (რომელსაც ან თავად შეარჩევს, ან სხვა ურჩევს).

ქართული ენის შემსწავლელებთან ყურადღებას ვამახვილებთ განუსაზღვრელობით რაოდენობით რიცხვით სახელზე ბევრი, რომლის შესატყვისი თურქულში არის **çok**, მაგრამ გამოყენების თვალსაზრისით განსხვავებაა ქართულსა

და თურქულ ენებში. სწორედ ეს ქმნის სირთულეს. ჩვენი მიზანია, არაქართულენოვას გავაგებინოთ, რომ:

1. ქართულ ენაში **ბევრი** გამოიყენება როგორც სულიერ, ისე უსულო საგნებთან მიმართებით. ამ დროს იგი ერთგვარი ატრიბუტული მსაზღვრელის როლშია. მაგალითად: ბევრი სტუმარი, ბევრი ხალხი, ბევრი ბილეთი, ბევრი მერხი, ბევრი შრომა და ა.შ. თურქულ ენაში კი **çok** ერთდროულად მიემართება სახელებსაც და ზმნასაც. მაგალითად: Çok müsafir (ბევრი სტუმარი), çok kitap (ბევრი წიგნი), çok kalem (ბევრი კალამი)... მაგრამ çok güzel (ძალიან ლამაზი), çok seviyorum (ძალიან მიყვარს), çok istiyorum (ძალიან მინდა). ე.ი. არაქართულენოვანებს უნდა ავუხსნათ, რომ არსებით სახელებთან (და არსებითთან გათანაბრებულ სიტყვებთან) გამოიყენება განუსაზღვრელი რაოდენობითი რიცხვითი სახელი **ბევრი**. ზედსართავებთან, მიმდებარებულთან და ზმნებთან კი –**ძალიან**.

რაც შეეხება რიგობითი რიცხვითი სახელის სწავლებას, პირველ რიგში შემსწავლელებს უნდა გავაგებინოთ, რომ **რიგობითი რიცხვითი სახელი** გამოხატავს საგნის რიგით „ოდენობას“, იგი რეალურად გამოყოფს რ ი გ ი თ ე რ თ ს მრავლისაგან, უჩვენებს კონკრეტული საგნის რ ი გ ი თ „ადგილს“ საგანთა სიმრავლეში: *მეორე* (=რიგითი ნომერი ერთსა და სამს შორის); *მეცხრე* (= რიგითი ნომერი რვასა და ათს შორის)...

რიგობითი რიცხვითი სახელი როგორც ქართულში, ასევე თურქულში იწარმოება რაოდენობითი რიცხვითი სახელისაგან: ქართულში მე-ე თავსართ ბოლოსართისგან, თურქულში მხოლოდ ბოლოსართი დაერთვის ყველა რიცხვს:

-inci, - inci, - uncu, - üncü- თანხმოვანფუძიანებისთვის.

-İnci, - nci, - ncu, - ncü - ხმოვანფუძიანებისთვის. მაგ: bir > birinci ერთი > პირველი.

I	პირველი	1-ლი
II	მეორე	მე-2
III	მესამე	მე-3
.....		
XX	მეოცე	მე-20
XXI	ოცდამეერთე	21-ე
XXII	ოცდამეორე	22-ე

სურათის სისრულისთვის მოგვსჯეს ცხრილი ქართული, თურქული და უკრაინული ენებისთვის. ცხრილში მოცემულია რაოდენობითი და რიგობითი რიცხვითი სახელების ფორმები ერთიდან ათამდე:

ქართული			უკრაინული			თურქული		
რაოდენობითი	რიგობითი		რაოდენობითი	რიგობითი		რაოდენობითი	რიგობითი	
ერთი	პირველი	1-ლი	Один	Перший	1-й	bir	Birinci	1-inci
ორი	მეორე	მე-2	два	Другий	2-й	İki	İkinci	2-nci
სამი	მესამე	მე-3	три	Третій	3-й	Üç	Üçüncü	3-üncü
ოთხი	მეოთხე	მე-4	Чотири	Четвертий	4-й	Dört	Dördüncü	4-üncü
ხუთი	მეხუთე	მე-5	П'ять	П'ятий	5-й	Beş	Beşinci	5-inci
ექვსი	მეექვსე	მე-6	шість	Шостий	6-й	Altı	Altıncı	6-ncı
შვიდი	მეშვიდე	მე-7	сім	Сьомий	7-й	Yedi	Yedinci	7-nci
რვა	მერვე	მე-8	вісім	Восьмий	8-й	Sekiz	Sekizinci	8-inci
ცხრა	მეცხრე	მე-9	дев'ять	Дев'ятий	9-й	Dokuz	Dokuzuncu	9-üncü
ათი	მეათე	მე-10	десять	десятий	10-й	On	Onuncu	10-üncü

ამგვარი ვიზუალური მასალა შემსწავლელს საშუალებას აძლევს, უკეთ გაიაზროს მოცემული საკითხი. რიგობითი რიცხვითი სახელის შესწავლის შემდეგ, კარგი იქნება, თუ ერთი და იგივე თემატიკა და ტექსტიც კი რამდენჯერმე განმეორდება. მაგალითად, რაოდენობითი რიცხვითი სახელის დროს შესწავლილი ტექსტი და სავარჯიშოები რომ გამოვიყენოთ რიგობითი რიცხვითი სახელის სწავლის დროს. რა თქმა უნდა, თემატიკა უნდა შესაბამებოდეს ახალ მასალას. ეს ყველაფერი გვაძლევს შედარებისა და გამეორების საშუალებას. ბუნებრივია, ეს პრაქტიკა უნდა გამოვიყენოთ წილობითი რიცხვითი სახელების სწავლების დროსაც და საზოგადოდ, მეორე ენის სწავლების ყველა ეტაპზე.

გასათვალისწინებელია, რომ ენის შემსწავლელეები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ცოდნით, გამოცდილებითა და მოტივაციით. ამას ემატება პიროვნული თვისებები, სწავლის სტილი, ინტელექტუალური უნარები, ინტერესები და მოთხოვნები. სწავლების პროცესი სახალისო და საინტერესო, ნაყოფიერი და წარმატებული იქნება, თუ მასწავლებელი დააკვირდება თითოეულის მონაცემებს და

გაითვალისწინებს სასწავლო პროცესის, კონკრეტული სამუშაოების შესრულების დროს.

§ 6. ნაცვალსახელი ქართულში და მისი სწავლების სტრატეგიები არაქართულენოვან ჯგუფებში

6.1. ნაცვალსახელის რაობა

სახელთა კლასებს შორის ნაცვალსახელს განსხვავებული ადგილი უჭირავს. მისი თავისებურება უპირველესად მდგომარეობს იმაში, რომ არ აქვს ისეთი დამოუკიდებელი სემანტიკური ველი, როგორც არსებითს, ზედსართავსა და რიცხვითს სახელებს; მეტიც, ნაცვალსახელი ყველა სხვა სახელის ზოგად სემანტიკურ მონაცვლედ არის განსაზღვრული. ზოგადიო – ვამბობთ იმიტომ, რომ ის კონკრეტული საგნობრივი მიმართებები, რაც დანარჩენი სახელების ენობრივ შინაარსს წარმოადგენს, ნაცვალსახელებში განზოგადებულად არის მინიშნებული.

მაგალითად, ის, რაც არსებით სახელთა კლასში არის – ხე, ქვა, წიგნი, მწერი, ბატი... – ნაცვალსახელებში არის მხოლოდ „ის“; ის, რაც ზედსართავ სახელებში შეიძლება იყოს – თეთრი, შავი, მაღალი, დაბალი, მსუბუქი, მძიმე, ტკბილი, მწარე, კეთილი, ბოროტი, ახლობელი, შორეული, ქალაქელი, სოფლელი... – შესაბამის ნაცვალსახელებში არის – „**როგორი, რანაირი, რომელი, სადაური... ისეთი, იმნაირი, იქაური...** ის, რაც რიცხვით სახელებში არის – ერთი, ორი, სამი, ცხრა, ოცი, ასი, ორასი, ათასი... – ნაცვალსახელით გამოიხატება როგორც „**რამდენი... ამდენი**“ და მისთ.

აქედან გამომდინარე, ნაცვალსახელის ენობრივი დანიშნულება რომელიმე სხვა სახელის როლში ყოფნაა; დამოუკიდებელი არსებობა მას არსებითად არ ახასიათებს. აღსანიშნისა და აღმნიშვნელის სემანტიკური მიმართება აქ მხოლოდ პირობითი შინაარსისაა (საგნობრივი შინაარსისაგან ნაცვალსახელი არსებითად დაცლილია).

ნაცვალსახელი, როგორც მეტყველების ნაწილი, ყველა ენაშია და ყველგან ერთი და იმავე ფუნქციით არის წარმოდგენილი. შესაბამისად, შესასწავლი ენის მშობლიურ ენასთან შედარება–შეპირისპირება ხშირად ამ შემთხვევაშიც აუცილებელია.

მაგალითად, განვიხილოთ ჩვენებითი ნაცვალსახელი „ეს“ და მისი მიმართება არსებით სახელთან: ქართულში არსებით სახელთან შეწყობილი ნაცვალსახელი წარმოდგენილია მხოლოდ რიცხვში, ამასთან, იგი არ განასხვავებს სქესის გრამატიკულ კატეგორიას:

ეს გოგო

ეს ბიჭი

ეს ხე

ეს გოგოები

ეს ბიჭები

ეს ხეები

განსხვავებული სურათია ინგლისურ ენაში. მართალია, სქესის გრამატიკული კატეგორია ნაცვალსახელით არც ამ შემთხვევაში გამოიხატება, სამაგიეროდ, არსებითი მასთან შეწყობილ ნაცვალსახელს მართავს რიცხვში და მრავლობითში ქართულისგან განსხვავებულ ფორმებს ვლდებულობთ:

ეს გოგო - **This girl**

ეს ბიჭი - **This boy**

ეს ხე - **This tree**

ეს გოგოები - **These girls** (// ესენი გოგოები)

ეს ბიჭები - **These guys** (//ესენი ბიჭები)

ეს ხეები - **These trees** (// ესენი ხეები)

უკრაინულ ენაში ნაცვალსახელით წარმოდგენილია სქესის გრამატიკული კატეგორია, ამასთან, ამ შემთხვევაშიც, ქართულისგან განსხვავებით, მრავლობითში მდგარ არსებითთან შეწყობილი ნაცვალსახელიც მრავლობითშია.

ეს გოგო - **Ця дівчина** (მდედრობითი სქესი)

ეს ბიჭი - **Цей хлопець** (მამრობითი სქესი)

ეს ხე - **Це дерево** (საშუალო სქესი)

ეს გოგოები - **Ці дівчата** (// ესენი გოგოები) (მდედრობითი სქესი)

ეს ბიჭები - **Ці хлопці** (//ესენი ბიჭები) (მამრობითი სქესი)

ეს ხეები - **Ці дерева** (// ესენი ხეები) (საშუალო სქესი)

ქართულის ანალოგიური ვითარებაა თურქულ ენაში:

ეს გოგო - **Bu kız**

ეს ბიჭი - **Bu oğlan**

ეს ხე - **Bu ağaç**

ეს გოგოები - **Bu kızlar**

ეს ბიჭები - **Bu çocuklar (oğlanlar)**

ეს ხეები - **Bu ağaçlar**

პრაქტიკულ მასალაზე მუშაობის დროს შედარებითი ანალიზი არა მხოლოდ სიცოცხლეს მატებს გაკვეთილს, არამედ იძლევა ენობრივი ვითარების უფრო ფართო ანალიზის შესაძლებლობას და დამახსოვრების პრობლემაც ნაკლებია. ისიც ცხადია, რომ განხილული მაგალითები მხოლოდ საზოგადო სურათის წარმოსადგენად მოვიყვანეთ და ფართო ანალიზი არ დაგვისახავს მიზნად. ნაცვალსახელის რაობის საკითხებს კი, როგორც სხვა შემთხვევებში, უპირატესად, ვეხებით როგორც მასალას სწავლების სტრატეგიების უზრუნველყოფისათვის.

ნაცვალსახელთა ჯგუფები გამოიყოფა იმის შესაბამისად, თუ რა როლს, რა „მონაცვლეობით“ ფუნქციას ასრულებენ ისინი ენობრივ ერთეულთა ფუნქციონალურ მიმართებებში. ამ თვალსაზრით გამოიყოფა შემდეგი ჯგუფები: პირისა, ჩვენებითი, კითხვითი, კუთვნილებითი, კითხვით-კუთვნილებითი, მიმართებითი, ურთიერთობითი, განსაზღვრებითი, განუსაზღვრელობითი, უარყოფითი.

არაქართულენოვან ჯგუფებში მუშაობისას ნაცვალსახელის სწავლება თავიდანვე განსაზღვრული. ფაქტობრივად, კომუნიკაცია თავიდანვე მოითხოვს ჩვენებითი, პირის, კუთვნილებითი... ნაცვალსახელების გამოყენებას. ამდენად, მოცემულ პარაგრაფში საგანგებოდ შევხებით ნაცვალსახელთა იმ ჯგუფების სწავლებას, რომლებსაც ყველაზე მეტად ვიყენებთ სწავლების პროცესში.

6.1.1. პირის ნაცვალსახელი აღნიშნავს პირს.

I პირი	მე	ჩვენ
II პირი	შენ	თქვენ
III პირი	ის	ისინი

I პირის ნაცვალსახელებია მე და ჩვენ. მე მხოლოდით რიცხვში გამოიყენება და ადამიანი თავის თავს უწოდებს. ჩვენ მრავლობითი რიცხვის ფორმაა. შენ II

პირის ფორმაა. მრავლობითში გამოიყენება თქვენ. ეს, ეგ, ის, იგი შეიძლება ჩვენებითი ნაცვალსახელის ფუნქციით იყოს და შეიძლება პირის ნაცვალსახელის ფუნქციით. თუ

ეს ნაცვალსახელები ცალკე გამოიყენება - პირის ნაცვალსახელია: ის მიდის, იგი ლაპარაკობს... თუ ისინი არსებითთან ერთად გამოიყენება, მაშინ ჩვენებითია: ეს მოსწავლე, ის კაცი...

დიალოგური მეტყველება ენის შემსწავლელს ყველაზე მეტად ეადვილება. ამ დროს განსაკუთრებით კარგად ჩანს მახვილის როლი. მოკლე, ლაკონურ ფრაზაში გაცილებით ადვილია ამა თუ იმ სიტყვის ფორმის დამახსოვრება, ვიდრე გაბმულ ტექსტში.

პირის ნაცვალსახელები:

-მე მასწავლებელი ვარ, შენ?

-მე მოსწავლე ვარ.

- შენ სტუდენტი ხარ?

- დიახ, მე სტუდენტი ვარ.

- ის მასწავლებელია?

- დიახ, ის მასწავლებელია.

6.1.2. ჩვენებითი ნაცვალსახელი. როგორც სახელწოდებიდან ჩანს, ამ ჯგუფის ნაცვალსახელთა ფუნქციაა ჩვენება, მითითება რაიმესი. ეს მისათითებელი შეიძლება იყოს:

ა) **საგანი** – ეს, ეგ, ის;

ბ) **თვისება** – ასეთი, ეგეთი, ისეთი;

გ) **რაოდენობა** – ამდენი, მაგდენი, იმდენი...

ამდენად, **ეს, ეგ, ის, ასეთი... ამდენი...** ჩვენებითი ნაცვალსახელებია; მათ შორის, ცხადია, ძირითადია **ეს, ეგ, ის** (იგი).

კარგი იქნება თუ ამ ნაცვალსახელებს ენის შემსწავლელებს დავაჯგუფებინებთ პირველ-მეორე პირებთან სიახლოვე-სიშორის მიხედვით:

ამ ნაცვალსახელთა ოპოზიციას I-II პირებთან მიმართება (სიახლოვე) ქმნის:

ეს – I პირთან სიახლოვე;

ეგ – II პირთან სიახლოვე;

ის – I-II პირთან არმყოფი, გარე.

6.1.3. კითხვითი ნაცვალსახელი. ამ ჯგუფის ნაცვალსახელები კითხვის შინაარსით (კითხვითი დამოკიდებულებით) გამოხატავენ იმავს, რასაც პოზიტიურად აღნიშნავენ პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელები:

ვინ? – კითხვითად აღნიშნავს იმას, რასაც პირის ნაცვალსახელები:

მე, შენ, იგი და ის (როგორც ადამიანი);

რა? – აღნიშნავს იმას, რასაც პირის ნაცვალსახელი ის (ადამიანის გარდა);

რომელი? – აღნიშნავს იმას, რასაც ჩვენებითი: **ეს, ეგ, ის;**

როგორი? – ... რასაც ჩვენებითი: **ასეთი, ისეთი...;**

რამდენი? – ... რასაც ჩვენებითი: **ამდენი, იმდენი...;**

ამდენად, კითხვითი ნაცვალსახელებია: **ვინ? რა? რომელი? როგორი? რარიგი? რანაირი? რამდენი?** აგრეთვე ზმნიზედური მიმართების კითხვითი სიტყვები: **სადაური? როდინდელი?**

კითხვითი ნაცვალსახელები:

როგო-რ? → კარგ-ად, ცუდ-ად, ლამაზ-ად... როგორ-ი? → კარგ-ი, ლამაზ-ი, ახალ-ი...რამდენ-ი? → ორ-ი, ათ-ი, ბევრ-ი, ცოტა...

6.1.4. კუთვნილებითი ნაცვალსახელი. ამ ჯგუფის ნაცვალსახელები გამოხატავს საგნების კუთვნილებას პირის ნაცვალსახელებით წარმოსახული პირებისადმი. ამიტომ ამ შემთხვევაშიც მთავარი ორიენტირი პირია (პირის ნაცვალსახელია):

ჩემი – არის ის, რისი (ვისი) მკუთვნელია I პირი – „მე“;

შენი – არის ის, რისი (ვისი) მკუთვნელია II პირი – „შენ“;

მისი – არის ის, რისი (ვისი) მკუთვნელია III პირი – „ის“ („იგი“).

ამავე დროს, კუთვნილებით ნაცვალსახელშიც აისახება III პირის ნაცვალსახელის სამწევროვანი სისტემა (პირებთან სიახლოვის ჩვენება):

ამისი – მკუთვნელია „ეს“;

მაგისი – ... „ეგ“;

იმისი – ... „ის“.

ამას ემატება კუთვნილებითი ოპოზიცია „თავისი“ – „სხვისი“, რომელიც სხვადასხვა ჯგუფის ნაცვალსახელთა საფუძველზე არის ჩამოყალიბებული:

თავისი – უკუქცევითი ნაცვ. „თავი“;

სხვისი – განსაზღვრებითი ნაცვ. „სხვა“.

ჩემ-ი – ჩვენ-ი

შენ-ი – თქვენ-ი

მის-ი (ამის-ი, მაგის-ი, იმის-ი) – მათ-ი (ამათ-ი, მაგათ-ი, იმათ-ი) თავის-ი (თვის-ი) – თავიანთ-ი სხვის-ი სხვისა – სხვებისა (სხვათა), არავის-ი – არარავის-ი...

კუთვნილებითი ნაცვალსახელები:

შეკითხვისას: ჩემი / ჩვენი —>?

პასუხისას: —> შენი / თქვენი; მისი / მათი

შეკითხვისას: შენი / თქვენი —>? შენს / თქვენს —>?

პასუხისას: —> ჩემი / ჩვენი ჩემს / ჩვენს —>?

-ეს შენი წიგნია?

-დიახ, ეს ჩემი წიგნია.

-ჩემს ოჯახს იცნობ?

-დიახ, შენს ოჯახს ვიცნობ.

როგორც ვხედავთ, კუთვნილებითი ნაცვალსახელები წარმომავლობით შესაბამისი ამოსავალი ნაცვალსახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმაა – წარმოქმნილი ან სუბლექტური მონაცვლეობით (მე - ჩემ-ი...)

6.1.5. კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელი. ამ ჯგუფის ნაცვალსახელები ერთგვარი გაგრძელებაა წინამავალი ჯგუფისა, რამდენადაც აქაც წამყვანია კ უ თ ვ ნ ი ლ ე ბ ი ს სემანტიკა. ოღონდ მათ შორის სხვაობაა ის, რომ ეს უკანასკნელნი კითხვითი ნაცვალსახელების საფუძველზეა ჩამოყალიბებული.

სხვაგვარად: კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელები კითხვითი და

კუთვნილებითი ნაცვალსახელების სინთეზს წარმოადგენს:

ვის-ი? – ამოსავალია „ვინ?“;

რის-ი? რისა? – ამოსავალია „რა?“

ვი-ნ? ვ-ის-ი?

რა? რ-ის-ი?

კითხვით-კუთვნილებით ნაცვალსახელებს შესატყვისი მრავლობითის ფორმები არ მოეპოვება, გარდა იმ არქაიზებული შემთხვევებისა, როდესაც ნაცვალსახელი საზღვრულის ნართანიან მრავლობითთან არის შეთანხმებული.

6.1.6. მიმართებითი ნაცვალსახელი. ამ ჯგუფის ნაცვალსახელთა სახელწოდებაში წარმმართველია ფუნქციონალური ნიშანი – შესაბამისი ნაცვალსახელები მიმართებას ამყარებენ რთული წინადადების ნაწილებს, უფრო სწორად, შემადგენელ წინადადებთა ურთიერთკოორდინირებულ წევრებს შორის:

„როგორც მოხვალ, თინაო, ისეთი წახვალ შინაო“ (ანდაზა) და მისთ.

მიმართებითი ნაცვალსახელები წარმოქმნილია კითხვითი და კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელებისაგან -ც (ა) ნაწილაკის დართვით (ვინც ვინ? რაც რა? რომელიც რომელი?..);

ამგვარად, მიმართებითი ნაცვალსახელებია: ვინც(ა), რაც(ა), რომელიც, როგორც, რანაირიც, როდინდელიც, სადაურიც, რამდენიც, ვისიც, რისაც (რისიც).

6.1.7. განსაზღვრებითი ნაცვალსახელი. ამ ჯგუფში ერთიანდება საკმაოდ განსხვავებული შინაარსის ნაცვალსახელები; მაგრამ მათ აერთიანებს ერთი რამ: ამ რიგის ნაცვალსახელი გამოხატავს ზოგად შინაარსობრივ (არსობრივ) ან რაოდენობრივ განსაზღვრულობას. განსაზღვრებითი ნაცვალსახელებია: თვით, თვითონ, თავად, თვითეული (თითოეული); თითო, ყველა, ყოველი, ყველაფერი, სხვა.

6.1.8. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი. ნაცვალსახელები, რომლებიც ამ ჯგუფშია გაერთიანებული, აღნიშნავენ იმას, რომ შესაბამისი ობიექტი (პირი თუ საგანი), ან რაიმე ნიშან-თვისება, უცნობია, განუსაზღვრელია; ამ სახელებით სწორედ „განუსაზღვრელობა“ ხაზგასმული. როცა მოლაპარაკე ამბობს: „ვინმე მოვიდეს“, ან – „ვიღაცა მოვიდა“, ეს იმაზე მიგვითითებს, რომ ის არ განსაზღვრავს, ვინ უნდა მოვიდეს, ანდა – მისთვის განსაზღვრული არ არის, ვინ მოვიდა.

ამგვარად, განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელებია: ზოგი, ერთი, ზოგიერთი, კაცი, ვინმე, რამე, რომელიმე, ვიღაც(ა), რაღაც(ა), რომელიღაც(ა), როგორიღაც(ა).

6.1.9 . ურთიერთობითი ნაცვალსახელი. ამ ჯგუფში შედის რთული ფუძეები: ერთურთი, ერთმანეთი, ურთიერთი, ერთიმეორე. ეს ნაცვალსახელები წარმოშობით „ერთი“ ნაცვალსახელს უკავშირდება და მისი რედუპლიკაციით (ერთურთი, ერთმანეთი) ან სხვა ფუძესთან შერწყმის გზით (ერთიმეორე) არის მიღებული.

ეს ნაცვალსახელები ორის (ან მეტის) ურთიერთმიმართებას გამოხატავენ, ამიტომაც შინაარსობრივად ისინი მინიმუმ „ორს“ გულისხმობენ; აქედან გამომდინარეობს მათი ფუნქციონალური თავისებურება: ისინი ზმნას მრავლობითში „შეითანხმებენ“:

6.1.10. უარყოფითი ნაცვალსახელი. უარყოფითი ნაცვალსახელი უარყოფს იმას, რის არსებობასაც ვარაუდობს კითხვითი ნაცვალსახელი;

უარყოფითი ნაცვალსახელი მიიღება უარყოფითი ნაწილაკების მიერთებით „ვინ?“ „რა?“ კითხვითი ნაცვალსახელების თავკიდურად. ეს უარყოფითი ნაწილაკებია: არ(ა), ვერ(ა), ნუ. ამიტომაც თითოეულ კითხვითი ნაცვალსახელისაგან მიიღება სამწევროვანი უარყოფითი ნაცვალსახელი:

არა-ვინ (არვინ); ვინ? ვერა-ვინ (ვერვინ);

ნუ-ვინ; არა-რა (არრა);

რა? ვერა-რა (ვერრა); ნუ-რა.

ამდენად, უარყოფითი ნაცვალსახელებია: არავინ (არვინ), ვერავინ (ვერვინ), ნუვინ, ნურავინ (ნურვინ); არარა (არრა), ვერარა (ვერრა), ნურა (ნურარა); არაფერი, ვერაფერი, ნურაფერი. (გოგოლაშვილი, 2011: 214)

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დიალოგური მეტყველება კარგი საშუალებაა ენის ასათვისებლად. დიალოგში გამოყენებული სახელების სწავლება მასწავლებლის ოსტატობაზეა დამოკიდებული. ისევ და ისევ მოსმენისა და გამეორების მეთოდით ვცდილობთ მივალწიოთ დიალოგებში სახელურ ფორმათა სწორ გამოყენებას. სასწავლო პროცესში აქტიურად ვიყენებთ მ. კიკვაძის მიერ შემოთავაზებულ მეთოდს, რომელსაც მან პირობითად „პარალელური დიალოგების“ მეთოდი უწოდა, რაც დიალოგში დამატებით ახალი მონაწილის ჩართვას გულისხმობს. პარალელური დიალოგის მონაწილეები არიან: 1) მასწავლებელი და ერთი სტუდენტი; 2) მასწავლებელი და მეორე სტუდენტი. მასწავლებელი უსვამს შეკითხვას პირველ სტუდენტს, ამასთან, ურჩევს დაუკვირდეს შეკითხვაში ინტონაციურად ამადლებულ ადგილებს. სტუდენტი პასუხობს (სწორად ან არასწორად), მაგალითად:

-მასწავლებელი: თამარ, ეს ახალი ტელეფონ-ი შენია?

-თამარი: დიახ, ეს ახალი ტელეფონ-ი ჩემია.

პასუხის გადამოწმების მიზნით დიალოგში ერთვება მეორე სტუდენტი. მასწავლებელი ახლა მას უსვამს შეკითხვას. სტუდენტი მიგებითი ნაწილაკების გამოყენებით აფასებს პირველი სტუდენტის პასუხს: დიახ, ან: არა...

მასწავლებელი: დავით, თამარ-ის პასუხ-ი სწორია?

დავითი: დიახ, თამარ-ის პასუხ-ი სწორია.

თავი II. ბრუნების პრინციპები ქართულში და ბრუნვათა სწავლების საკითხები არაქართულენოვან აუდიტორიაში

§1. ბრუნება და ბრუნების პრინციპები ქართულში

ბრუნება არის სახელის ფორმაცვალება ბრუნვათა მიხედვით. სახელის ფორმას, რომლითაც იგი სხვა სიტყვას უკავშირდება და ამყარებს მასთან გარკვეულ მიმართებას ბრუნვა ეწოდება (კვაჭაძე, 2001:114). ბრუნება ქართულში ერთია. ბრუნვა, როგორც კატეგორია, ფორმისა და შინაარსის სინთეზს ემყარება. დამოუკიდებელი ბრუნვის არსებობისათვის ორივეს ერთდროული („სინთეზური“) არსებობა არის აუცილებელი. შეიძლება დამოუკიდებელი ფორმა არსებობდეს, მაგრამ მას არ ჰქონდეს დამოუკიდებელი ფუნქცია და ის ვერ მიიჩნევა ბრუნვის ფორმად. (გოგოლაშვილი, 2011:76)

სახელთა სხვადასხვა ჯგუფის (სხვადასხვა მეტყველების ნაწილის) ბრუნება თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, არსებითად ერთნაირია. მხოლოდ ნაცვალსახელთა ერთი ნაწილი ხასიათდება გარკვეული თავისებურებებით...

ბრუნვათა შემადგენლობა (და რაოდენობა) ყოველ ენას თავისი აქვს; აქ ერთი უნივერსალური საზომი არ არსებობს: თანამედროვე ქართულის ბრუნების პარადიგმა 7 ერთეულს შეიცავს.

არაქართულენოვანისათვის უცხოა წოდებითი ბრუნვა. ქართულში კი მისი ფუნქცია კარგად არის გამოკვეთილი, იგი მიმართვის ფორმაა. სწორედ ამის მიხედვით უნდა დავამახსოვრებინოთ ენის შემსწავლელებს ბრუნვის ეს ფორმა. ამასთან, ყურადღებას ვამახვილებინებთ არსებითი სახელის რომელ ჯგუფთან გვაქვს საქმე: საკუთართან თუ საზოგადოსთან, თანხმოვანფუძიანებთან თუ ხმოვანფუძიანებთან. სათანადო მაგალითების მოხმობით, მარტივი ფრაზებით ამის ჩვენება შესაძლებელია: **თამარ**, გამოდი დაფასთან! **სტუდენტებ-ო**, დღეს გამოცდა გაქვთ; **მეგობრებ-ო**, უნივერსიტეტში მივდივართ; **დედა**, სადილი მზადაა? მოყვანილი მაგალითებით ენის შემსწავლელებს ვუხსნით, რომ ქართულში წოდებითი ბრუნვა ხან ნიშნისა (-ო ან -ვ), ხან – უნიშნო. რაც შეეხება ადამიანთა საკუთარ სახელებს, ნებისმიერ შემთხვევაში ისინი წოდებით ბრუნვაში ფუძის სახით გვხვდება (მარიამ, ელენე, ამირან, აკაკი...).

ბუნებრივია, ენის სწავლებისას ნებისმიერ შემთხვევაში გვიწევს ყურადღების გამახვილება ბრუნვის ნიშანთა სისტემაზე. ფაქტია, რომ ქართული ბრუნვის სისტემა გვიჩვენებს ალომორფთა ურთიერთმიმართების საკმაოდ მწყობრ სურათს. უკვე მიღებული ძირითადი სისტემის საფუძველზე თითოეული ბრუნვის ნიშანი წარმოგვიდგენს რამდენიმე პოზიციურ ნაირსახეობას, რომელთაც აქ დეტალურად არ განვიხილავთ და წარმოვადგენთ მხოლოდ ბრუნვის ნიშანთა ალომორფების გაერთიანებულ სურათს (ბუნებრივია, მასში ფუძეთა შიდა ვარირება ვერ გამოჩნდება):

ბრუნვები	ალომორფები
სახელობითი	-ი, -
მოთხრობითი	-მა, -მ
მიცემითი	-ს, -სა
ნათესაობითი	-ის, -ს, -სი, -სა
მოქმედებითი	-ით, -თი, -თა, -თ
ვითარებითი	-ად, -დ, -ადა, -და
წოდებითი	-ო, -ვ, -

რაც შეეხება ბრუნვათა ტიპებს, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს რამდენიმე ერთმანეთისაგან განსხვავებული მოსაზრება. აკაკი შანიძის მიხედვით, „წესებრივი ბრუნვის მქონე თავისთავადი სახელები სამგვარ ყალიბს გვიჩვენებს, რომელთაც ტიპებს ვეძახით.... I ტიპს განეკუთვნება თანხმოვნთან ფუძეთა მქონე სახელები... II ტიპს განეკუთვნება კვეცილ ხმოვნთან ფუძეთა მქონე სახელები..., III ტიპს განეკუთვნება უკვეცილ ხმოვნთან ფუძეთა მქონე სახელები...“ (შანიძე, 1973:50-51).

ა. ჩიქობავას აზრით, ბრუნვა ქართულში ერთია: ბრუნვის ნიშნები - ბრუნვის ფორმანტები არსებითად ერთნაირია ყველა სახელთან“ (ჩიქობავა, 1950: 36), თუმცა იქვე ავტორი მაინც გამოყოფს „ფონეტიკურ მიზეზთა წყალობით“ წარმოქმნილ ერთმანეთისაგან განსხვავებულ ფორმებს, რომელთაც ის სხვადასხვა სახეობებს უწოდებს. არსებულ ტერმინებს თუ გამოვიყენებთ, ეს სახეობებია: ა) ფუძეუკუმშველი სახელები, ბ) ფუძეუკუმშვადი და ფუძეკვეციადი სახელები, გ) ფუძეუკვეციელი სახელები (ჩიქობავა, 1950:37).

ლ. კვაჭაძის მიხედვით, ქართულში ბრუნების ორი ტიპი გვაქვს: I და II. პირველი ტიპის ბრუნებას ბოლოთანხმოვნისანი სახელები განეკუთვნება, მეორეს – ბოლოხმოვნისანი“ (კვაჭაძე, 1981:138).

რაც შეეხება რიცხვის გრამატიკულ კატეგორიას, იგი დამახასიათებელია არსებითი სახელისათვის (და, შესაბამისად, მისი ფარდი ნაცვალსახელისათვის); რიცხოვნობა (რაოდენობა) საგანთა კლასების ობიექტური მდგომარეობაა და არსებით სახელთა კლასი ამ ვითარებას ასახავს. ყველა სხვა შემთხვევაში (ზედსართავ სახელებთან, ზმნებთან...) რიცხვის გამოხატვა არსებით სახელთან შეთანხმების (მის რაოდენობრივ შინაარსთან შეხამების) შედეგია: ზედსართავი სახელი (ან მისი ფარდი ნაცვალსახელი) შეიძლება შეეთანხმოს რიცხვში არსებით სახელს (მთანი მაღალნი), ან „მიბადოს“ მას – დამოუკიდებლად გამოყენებისას (წითლები, „მშვიდობით, ჩემო“...); ზმნაში აისახება მასთან შეწყობილი არსებითი სახელის რიცხვი (მთები... ძილს მისცემიან“). რიცხვის კატეგორია არსებით სახელში წარმოდგენილია ერთისა და მრავლის ოპოზიციის სახით. მრავალი ამ შემთხვევაში გულისხმობს ერთზე მეტს, ორსაც, სამსაც და მეტსაც; მრავლობითი რიცხვი ითავსებს ზოგად სიმრავლესაც (ბევრი) და კონკრეტულსაც (ცხრა).

რიცხვი ანუ სიმრავლე ენაში შეიძლება აღინიშნოს სამგვარად:

1. ლექსიკურად (მრავალი გულშემატკივარი, არაერთი არსება...);
2. გრამატიკულად (კრავ-ებ-ი...);
3. სუპლექტურად (ფუძის მონაცვლეობით): შენ – თქვენ...

ფუძის სუპლექტური მონაცვლეობა დამახასიათებელია გარკვეული ზმნებისა და ნაცვალსახელებისათვის, არსებითი სახელი სუპლექტივიზმს არ ექვემდებარება, თუ ამაღ არ მივიჩნევთ კრებითი სახელების მიმართებას ერთის გამომხატველ სახელებთან: ცხვარი – ფარა, კაცი – ხალხი...

რიცხვის გრამატიკული კატეგორია სახელში ორგვარ სისტემას გვიჩვენებს: ერთს – წმინდად აგლუტინაციურს (-ებ- სუფიქსიანი მრავლობითი), ხოლო მეორეს – შერეულს (-ნ/ -თ სუფიქსიანი მრავლობითი). -ებ სუფიქსი აგლუტინაციას განასახიერებს იმდენად, რამდენადაც ის ყველა ბრუნვაში დამოუკიდებლად, ბრუნვის ნიშნის პარალელურად, გამოხატავს სიმრავლეს

(ბავშვ-ებ-მა). ნართანიანი შერეული – ფლექსიურ-აგლუტინაციურია, რამდენადაც -ნ სუფიქსი ისეთსავე მორფოლოგიურ პოზიციას იკავებს ბრუნვის ნიშანთან, როგორსაც -ებ (კაც-ნი, კაც-ნ-ო), ხოლო თ(ა) ბრუნვის ნიშნის ფუნქციასაც თვითონ ითავსებს (მწერალ-თა კავშირი). მათგან ძირითადი და გაბატონებულია –ებიანი მრავლობითი; ნართანიან მრავლობითს ძირითადად არქაული სტილისტიკური დატვირთვა აქვს.

თანამედროვე ქართულში სახელთა მრავლობითის ყველაზე გავრცელებული (გაბატონებული) ფორმანტია -ებ-სუფიქსი. ქართული ენის შემსწავლელებთან მუშაობისას ძირითადი დატვირთვა სწორედ ებ-იანი მრავლობითის სწავლებაზე მოდის.

თუ გავითვალისწინებთ სახელთა ბრუნების თავისებურებებს ქართულში, უნდა ვაღიაროთ, რომ არაქართულენოვანთათვის მისი სწავლება მნიშვნელოვან პრობლემებთან არის დაკავშირებული. ამ პრობლემათა მთელი სისრულით დაძლევა ენის სწავლების პირველ ეტაპზე შეუძლებელია და ასეთი მიზანი მასწავლებელმა არც უნდა დაისახოს. ენის შესწავლის საწყის ეტაპზე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია კომუნიკაციისთვის აუცილებელი ბრუნვების გამოყენებაზე გავამახვილოთ მსმენელთა ყურადღება. სწავლების პრინციპი, მსგავსად სხვა საკითხებისა, აქაც იგივეა – ვისწავლოთ ფრაზების მიხედვით. ზემოთქმული სულაც არ გულისხმობს იმას, რომ ბრუნებისა და ბრუნვაში შეთანხმების სწორი ფორმების სწავლებაზე უარი უნდა ვთქვათ. პირიქით, ყურადღების გარეშე არ უნდა დავტოვოთ მცირედი შეცდომაც კი. ოღონდ, თავდაპირველად, იმ შედარებით მცირედი ლექსიკის ფარგლებში, რასაც საწყის ეტაპზე სწავლობენ და აუცილებლად (როგორც საწყის, ასევე, მომდევნო ეტაპებზე), პრაქტიკული მუშაობის საფუძველზე, მუდმივი გამეორებით და თეორიული მასალის აუდიტორიის შესაფერისი „დოზირებით“.

§ 2. ბრუნვათა სწავლების საკითხისათვის არაქართულენოვან ჯგუფებში

ენის შესწავლის პირველი ნაბიჯები ნებისმიერ შემთხვევაში დაკავშირებულია ერთი მხრივ, მოსმენის და ლაპარაკის, მეორე მხრივ, წერის და კითხვის უნარების განვითარებასთან. რა მეთოდი, რა სტრატეგიაც არ უნდა აირჩიოს მასწავლებელმა,

იგი იწყებს შესასწავლი ენის სიტყვების გაცნობით, მათ შორის, ბუნებრივია, სახელებით.

უკანასკნელ პერიოდში ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლებისთვის არაერთი სახელმძღვანელო შეიქმნა. მართალია, წერის სწავლებისას ანბანის თანმიმდევრობასთან დაკავშირებით ამ სახელმძღვანელოებში ერთიანი სტანდარტი არ მოქმედებს, მაგრამ ამჯერად ჩვენი მიზანი არ არის ანბანის შესწავლის ამა თუ იმ თანმიმდევრობის ავ-კარგის ანალიზი: ნებისმიერ შემთხვევაში ასო-ბგერები სიტყვების, სიტყვები – წინადადებების „საშენი მასალაა“. ეს სწორედ ის სიტყვები და წინადადებებია, რომლებსაც ენის შემსწავლელები თავიდანვე ითვისებენ. წერითი და ზეპირი მეტყველების კომბინაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოკლევადიანი პროგრამების მსმენელთათვის – მათ მეტად შეზღუდულ დროში უწევთ საკმაოდ ფართო მასალის ათვისება და შესაბამისად, მხოლოდ რამდენიმე გაკვეთილს უთმობენ ანბანის შესწავლას.

ანბანის შესწავლის თანმიმდევრობასთან დაკავშირებით ახალი თაობის სახელმძღვანელოებში ერთიანი წესი არ მოქმედებს, მაგრამ ყველაზე ხშირად პირველი გაკვეთილები მიჰყვება ტრადიციულ სტრატეგიას და „ა“, „ი“, „თ“, „ს“ ასოებით იწყება. ბუნებრივია, შესაბამისადაა შერჩეული სიტყვებიც წერის, კითხვის და ზეპირი მეტყველების ტექსტებისთვის.

ბსუ-ს მოსამზადებელი ცენტრის (უწყვეტი განათლების ცენტრის) სახელმძღვანელო წერის შესწავლას იწყებს „ა“, „ი“, „თ“, „ს“, „ხ“, „ო“ ასოებით. პირველი ტექსტები, რომელთა კითხვა და წერა უხდებათ მსმენელებს ამ ჩარჩოს ფარგლებში, შემდეგია:

I.

ია. თითი. თათი. ათი. აი ია. აი თითი. აი თათი. ათი თითი. აი ათი თითი. აი ათი ია. აი ათი თითი. ია. თითი. თათი. ათი.

II.

ია. თითი. თათი. ათი. აი ოთახი. აი თითი. აი სია. ათი თითი. აი ოთხი თითი. თიხა. თხა. აი ოთხი თხა. ოთახი. ოთხი. ოთხი ოთახი.

როგორც ვხედავთ, წარმოდგენილ ტექსტებში დომინირებს სახელები, კერძოდ, არსებითი: ია, თითი. თათი, ოთახი, სია, თიხა, თხა...

რიცხვითი: ათი, ოთხი... ამასთან, ყველა სახელი მოცემულია სახელობითი ბრუნვის ფორმით. თანდათან ჩნდება სხვა მეტყველების ნაწილებიც და სხვა ბრუნვებაც:

III.

ის ვენახია. ეს სიმინდია. ეს არ არის ახალი ხილი. აქ დიდი ქარხანაა. აქ ნინოს ახალი სახლია. გიორგი ქართველია. ეს ნინოს დეიდაა. ის არის სოსოს მამიდა. აქ არის ვანოს ვენახი. ეს არ არის ოთარის ნავი. მერაბმა დავალება შეასრულა.

„სხვა ბრუნვების“ გაჩენასთან ერთად თავს იჩენს პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ქართულ ენაში სახელთა ბრუნვის სპეციფიკასთან. ქვემოთ შევეცდებით, შედარებით ფართოდ განვიხილოთ ბრუნვათა სწავლების საკითხები, მეტი სინათლისთვის კი, პარალელური ანალიზისთვის დავეყრდნობით თურქულენოვან და უკრაინულენოვან მსმენელებთან მუშაობის გამოცდილებას და შესაბამის მასალებს სწორედ ამ ენებიდან მოვიხმობთ.

ქართულ, თურქულ და უკრაინულ ენებში განსხვავებულია ბრუნვათა რაოდენობა და რიგი, ამასთან, ბრუნვებს ქართულში, განსხვავებით ხსენებული ენებისგან, გარკვეული სინტაქსური ფუნქცია აკისრია. მათი საშუალებით იქმნება მორფო-სინტაქსური კონსტრუქციები, რის გაგებაც საკმაოდ უჭირს არაქართულენოვან აუდიტორიას.

ქართულის ბრუნვათა რიგი იწყება სახელობითით, რომელსაც მოსდევს მოთხრობითი და მიცემითი. ესენი ქვემდებარის ბრუნვებია. სახელობითი და მიცემითი არაქართველისთვის შედარებით ადვილად გასაგებია, მათთვის სირთულეს მოთხრობითი ბრუნვა ქმნის. შესაბამისად, გარდამავალი ზმნის სამი კონსტრუქციიდან – ნომინატიური, ერგატიული და დატიური, პრობლემას ერგატიულ კონსტრუქციასთან ვაწყდებით, რაც მხედველობაში უნდა ვიქონიოთ სწავლების დროს, ანუ, გავითვალისწინოთ არა მაინცადამაინც ბრუნვათა თანმიმდევრობა, არამედ მათი სირთულე და მოსალოდნელი პრობლემები.

ენის შემსწავლელისთვის ერთ-ერთ რთულად დასაძლევ პრობლემას წარმოადგენს მოთხრობითი ბრუნვის ფორმის შეწყობა ზმნასთან და მისი სწორი გამოყენება ზეპირ მეტყველებაში. მოთხრობითი ქართულისთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ ბრუნვად მიიჩნევა. ამ ბრუნვაში მდგარი სახელი გარდამავალ ზმნასთან შეწყობილი

სუბიექტია. „მოთხრობითი ბრუნვის ქონა, ანუ ბრუნების ეს თავისებურება განპირობებულია გარდამავალი ზმნის თავისებურებით. იგი მიუთითებს მოქმედზე, აქტიურზე და ამიტომ იხმარება მხოლოდ გარდამავალ ზმნებთან“ (არნ. ჩიქობავა) (გოგოლაშვილი, 2011:83).

მოთხრობითი ბრუნვა არ გვხვდება არც ერთ ევროპულ ენაში. იგი დასტურდება იბერიულ-კავკასიურ ენებში. მოთხრობითი ბრუნვის აღმნიშვნელი ტერმინია ერგატივი. „კონსტრუქცია, რომელსაც მოთხრობითის ხმარება ახასიათებს, იწოდება ერგატიულ კონსტრუქციად“ (ჩიქობავა, 2011:345).

არაქართულენოვან ჯგუფებში ქართული ენის სწავლებისას წარმოქმნილი სირთულის ერთ-ერთი არსებითი მიზეზიც ისაა, რომ ბევრ ენაში ქართულისგან განსხვავებით, სუბიექტიც და ობიექტიც ერთი და იმავე ფორმით ეწყობა ზმნას ყველა მწკრივში. ასეა თურქულსა და უკრაინულ ენებში:

ნინო კითხულობს წიგნს	Ніно читає книгу	Nino kitap okur
ნინო კითხულობდა წიგნს	Ніно читала книгу	Nino kitap okuyordu
ნინო წაიკითხავს წიგნს	Ніно буде читати книгу	Nino kitap okuyacak
ნინომ წაიკითხა წიგნი	Ніно прочитала книгу	Nino kitap okudu

როგორც ვხედავთ, პარალელისთვის მოხმობილ ენებში სუბიექტისა და ობიექტის ფორმები უცვლელად მიჰყვება ზმნას. განსხვავებული ვითარებაა ქართულში, სადაც სუბიექტის / სუბიექტ-ობიექტის ან ობიექტების ბრუნვათა ფორმებს განაპირობებს ზმნა, კერძოდ, გარდამავალია იგი თუ გარდაუვალი (კითხულობს – ნინო წიგნს; წაიკითხა – ნინომ წიგნი; წაუკითხავს ნინოს წიგნი; ტირის – ბავშვი, იტირა – ბავშვი-მა, უტირია – ბავშვი-ს; იზრდება – ბავშვი, გაიზარდა – ბავშვი, გაზრდილა – ბავშვი). მსმენელებს შეიძლება მივუთითოთ, რომ დაუკვირდნენ ზმნის დროის ფორმებს, რაც მათ შედარებით ეადვილებათ. სამიზნე ჯგუფებში ზმნის გარდამავლობაზე, მწკრივთა ფორმებზე და ქვემდებარის ბრუნვებზე ყურადღების გამახვილება საჭიროდ არ მიგვაჩნია და არც არის აუცილებელი. ყოველივე ეს მასწავლებლისა და ენის შემსწავლელის მხრიდან დიდ დროსა და ენერჯიას მოითხოვს. როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, ამ მოცულობის თეორიას გამოვრიცხავთ, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ერგატივის და საზოგადოდ,

თუნდაც რთული კონსტრუქციების სწავლებაზე უარი უნდა ვთქვათ. მსმენელები ჩვენი მიზანი უნდა იყოს ის, რომ ენის შემსწავლელის ყური მიეჩვიოს ქართულ მეტყველებაში მოთხრობით ბრუნვიანი კონსტრუქციის ჟღერადობას. აქედან გამომდინარე, აქცენტი უნდა გაკეთდეს მათ სმენით და მხედველობით მეხსიერებაზე.

მისაღები და გასათვალისწინებელია ზოგიერთი პრაქტიკოსი მასწავლებლის რჩევები – არაქართულენოვანებს წარმოსათქმელად რთულ ბგერებზე მუშაობის პარალელურად შევთავაზოთ ისეთი წინადადებები, რომლებშიც გამოყენებული იქნება სახელები მოთხრობითი ბრუნვის ფორმებით, მაგალითად:

ს-კ — საათ-მა დარეკა, ბებია-მ სათვალე გაიკეთა...

ყ-ჩ — ბაყაყ-მა ისკუპა, დავით-მა ჩაი დალია...

ნ-წ — ნანა-მ გაკვეთილი ისწავლა, დათვ-მა დაიძინა...

ქ-ხ — ქეთო-მ ქუდი იყიდა, მაიმუნ-მა ხეზე დაიძინა...

შ-ტ — ეთერ-მა ტორტი გააკეთა, შოშია-მ ბუდე გაიკეთა, მზია-მ ბუმბუტი გაბერა...

ფ-ღ — ლევან-მა ფოთოლი დახატა, ძალღ-მა დაიყეფა, კატა-მ გაიღვიძა...

ც-ჭ — ციყვ-მა ფულუროში დაიძინა, ჭრიჭინა-მ იჭრიჭინა...

პ-ჟ — არჩილ-მა თოვლის პაპა გააკეთა, ჟუჟუნა-მ პომიდორი იყიდა...

ჯ-ჰ — ჯემალ-მა ჰამაკი მოიტანა, ჯარჯი-მ ჯოხი იპოვა...

ამ ხერხის გამოყენებით ადვილია როგორც მოთხრობით ბრუნვიანი კონსტრუქციის ათვისება, ისე ზმნის ფორმებზე დაკვირვება. პროცესს კიდევ უფრო ამარტივებს მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები და პასუხები: ვინ გაიკეთა სათვალე? – ბებია-მ; რამ ისკუპა? – ბაყაყ-მა; ვინ დალია ჩაი? – დავით-მა; ვინ ისწავლა გაკვეთილი? – ნანა-მ; რამ გაიკეთა ბუდე? – შოშია-მ; ვინ იყიდა პომიდორი – ჟუჟუნა-მ და ა.შ. (კობიაშვილი 2015).

პრაქტიკული თვალსაზრისით ასევე მნიშვნელოვანია ნათესაობითი ბრუნვის სწავლების საკითხიც. ქართულში მისი ერთ-ერთი ფუნქციაა კუთვნილების გამოხატვა. სასწავლო პროცესში ნათესაობით ბრუნვაზე ყურადღების გამახვილება შეიძლება თავიდან, სწავლების საწყისი ეტაპიდანვე, თუნდაც მასწავლებლის მხრიდან გაცნობისა და წარდგენის დროს. მაგალითად:

გამარჯობათ, მე მარიაში ვარ, თქვენი ქართული ენ-ის მასწავლებელი. დღეს წერ-ის გაკვეთილი გვაქვს... ამის შემდეგ, დასმული შეკითხვებით კიდევ უფრო

ვამახვილეთ ყურადღებას ნათესაობითბრუნვიან სახელებზე: რა მქვია მე? მე ქართული ენ-ის მასწავლებელი ვარ? დღეს წერ-ის გაკვეთილი არის?

კუთვნილებითობის წინ წამოწევა, კონკრეტული სიტუაციების გათამაშება, ინფორმაციების მიწოდება საკუთარი თავის, საცხოვრებელი ადგილის, საქმიანობის, ასაკის შესახებ აადვილებს ნათესაობითი ბრუნვის შესწავლას და პრაქტიკაში გამოყენებას.

როგორც მოთხრობითი, ისე ნათესაობითი ბრუნვების სწავლების დროს გასათვალისწინებელი სახელის ფუძე: ხმოვანფუძიანი სახელები მოთხრობითსა და ნათესაობითში (სხვა ბრუნვის ფორმებზე ამჯერად არ ვსაუბრობთ) გამარტივებულ ბრუნვის ნიშნებს მოითხოვენ: მა 'ს ნაცვლად — მ-ს და ის ' ნაცვლად — ს-ს. შედარების თვალსაზრისით, კარგი იქნება, თუ სწავლების პროცესში წინადადებებში, დიალოგებში, სავარჯიშოებსა და მარტივ ტექსტებში მოთხრობითსა და ნათესაობით ბრუნვებში ხმოვანფუძიანი სახელების პარალელურად (უთო, დრო...ია, მზია, ლალი...) გამოვიყენებთ თანხმოვანფუძიან სახელებსაც (წიგნი, უნივერსიტეტი, თამარი, ლევანი, მარიამი, მერაბი...), რადგან თანხმოვანფუძიანებში კარგადაა გარჩეული ბრუნვის ნიშნები.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მოსამზადებელი მოკლევადიანი პროგრამის („ქართული ენა უცხოელთათვის“) წერითი მეტყველების გაკვეთილებზე ნათესაობითი ბრუნვის ფორმების სწავლება პირველივე კვირიდან იწყება, თუმცა, ამ დროისათვის ენის შემსწავლელებს შესასწავლ ენასთან ურთიერთობის გარკვეული გამოცდილება გააჩნიათ. ნათესაობითის ფორმებიანი პირველი ტექსტი, რომლის მოსმენა, კითხვა და წერა უხდებათ, შემდეგია:

„იქ ვენახი და სიმინდია. ვენახი ოთარ-ის-აა. სიმინდი არის ლალი-ს. ლალი ოთარ-ის მამიდაა. ლალი ქართველია. ოთარ-ის სახლი ახლოსაა. ლალ-ის სახლი შორსაა“.

ახალ ფორმაზე ყურადღების გასამახვილებლად ვიყენებთ აგრეთვე სავარჯიშოებს, რომლის ერთ-ერთ ვარიანტსაც ქვემოთ წარმოვადგენთ:

ვენახი ოთარისაა.	ვენახი არის ოთარის.
თარო ლალისაა.	•
•	ვენახი არის გიორგისა.
თასი მამისაა.	•
რადიო გიორგისაა.	•
•	ვარდი არის დედისა.
მამალი სოსოსია.	•
•	მერხი არის ლალისა.
დროშა მუშისაა.	•
•	მამიდის სახლი არის ახლოს.
•	უთო არის ნინოსი.
გიორგის სახლი შორსაა.	•
გიორგის სახლი ახლოსაა.	•

წარმოდგენილი სავარჯიშოს საფუძველზე მზადდება ბარათები – გამოტოვებული ადგილის შესავსები და წარმოსათქმელი ტექსტებით. წარმოთქმულ ტექსტებში კოლექტიურად ფასდება როგორც ფაქტობრივი სიზუსტე, ასევე გამოთქმა. რაც შეეხება წერით ნამუშევარს, აქ დასაშვებია რამდენიმე ვარიანტი: ა) ნაწერს კითხულობს მასწავლებელი და აფასებს; ბ) ნაწერს კითხულობს ენის ერთ-ერთი შემსწავლელი და გამოთქვამს თავის აზრს; გ) სკანირებული ნაწერი


პროექტორით გადადის ეკრანზე და კოლექტიურად ფასდება. ბუნებრივია, ბოლო ორი ვარიანტი ზრდის ინტერესს დავალების მიმართ.

ამავე სტრატეგიის ნაწილია ამოცანა, რომელიც რამდენიმე ეტაპისგან შედგება და იმეორებს უკვე შესწავლილ მასალას, ამასთან, მცირედით ამაღლებულია სირთულის ხარისხი. ენის შემსწავლელებს ბარათებით ეძლევათ თავდაპირველი ტექსტის რამდენადმე სტილიზებული ვარიანტი, ოღონდ მშობლიურ ენაზე.

„აქ დიდი ქარხანაა. ის ვენახია. აქ ნინოს ახალი სახლია. ეს არ არის ოთარის ნავი. ის არის სოსოს მამიდა. ოთარის სახლი ახლოსაა. ლალის სახლი შორსაა. ეს ხე დიდია. ის დიდი ხიდი ხისაა. ეს ხიდი ქვისაა“.

ენის შემსწავლელების ამოცანაა, თარგმნონ მოცემული ტექსტი ქართულად. (ზოგჯერ უმჯობესია, თარგმნისთვის მივცეთ არა სახეცვლილი, არამედ თავდაპირველი ტექსტი. ეს დამოკიდებულია ჯგუფის უნარებსა და შესაძლებლობაზე). სამუშაოს დასრულების შემდეგ მასწავლებელი კრეფს ბარათებს და გარკვეული დროის შემდეგ (დროის ინტერვალს განსაზღვრავს მასწავლებელი, ჯგუფის შესაძლებლობების გათვალისწინებით) იმავე ტექსტის საფუძველზე ატარებს წერას კარნახით. ამის შემდეგ ასწორებს მსმენელთა ნამუშევრებს, უბრუნებს მათ ორივე ტექსტს (თარგმანს და კარნახით ნაწერს), რათა შეადარონ ერთმანეთს და ბოლოს დეტალურად განიხილავს ყველა შეცდომას.

ქვემოთ თვალსაჩინოებისათვის წარმოვადგენთ 2016-2017 სასწავლო წლის მასალას –ერთ-ერთი თურქულენოვანი მსმენელის მიერ შესრულებული თარგმანის (თავდაპირველი ტექსტის) ნიმუშს:



მოცემული ბლოკი შეჯამდება დავალებით, რომელიც სხვადასხვა ამოცანის ფარგლებში სხვადასხვა ვარიანტით შეიძლება იყოს წარმოდგენილი. მაგალითად:

1. მოძებნეთ თქვენთვის ნაცნობი სიტყვები და წაიკითხეთ ხმამაღლა!
2. მასწავლებლის მიერ არათანმიმდევრობით, სახელობითი ბრუნვის ფორმით ნაკარნახევი სიტყვები ჩაწერეთ ნათესაობითი ბრუნვის ფორმით და წაიკითხეთ ხმამაღლა!

დედა	დანა	ქარხანა
ვენახი	ხიდი	დეიდა
გემი	რადიო	მამიდა
დროშა	ვარდი	ნავი
მამიდა	სიმინდი	ნინო
შვიდი	დავითი	დიდი
ექიმი	ხე	თიხა
მუშა	ოთახი	ცხრა
თასი	მსხალი.	წიგნი
ახალი	მერხი	ანბანი

მუშაობის ამ პრინციპზე მიჩვევა აუცილებელია, რადგან მეთოდის გამოყენება სხვა თემებთან დაკავშირებითაც მისაღები და სასურველია.

რაც შეეხება, მოქმედებითსა და ვითარებით ბრუნვებს, ისინი ბევრ ენაში არ არის წარმოდგენილი. მაგალითად, უკრაინულში მოქმედებითი ბრუნვა არის (народ-ом, народ-ами), ვითარებითი – არა. თურქულ ენაში არ გვაქვს არც ერთი და არც მეორე. შესაბამისად, ამ ბრუნვების ფორმათა სწავლება სასურველია მათი ძირითადი ფუნქციების გათვალისწინებით. მოსწავლეებს უნდა ავუხსნათ, რომ მოქმედებითი ბრუნვა აღნიშნავს საგანს, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება მოქმედება.

1. ჩანგლ-ით ვჭამ.
2. ჭიქ-ით ვსვამ.
3. ბურთ-ით ვთამაშობ.

იგივე შინაარსი უკრაინულსა და თურქულში შემდეგნაირად გადმოიცემა:

	უკრაინული	თურქული
1	Я їм виделкою	çatal ile yiyorum
2	Я п'ю чашкою или Я п'ю з чашки	bardakla içiyorum

3	Я граю в м'яч	top ile oynuyorum
---	---------------	-------------------

ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმაზეც, რომ მოქმედებითი ბრუნვით ხდება დროის გამოხატვა: **ზაფხულობ-ით, ზამთრობ-ით, დილი-თ...**

თანდებულებიანი ფორმებიც პრაქტიკული მასალის საფუძველზე ისწავლება. სასურველია, საწყის ეტაპზე ვასწავლოთ ადგილის, დროის და ვითარების გამომხატველი კონსტრუქციები:

1. ადგილის გამოხატვა: **სამსახურ-ი-დან მოვიდა;**
2. დროის გამოხატვა: **დილ-ი-დან დავიწყით;**
3. ვითარების გამოხატვა: **ყურადღებ-ით უსმენს.**

შევადაროთ უკრაინულს და თურქულს:

	უკრაინული	თურქული
1	вона прийшла } він прийшов } з роботи	işten geldi
2	Почнемо зранку	sabahtan başladım
3	вона } він } слухає уважно	dikkatla dinliyor

ეს ენობრივი მოდელებიც შემსწავლელს უნდა მივაწოდოთ ანალიზის გარეშე, უპირველესად, საკომუნიკაციო ფრაზებში დიალოგების ასაგებად.

- გამარჯობა, ნანას სთხოვეთ.
- არ გახლავთ, სკოლაშია.
- მალე მოვა სკოლიდან?
- სამ საათზე.

სასურველია, რომ ყველა დიალოგი (მით უფრო, თუკი მასში ახალი ენობრივი მოდელია გამოყენებული) გათამაშდეს წყვილებში ან ჯგუფებში (მელიქიძე, 2006:73).

ამგვარადვე უნდა გავითვალისწინოთ ვითარებითი ბრუნვის ფუნქციები და მათ შორის პირველ ეტაპზე ვასწავლოთ შემდეგი კონსტრუქციები ანალიზის გარეშე:

1. მდგომარეობის აღნიშვნა: **აგ-ად არის;**
2. ვითარების გამოხატვა: **ჩუმ-ად ზის;**

ცუდ-ად იქცევა:

3. მიზნის გამოხატვა: **სამუშაო-დ წავიდა;**

4. საქმიანობის აღნიშვნა: **მასწავლებლ-ად მუშაობს;**

შევადაროთ უკრაინულს და თურქულს:

	უკრაინული	თურქული
1	вона хвора він хворий	o hasta
2	вона } він } Тихо сидить вона } він } Погано себе веде	sessiz oturuyor kötü davranıyor
3	вона пішла } Він пішов } працювати	işe gitti
4	вона } він працює } вчителем	öğretmen olarak çalışıyor

ენის შემსწავლელებს უნდა გავაგებინოთ, რომ კითხვაზე **როგორ?** ქართულ ენაში მეტწილად „-ად“ ბოლოსართიანი სახელები პასუხობენ (როგორ ხარ?– კარგ-ად, ცუდ-ად...).

თანდებულიან ფორმებს პირველ რიგში მხოლოდ ორი ფუნქციით მივაწოდებთ:

1. ადგილის აღნიშვნა: **თბილისა-მდე, სკოლა-მდე.**

2. დროის აღნიშვნა: **სადამო-მდე;**

შევადაროთ უკრაინულს და თურქულს:

	უკრაინული	თურქული
1	До вечора	Akşama kadar
2	До Тбілісі, до школи	Tiflise kadar, okula kadar

შემდგომ ეტაპზე შესაძლებელია კონკრეტული სიტუაციებიდან გამომდინარე, სხვა ენობრივი მოდელების მიწოდებაც...

აქვე მოკლედ შევხებით სხვა თანდებულიან ფორმებსაც. პარალელისთვის ამჯერად ნიმუშებს მოვიხმობთ მხოლოდ თურქული ენიდან. უნდა აღინიშნოს, რომ „თანამედროვე ქართულში თანდებული შედარებით ცოტაა, რადგან ბრუნვის

ფორმათა სიმრავლე საშუალებას გვაძლევს აზრი საკმაოდ ზუსტად გამოვხატოთ. თანდებული ქართულში გამოიყენება ყველა ბრუნვის ფორმასთან, გარდა მოთხრობითისა და წოდებითისა“ (გოგოლაშვილი, 2011:137).

განსხვავებით ქართულისაგან, თურქულ ენაში თანდებული დამხმარე სიტყვაა, რომელიც მოსდევს სახელს რომელიმე ბრუნვაში და აზუსტებს მის მიმართებას სხვა სიტყვებთან. თურქულ ენაში თანდებული გამოიყენება ყველა ბრუნვის ფორმასთან, გარდა ადგილობითისა (კვანტალიანი, 1999: 177).

ქართულში თანდებული ძირითადად სახელის ფუძესთანაა შერწყმული, თურქულში კი უმეტესად ცალკე მდგომი სიტყვაა.

როგორც ქართულ ენაში, ასევე თურქულშიც ზოგიერთი თანდებული ფუნქციურად მსგავსია, გამოიყენება ერთსა და იმავე ბრუნვასთან, ზოგჯერ კი სხვადასხვა ბრუნვის ფორმასთან გვხვდება. ორივე ენაში ხშირად ხმარებულ თანდებულებს შორის შეიძლება დავასახელოთ: -ვით (*gibi, kadar*), -თვის (*için*), ერთად (*ile*), -მდე (*kadar*), -კენ (*doğru*).

-ვით თანდებული ქართულში მსგავსება-შედარებას გამოხატავს. იგი დაერთვის სახელს სახელობითსა და მიცემით ბრუნვებში: **ბავშვ-ი-ვით**, **ვაშლ-ი-ვით**, **დიდ-ი-ვით**, **მთა-ს-(ა)-ვით**, **მზე-ს-(ა)-ვით**: **ყინულივით** ცივი, **თაფლივით** ტკბილი, **მთასავით** მაღალი...

თურქულში მსგავსება-შედარებას გამოხატავს თანდებულები: **gibi, kadar**, თუმცა მათ შორის გამოყენების თვალსაზრისით განსხვავება არის, კერძოდ, *gibi*-იანი ფორმები თვისებრივი მსგავსების შინაარსს გადმოსცემს“ (გოცირიძე, 2003: 67), მაგალითად: **çocuk gibi** (ბავშვივით), **Buz gibi soğuk** (ყინულივით ცივი), **Ball gibi tatlı** (თაფლივით ტკბილი), **senin gibi** (შენნაირი). რაც შეეხება **Kadar** (ოდენა-ვით) თანდებულს, *gibi*-ანი ფორმების მსგავსად, თვისებრივი მსგავსების შინაარსს კი არ გადმოგვცემს, არამედ რაოდენობრივ მსგავსებას გვიჩვენებს, მაგალითად, **ne gibi** – რანაირი, რაგვარი. **Ne kadar** - რა რაოდენობის, რამდენი. **onun kadar** (იმოდენა). თურქულში *gibi, kadar* თანდებულები დაერთვის სახელობით ბრუნვას, ჩვენებით, პირის და *kim* ნაცვალსახელებთან კი – ნათესაობით ბრუნვის ფორმას: *kimin gibi*(ვისნაირი), *kimin kadar* (ვისოდენა).

ქართულსა და თურქულში ფუნქციურად ერთნაირია -თვის (İçin) თანდებულები.

ქართულ ენაში -თვის თანდებული ნათესაობით ბრუნვას დაერთვის და გამოხატავს:

ა) დანიშნულებას, კუთვნილებას: დედ-ის-თვის, ამხანაგ-ის-თვის, სახლ-ის-თვის, სტუმრ-ის-თვის...

ბ) მოქმედების მიზანს: პურ-ის-თვის, სიცოცხლ-ის-თვის...

თურქულ ენაში İçin თანდებული დაერთვის სახელობით და ნათესაობით ბრუნვებს და აღნიშნავს დანიშნულებას, მიზეზს, მიზანს, სამოქმედო საგანს: Çocuk için-ბავშვისთვის, ekmek için – პურისთვის, Kizim için- ჩემი გოგონასთვის; bilmek için çok okumak gerek –.ცოდნისთვის ბევრი კითხვაა საჭირო.

ქართულისგან განსხვავებით, İçin- თანდებული ნათესაობით ბრუნვაში მხოლოდ პირის, ჩვენებით და kim (ვინ) ნაცვალსახელებთან გვხვდება: Senin için-შენსავით...

ქართულში თან თანდებულის ფუნქციაა აღნიშნოს: ადგილი, საგანთან სიახლოვე, ახლოს, გვერდით ყოფნა, თანაობა, ერთად ყოფნა (გოგოლაშვილი, 2011:138): სახლ-თან, ბავშვ-თან, მაგიდას-თან... დედასთან ერთად მიდის, სახლთან ახლოს არის... თან თანდებული თანხმონიანი სახელის ფუძეს პირდაპირ დაერთვის, ხმოვანფუძიან სახელთან კი –ბრუნვის ნიშნის შემდეგაა წარმოდგენილი (სახლ-თან / დედა-ს-თან).

თურქულში თან თანდებულის შესატყვისია İle. თუმცა İle (თან, თან ერთად,(beraber, birlikte) (და) თანდებულს თურქულში რამდენიმე მნიშვნელობა აქვს:

ა) İle თანდებულიანი სახელი გამოხატავს თანაობას: bu kitabı arkadaşım ile(beraber/birlikte) okudum (ეს წიგნი ჩემს ამხანაგთან ერთად წავიკითხე).

ბ) აღნიშნავს მოქმედების იარაღს: kalem ile yazdım (კალმით დავწერე) შდრ. ქართულში სახელი კალმით დგას მოქმედებით ბრუნვაში, უთანდებულოა. აღსანიშნავია ისიც, რომ ქართულ ენაში ბრუნვის ფორმათა სიმრავლე საშუალებას გვაძლევს აზრი საკმაოდ ზუსტად გამოვხატოთ. მოქმედებითი ბრუნვის მაგალითზე ეს კარგად ჩანს: ძაფით მოვქსოვე, ნემსით გავკერე. თურქულ ენაში კი ამ ფუნქციას ile (-ით) თანდებული ითავსებს.

გ) **ile** თანდებული ორ არსებით სახელს შორის „და“ კავშირის ფუნქციას ასრულებს: **anne ile baba** (დედა და მამა) (წიკლაური, 2014:105).

ile- თანდებული პირის, ჩვენებით და kim ნაცვალსახელებს ნათესაობით ბრუნვასთან შეეწყობა, დანარჩენს კი სახელობითთან. ზემოთ დასახელებულ თანდებულთაგან ile ერთადერთია, რომელიც სახელთან შერწყმითაც გვხდება. ასეთ შემთხვევებში მას რამდენიმე ვარიანტი აქვს: თანხმოვნის შემდეგ: -la, -le; ხმოვნის შემდეგ: -yla, -yle (გოცირიძე, 2003:68).

-**კენ** თანდებული ქართულ ენაში ნათესაობით ბრუნვას დაერთვის და გამოხატავს მიმართულებას: **სკოლ-ის-კენ, ქალაქ-ის-კენ...** მისი თურქული შესატყვისია **doğru** თანდებული. ისიც მიმართულებას გამოხატავს და განსხვავებით ქართულისაგან, მიცემით ბრუნვაში მყოფ სახელს ახლავს: **eve doğru** (სახლ-ის-კენ), **okula doğru** (სკოლ-ის-კენ), **size doğru** (თქვენ-კენ).

როგორც ქართულში, ასევე თურქულშიც, თანდებულის ფუნქციაა გამოხატოს საგნის მდებარეობა, მიმართულება, მსგავსება და სხვა, ხოლო პარალელურ ფუნქციებზე დაკვირვება, სწავლების დროს სათანადო მაგალითების მოხმობა და სავარჯიშოებზე მუშაობა აადვილებს შესასწავლი მასალის აღქმას.

რაც შეეხება წოდებით ბრუნვას, ზემოთ რამდენჯერმე შევეხეთ მასთან დაკავშირებულ ზოგიერთ თავისებურებას. აქ იმასდა აღვნიშნავთ, რომ ამ ფორმის სწავლებისას აუცილებელია ყურადღების გამახვილება მის სპეციფიკურ ბუნებაზე, კერძოდ, იგი ცალკე დგას და მისი ფუნქცია მიმართვის როლით შემოიფარგლება:

1. **შილო**, ის წიგნი მომიტანე!
2. **ძმაო**, სად მიდიხარ?
3. **მეგობარო**, ტაბიდის ქუჩას ვერ მიმასწავლი?

თუ ამჯერადაც პარალელურს მივმართავთ, უნდა აღვნიშნოს, რომ წოდებითი ბრუნვა თურქულ ენაში არ არის, უკრაინულში –კი. კერძოდ, ზემოთ მოყვანილი წინადადებები ამ ენებში ასეთ ფორმას მიიღებს:

	უკრაინული	თურქული
1	<div style="display: flex; align-items: center;"> <div style="margin-right: 10px;"> доню } Сину } </div> принеси цю книгу </div>	Evladım, o kitabı getir bana
2	Брате, куди ти йдеш?	Kardeşim, nereye gidiyorsun?
3	Друзе, не підкажеш мені де вулиця Табідзе?	Arkadaşım, Tabidze sokağına nasıl gidilir?

წოდებითი ბრუნვის ნიშანი ორი სახით გვხვდება; თანხმოვანფუძიანებთან გვაქვს -ო (კაც-ო, ქალ-ო, მეგობარ-ო...), ხოლო ხმოვანფუძიანებთან -ვ (დედა-ვ, სტუდენტობა-ვ...). ზოგ ერთ და ორმარცვლიან ხმოვანფუძიან სახელებში ბუნებრივია -ო დაბოლოებაც: და-ო, მზე-ო, დედა-ო...

წარმოდგენილი მასალა მხოლოდ ნაწილია მეთოდოლოგიური პრინციპებისა. ცხადია, ამ შემთხვევაშიც მრავალი სირთულე იჩენს თავს, მაგრამ მთავარი ისაა, რომ სწავლების პროცესი ორიენტირებული იყოს პრაქტიკული ცოდნისა და შესაბამისად, აუცილებელი სამეცნიერო უნარ-ჩვევების დაუფლებაზე.

თავი III. სახელური შესიტყვებანი და მათი სწავლება არაქართულენოვან ჯგუფებში

§1. შესიტყვების რაობა; სახელური შესიტყვების სახეები

წინა თავებში აღვნიშნავდით, რომ არაქართულენოვან ჯგუფებში საგანგებო ყურადღება არ ეთმობა გრამატიკული წესების შესწავლას, მაგრამ კომუნიკაციისთვის აუცილებელი ელემენტარული გრამატიკის მიწოდება ფრაზებით, პრაქტიკული სამუშაოების საშუალებით ხდება. „სწავლების კომუნიკაციური მეთოდი გულისხმობს ძირითადად კომუნიკაციურ სავარჯიშოთა სისტემის გამოყენებას, რომლებიც თავისთავად გრამატიკულ კანონზომიერებებს ეყრდნობა... გრამატიკული მოდელების სწავლებისას ყურადღება უნდა გამახვილდეს მათ სამეტყველო ფუნქციებსა და მათი გამოყენების ტიპობრივ სიტუაციაზე. ასე რომ, კომუნიკაციური მეთოდისთვის მნიშვნელოვანია კომბინირებული სავარჯიშოები, რომელთაც გრამატიკულ მიმართულებასთან ერთად კომუნიკაციური ხასიათი აქვთ და პირიქით (<http://mastsavlebeli.ge/?p=3707>). ამ პროცესის წარმატებულობა მეტწილად დამოკიდებულია სახელთა სწავლების პრინციპებზე. არაქართულენოვანი კომუნიკაციას იწყებს ერთი სიტყვით და მიდის მარტივ ფრაზამდე. ტიპურ სიტუაციებში შეკითხვის დასმა და პასუხის გაცემა ქმნის ჯერ შესიტყვებებს, შემდეგ კი წინადადებას. კომუნიკაციური მეთოდი ემყარება წინადადებას, რომლის წევრები სხვადასხვა მეტყველების ნაწილებითაა გადმოცემული. მათ შორის მნიშვნელოვანია სახელები. მოდელები, სქემები, მზა ფრაზები ქართული ენის შემსწავლელს ეხმარება სახელური შესიტყვებების გაგებასა და დამახსოვრებაში.

შესიტყვებას სინტაქსი სწავლობს. ჩვენი საკვალიფიკაციო ნაშრომის მიზანი არ არის სინტაქსის საკითხებზე მსჯელობა, მაგრამ სახელურ შესიტყვებებზე ყურადღების გამახვილება საჭიროდ მიგვაჩნია. შესიტყვებას ქმნის დამოკიდებულება სიტყვათა შორის. ეს დამოკიდებულება შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა საშუალებით. ასეთია სიტყვათა ფორმა, სიტყვათა ადგილი, სიტყვათა ინტონაცია. ცალკე აღებულ თითოეულ სიტყვას აქვს გარკვეული ფორმა, მაგრამ ეს

არ არის საკმარისი. აუცილებელია მათ ჰქონდეთ გარკვეული ფორმა, რომელიც შეეხამება სხვა ფორმას და მოგვცემს შესიტყვებას. ქართულში შესიტყვებას ქმნის არსებითი სახელი არსებითთან (ჭიქა წყალი), ზედსართავი სახელი არსებითთან (მაღალი სახლი), რიცხვითი სახელი არსებითთან (ორი კაცი), ნაცვალსახელი არსებითთან (ეს გოგო, ჩემი ქალაქი, ამნაირი სურათი...). შესიტყვება ქმნის სიტყვათა შორის დამოკიდებულებას. ეს დამოკიდებულება სულ მცირე ორ სიტყვას გულისხმობს, რომელთაგან ერთი მთავარი, მეორე–დამოკიდებული.

ქართული აფიქსებით მდიდარი ენაა; აფიქსები მონაწილეობენ როგორც მორფოლოგიური, ასევე ლექსიკოლოგიური და სინტაქსური სფეროს ფარგლებში განსახილველ სინტაგმატურ და პარადიგმატურ ურთიერთობებში (მაგალითად, ბრუნვისა და რიცხვის ნიშნები სახელებში, პირისა და რიცხვის ნიშნები ზმნებში...) ინგლისურ ენაში, მაგალითად, სიტყვათა წყობაა გადამწყვეტი და მორფოლოგიური ელემენტები (აფიქსები) ნაკლებად გამოიყენება სიტყვათა სინტაქსური შეკავშირებისას. ქართულ ენაში მხოლოდ შინაარსობრივი შეწყობა საკმარისი არ არის და აზრის გადმოსაცემად საჭირო ხდება სიტყვის ზუსტად განსაზღვრული ფორმით გამოყენება. განსაზღვრული სტრუქტურით წარმოდგენის გარეშე, შეუძლებელია გავიაზროთ გამონათქვამში: „კაცი მოკლა დათვი“ - რომელია სინამდვილეში „მკვლელი“ - კაცი თუ დათვი... მხოლოდ სათანადო ბრუნვის ფორმით წარმოდგენის შემდეგ ხდება შესაძლებელი ამ გამონათქვამიდან ჭეშმარიტი აზრის გამოტანა: „კაც-მა მოკლა დათვი-ი“ (გაბუნია 2016:7).

ა. ჩიქობავას მართებული მოსაზრებით, „სიტყვათა დაკავშირებისას ერთი სიტყვა აქტიური, წამყვანი, გაბატონებული სიტყვაა, მეორე კი – პასიური, დამოკიდებული დაქვემდებარების გარეშე არ იქმნება შესიტყვება, რაც წინადადების საფუძველთა საფუძველია (ჩიქობავა, 152, გვ. 282).

ქართულში გვაქვს: ა) ზმნური შესიტყვება, ბ) სახელური შესიტყვება, გ) ზმნისართული შესიტყვება, დ) თანდებულიანი შესიტყვება. ვინაიდან ჩვენი საკვალიფიკაციო ნაშრომი არაქართულენოვან ჯგუფებში სახელთა სწავლებას ისახავს მიზნად, მოცემულ პარაგრაფში ყურადღებას მხოლოდ სახელურ შესიტყვებაზე გავამახვილებთ.

სახელური შესიტყვება გულისხმობს მსაზღვრელისა და საზღვრულის ურთიერთობას. ამ ურთიერთობისას გამოიყოფა ატრიბუტულ და სუბსტანტიურ მსაზღვრელიანი შესიტყვებები. ატრიბუტულ მსაზღვრელად გვაქვს ზედსართავი სახელი და ამავე მნიშვნელობის მიმღობა, ზოგი ნაცვალსახელი, რიცხვითი სახელი და არსებითი სახელი მასდართურთ. საზღვრულია არსებითი სახელი, რომელიც ამავე დროს წამყვანია შესიტყვებაში. ახალ ქართულში არსებითი სახელი ბრუნვაში ითანხმებს მასთან დაკავშირებულ ატრიბუტულ მსაზღვრელს.

თანამედროვე ქართულში გვაქვს ბოლოთანხმოვანიანი (დიდ-ი სახლ-ი) და ბოლოხმოვანიანი (პატარა ბავშვ-ი) მსაზღვრელები. ბოლოხმოვანიანი მსაზღვრელი ბრუნვის ნიშანს არ დაირთავს (მწვანე მინდორი...). არაქართულენოვანებთან სწავლების სირთულეს თამხმოვანფუძიანი მსაზღვრელი ქმნის. იგი ბრუნვის ნიშნის დართვით ანგარიშს უწევს საზღვრულს.

სწავლების ამ ეტაპისთვის ქართული ენის შემსწავლელმა უკვე იცის ბრუნვის ფორმების გამოყენება. ამიტომ სახელური შესიტყვებების გააზრება სწორედ ბრუნვის ფორმებით უნდა ავუხსნათ, უმჯობესია ორი ბრუნვის – სახელობითისა და მოთხრობითის მაგალითებით ავაგებინოთ შესიტყვება. ამ ბრუნვათა სწორად გამოყენებას უნდა შეეჩვიოს ენის შემსწავლელის ყური. მაგალითად:

ა) ბოლოთანხმოვანიანი მსაზღვრელები: დიდ-ი სახლ-ი; დიდ-მა სახლ-მა; ახალ-ი პური, ახალ-მა პურ-მა; ჭკვიან-ი სტუდენტ-ი, ჭკვიან-მა სტუდენტ-მა; ჩემ-ი ძმა, ჩემ-მა ძმა-მ, ჩემ-ს ძმა-ს...

ბ) ბოლოხმოვანიანი მსაზღვრელები: პატარა ბავშვ-ი; პატარა ბავშვ-მა; პატარა ბავშვ-ს...

დასახელებულ მაგალითებში სახელურ შესიტყვებას ქმნის ზედსართავი სახელი და არსებითი სახელი. შემდეგი ნაბიჯი უკვე წინადადებების შედგენაა:

ეს არის **ჭკვიან-ი სტუდენტ-ი**; **ჭკვიან-მა სტუდენტმა** გამოცდა კარგად ჩააბარა; **ჭკვიან სტუდენტ-ს** სულ ფრიადები ჰყავს; **ჭკვიან-ი სტუდენტ-ის** მშობლები ბედნიერები არიან; **ჭკვიან-ი სტუდენტ-ით** კმაყოფილი ვარ... **პატარა ბავშვ-ი** იძინებს; **პატარა ბავშვ-მა** დაიძინა; **პატარა ბავშვ-ს** დაუძინია... **ჩემ-ი ძმა** უნივერსიტეტში სწავლობს. **ჩემ-მა ძმა-მ** უნივერსიტეტი დაამთავრა. **ჩემ-ს ძმა-ს** ველოდები...

სუბსტანტიური მსაზღვრელი ორი არსებითი სახელის შეერთებით მიიღება: ერთი არსებითი სახელი არის მართული, მეორე – მმართველი და ჩვეულებრივი წესით იბრუნება. მართული სახელი შეიძლება მრ. რიცხვშიც იყოს. მაგალითად: კბილ-ის ექიმი; თამარ-ის მამა; ხ-ის კოვზი; ტელეფონ-ის ნომერ-ი; წიგნ-ებ-ის კარადა...

ანალოგიურად, არაქართულენოვან ჯგუფებში სუბსტანტიური მსაზღვრელის სწავლებაც წინადადებების საშუალებით ხდება: ის არის კბილ-ის ექიმ-ი. კბილ-ის ექიმ-მა წამალი მომცა. კბილ-ის ექიმ-ს ველოდები. კბილ-ის ექიმ-ის ნახვა მინდა... შენი ტელეფონ-ის ნომერ-ი არ ვიცი; ჩემი ტელეფონ-ის ნომერ-ს მოგცემ... ოთახში არის წიგნ-ების კარადა. წიგნ-ების კარადა-ს ვყიდულობ. წიგნ-ების კარადა-ზე ბევრი წიგნია. წიგნ-ების კარადა-ს-თან დივანია.

კომუნიკაციაში ასევე მნიშვნელოვანია თანდებულიანი შესიტყვებების გამოყენება. თანდებულიანი ფორმების სწავლებაზე ვსაუბრობდით სახელებთან დაკავშირებით. მოცემულ პარაგრაფში კი ჩვენი მიზანია ენის შემსწავლელებს ისეთ სახელურ შესიტყვებებზე გავამახვილებინოთ ყურადღება, რომლის მსაზღვრელი თანდებულიანი არსებითი სახელია. მაგალითად: სახლ-ზე მაღალი; ოთახზე დიდი; დედასავით კეთილი... მაგალითად: ჩემს სახლზე მაღალი ნინოს სახლია. თქვენს ოთახზე დიდი ჩვენი ოთახი არის. დედასავით კეთილი მინდა ვიყო...

ჩვენი მიზანია, არაქართულენოვანებს გავაგებინოთ, რომ სახელი სახელთან ერთობით ქმნის შესიტყვებას. სახელური შესიტყვებების სწორი ფორმით გამოყენება კი წარმატებული კომუნიკაციის აუცილებელი პირობაა.

§2. მსაზღვრელის სწავლების ზოგიერთი საკითხი თურქულენოვან ჯგუფებში

თურქულენოვან ჯგუფებთან მუშაობისას მნიშვნელოვან სირთულეს ქმნის მსაზღვრელის სწავლება, განსაკუთრებით კი – სუბსტანტიური მსაზღვრელისა.

თურქულში სახელურ შესიტყვებებს ქმნის მსაზღვრელ-საზღვრულის წყვილი, კერძოდ, ა) ორი არსებითი სახელი: **demir kapı** (რკინის კარი) (I იზაფეთი); ბ) **Babamın anne-si** (მამაჩემის დედა) (III იზაფეთი); გ) ზედსართავი და არსებითი ერთად: **oturma oda-sı** (მისაღები ოთახი) (II იზაფეთი): (გოცირიძე, 2003: 36 -38; კვანტალიანი, ჯანაშია, 2009: 40-44).

ქართულსა და თურქულში ერთნაირია ატრიბუტული მსაზღვრელის გადმოცემის საშუალებები (მსაზღვრელი არის: ზედსართავი სახელი: დიდი სახლი – **büyük ev**; გაარსებითებული ზედსართავი: სასტუმრო ოთახი – **müsafir odası**; რიცხვითი სახელი: ორი კალამი – **iki kalem**; ნაცვალსახელი: ჩემი სახლი – **benim evim**), მაგრამ განსხვავებულია გამოხატვის ფორმა. კერძოდ, ქართულში ატრიბუტული მსაზღვრელის საზღვრულთან შეთანხმების საკითხს განსაზღვრავს, მსაზღვრელი სახელი ხმოვანფუძიანია თუ თანხმოვანფუძიანი.

ქართულისაგან განსხვავებით, თურქულში ატრიბუტული მსაზღვრელი (როგორც ხმოვანფუძიანი, ისე თანხმოვანფუძიანი) საზღვრულთან ფუძის სახით გვხვდება: **küçük çocuk** (პატარა ბავშვი). ასევეა მოთხრობითი, მიცემითი და ა.შ. ზოგიერთ თურქულ ატრიბუტულ მსაზღვრელიან ფორმას ქართულად გადათარგმნისას ნათესაობით ბრუნვაში ჩასმული სუბსტანტიური მსაზღვრელი ცვლის (Çimke, 2012: 176). მაგალითად: **Ahşap kaşık** – ხ-ის კოვზი, **diş doktor** – კბილ-ის ექიმ-ი... დასახელებულ მაგალითებში **Ahşap, diş** ატრიბუტული მსაზღვრელებია, რომელთაც ქართულში ნათესაობითბრუნვიანი სუბსტანტიური მსაზღვრელი შეესაბამება: ხ-ის, კბილ-ის...

თურქულში სუბსტანტიური მსაზღვრელი შეიძლება იყოს ფუძის სახითაც (**Demir Kapı**) და ნათესაობითი ბრუნვის ფორმითაც (თანხმოვანფუძიანებთან **-in, -in-, un,-ün**; ხმოვანფუძიანებთან **-nın,-nin,-nun-, -nün**) (**okul-un** haritası; **annenin** babası). მსგავსად ქართულისა, იგი გამოხატავს: ა. კონკრეტულ კუთვნილებით-დანომწულელებით ურთიერთობას (**babam-in** oda-sı– მამაჩემის ოთახი); ბ. ნათესაურ კავშირს (**Halanin** çocüğü); გ. თანამდებობრივ, იერარქიულ ურთიერთობებს (**okul-un** müdür-ü), ნაწილის მთელთან მიმართებას (**oda-nın** kapı-sı).

ქართული ენის შესწავლით დაინტერესებული თურქულენოვანისთვის გაუგებარია, რატომ ვამბობთ: „**ბათუმ-ის** სახელმწიფო უნივერსიტეტი“, როცა თურქულ შესიტყვებაში – „**Batum Devlet Üniversitesi**“ – მსაზღვრელი სიტყვა **Batum** ფუძის სახითაა. ამის ასახსნელად აუცილებელია გრამატიკულ მასალაზე მუშაობაც, ცხადია, შესაბამისი დოზით: ქართული ენის შემსწავლელს უნდა გავაგებინოთ, რომ ქართულში არსებითი სახელით გადმოცემული სუბსტანტიური მსაზღვრელი, რომელიც გამოხატავს კუთვნილებით-დანომწულელებით ურთიერთობას ან

მიუთითებს მასალაზე, ყოველთვის დგას ნათესაობით ბრუნვაში. ცხადია, უფრო მოხერხებულია პარალელური მაგალითების მოყვანა:

ა) მსაზღვრელი გამოხატავს კუთვნილებით-დანიშნულებით ურთიერთობას:

თურქეთ-ის დედაქალაქი (**Türkiyen-in** Başkent-i); საქართველო-ს დედაქალაქი (**Gürgistan-in** Başkent-1); თბილის-ის უნივერსიტეტი (**Tiflis Universite-si**); ანკარ-ის უნივერსიტეტი (**Ankara Universite-si**); რუსთაველ-ის პროსპექტი (**Rustaveli cadde-si**); თაქსიმ-ის მოედანი (**Taksim meydan-1**); ზამთრ-ის პეიზაჟი (**Kış manzara-sı**); დედაჩემ-ის ოთახი (**Annem-in oda-sı**); მამაჩემ-ის ავტომობილი (**babam-in araba-sı**); თამარ-ის დეიდა (**Tamar-in teyze-si**); ჰასან-ის დეიდა (**Hasan-in amca-sı**); სასტუმრო-ს დირექტორი (**otel-in müdür-ü**); ოთახ-ის ფანჯარა (**odan-in pencere-si**)...

ჰასან-ის მამ-ის ნათესავები (**Hasan-in baba-sı-nın akrabalar-1**); მამაჩემ-ის ამხანაგ-ის ავტომობილ-ის გასადები. (**Babam-in arkadaşı-in araba-nın anahar-1**).

ბ) გამოხატავს მასალას, ნივთიერებას:

ქვ-ის სახლი (**taş ev**); ოქრო-ს საათი (**Altın saat**); ხ-ის სახლი (**Ahşap ev**); რკინ-ის კარი (**Demir Kapı**)...

გ) გამოხატავს დანიშნულებას:

კბილ-ის ექიმი (**diş doctor-u**); ტანსაცმლ-ის კარადა (**elbise dolab-1**); ჩა-ის კოვზი (**Çay kaşığı-1**) ტყავ-ის ქარხანა (**Deri fabrika-sı**)

მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ ქართულში ნათესაობით ბრუნვაში მდგარი სუბსტანტიური მსაზღვრელებითაა გადმოცემული თურქულის I, II, III იზაფეტური კონსტრუქციები და იზაფეტური ჯაჭვიც, მიუხედავად იმისა, როგორი სემანტიკისაა მსაზღვრელი.

ქართულსა და თურქულ ენებში განსხვავებულია მსაზღვრელ-საზღვრულის წყობაც: ქართულში გვაქვს პირდაპირი (დიდი სახლი) და შებრუნებული (სახლი დიდი) წყობა, თურქულში კი მხოლოდ პირდაპირი წყობის მსაზღვრელ-საზღვრულია (**büyük ev**). „ქართულის მსგავსად თურქულშიც მსაზღვრელ-საზღვრული უშუალოდ კი არ მოჰყვება ერთმანეთს, არამედ ისინი გათიშულია სხვა, ერთი ან რამდენიმე სიტყვით. მაგალითად, **Dedemin büyük bahçeli evi** – ბაბუაჩემის დიდი ბაღიანი სახლი“ (Çimke, 2012: 176).

თურქულენოვან ჯგუფებში სუბსტანტიური მსაზღვრელის სწავლების სტრატეგი-ებზე საუბრისას ორი ენის ბუნების გათვალისწინება აუცილებელია და, ამასთან, სა-ჭიროა მასალის მარტივ და რთულ კომპონენტებად დაყოფა და შესაბამის ეტაპებზე განაწილება. ცხადია, დიდი მნიშვნელობა აქვს გრამატიკული მასალის შერჩევას. და ამ მასალასთან დამოკიდებულების სტრატეგიას, ანუ, როგორც პრაქტიკა ადასტუ-რებს, ყოველი ახალი მიწოდებული მასალა უნდა იყოს მარტივი და გასაგები; ყოველი შემდეგი ნაბიჯი უნდა ეყრდნობოდეს ადრე შეთვისებულ მასალას; თანდათან უნდა იზრდებოდეს დავალებისა და მასალის სიძნელე (მელიქიძე, ქირია, 2006:19).

როგორც ვთქვით, სუბსტანტიური მსაზღვრელის სწავლებისას მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება ისეთ კომპონენტებზე, როგორცაა ა) კუთვნილება, ბ) მასალა, გ) დანიშნულება. ამჯერად სწორედ ამ საკითხზე შევჩერდებით და აქვე შევნიშნავთ, რომ მზა ფორმულებისა და სქემების გამოყენება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია სწავლების პროცესში. ცხადია, „მზა ფორმები“ არ ნიშნავს მხოლოდ მსაზღვრელ-საზღვრულის წყვილთა გაზეპირებას. აუცილებელია ისეთ სავარჯიშოებზე მუშაობა, რომლებიც ენის შემსწავლელს საშუალებას მისცემს, გაიაზროს და დააკვირდეს სიტყვათა მნიშვნელობებს და აირჩიოს სწორი ფორმა. წარმოვადგენთ მაგალითებს და დავაჯგუფებთ შემდეგნაირად:

ა) კუთვნილების გამოხატვა:

ჩენი	უნივერსიტეტი
თბილის-ის	
ანკარ-ის	

რუსთაველ-ის	პროსპექტი
დედაქალაქ-ის	
ქალაქ-ის	

სკოლ-ის	დირექტორი
ქარხნ-ის	
სასტუმრო-ს	

თურქეთ-ის	დედაქალაქი
საქართველო-ს	
ქვეყნ-ის	

ბ) მასალის გამოხატვა:

ქვ-ის	კედელი
ხ-ის	
აგურ-ის	

ოქრო-ს	საათი
ვერცხლ-ის	
ქვ-ის	

ქვ-ის	სახლი
ხ-ის	
აგურ-ის	

ხ-ის	კარი
ქვ-ის	
რკინ-ის	

გ) დანიშნულების გამოხატვა:

ოჯახ-ის	ექიმი
ბავშვ-თა	
კბილ-ის	

ჩაი-ს	კოვზი
სუფრ-ის	
წვნიან-ის	

ტყავ-ის	ქარხანა
თხილ-ის	
აგურ-ის	

ჭურჭლ-ის	კარადა
ტანსაცმლ-ის	
ნივთებ-ის	


ენის შემსწავლელები ამ ფორმებს აქტიურად იყენებენ შესაბამისი სიტუაციების მიხედვით, როცა ხდება კონკრეტული ინფორმაციების მიწოდება საკუთარი თავის, საცხოვრებელი ადგილის, საქმიანობის, ასაკის, ინტერესის... შესახებ. ამ შემთხვევაშიც ამოცანა შეიძლება რამდენიმე ეტაპად განხორციელდეს. მაგალითად, შეიძლება ქართული ენის შემსწავლელებს მივაწოდოთ ტექსტი და მოვთხოვოთ ნათესაობითბრუნვიანი ფორმების მონიშვნა ან ამოწერა (მიზანშეწონილია ამოცანის გართულება – სუბსტანტიური მსაზღვრელების დაჯგუფება კუთვნილების, მასალის, დანიშნულების მიხედვით):

„ჩემი ოჯახი დიდია. ბაბუა, ბებია, მამა, დედა, ჩემი და, ჩემი ძმა და მე. ბებია და ბაბუა მოხუცები არიან. ისინი არ მუშაობენ, პენსიონერები არიან. დედაჩემი არის კბილის ექიმი. ის საავადმყოფოში მუშაობს, 45 წლისაა. მამაჩემი ქარხნის დირექტორია. ის 50 წლისაა. მას გიორგი ჰქვია, დედაჩემს კი – ელენე. ჩემი და სკოლის მოსწავლეა. ის ძალიან ჭკვიანია, მაგრამ ცოტა ზარმაცია. მას მარიამი ჰქვია. ჩემი ძმა ადვოკატია. ის 23 წლისაა. მაღალი, შავგვრემანი და სიმპათიურია. მე მქვია თეა. მე უნივერსიტეტის სტუდენტი ვარ, ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე ვსწავლობ. ჩვენ ბათუმში ვცხოვრობთ. ჩვენი მისამართია გორგასლის ქ. №17“.

დამახსოვრების მიზნით მნიშვნელოვანია მათ მიერ მონიშნული ფორმების გამოვლენა. საზოგადოდ კი აღნიშნული მეთოდი ეფექტურია საკითხის უკეთ გაგებისთვის, კერძოდ, იგი ხელს უწყობს ტექსტზე დამოუკიდებლად მუშაობისა და კითხვის უნარ-ჩვევების განვითარებას, გააზრებულ კითხვას, მნიშვნელოვანი ინფორმაციის ამოკრებასა და დახარისხებას და ა.შ.

მეორე ნაბიჯზე სასურველია ენის შემსწავლელებს მოვთხოვოთ ტექსტის „გადაწერა“ ისე, რომ აღწეროს საკუთარი საოჯახო ყოფა. ცხადია, შესრულებულ დავალებაშიც უნდა გამოიყოს სუბსტანტიური მსაზღვრელები (ამოცანის გართულება შეიძლება იმით, რომ ტექსტის „გადაწერისას“ მათ დაევალოთ ნათესაობითის ფორმების შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად გამოყენება).

მესამე ნაბიჯი გულისხმობს ცოცხალი დიალოგის გამართვას. მოცემული თემის ფარგლებში დიალოგი შეეხება თითოეული მსმენელის ოჯახს, ნათესაებს, ცხოვრების დეტალებს. ჯგუფის აქტივობა გამოიხატება იმით, რომ ყურადღებით ისმენენ დიალოგს და ჩაინიშნავენ სუბსტანტიურ მსაზღვრელებს. ამავე კონტექსტში შეიძლება განვიხილოთ დიალოგები სქემების გამოყენებით. მაგალითად:



ამ შემთხვევაში დიალოგები სტანდარტულია:

- ვინ არის რეზოს დეიდა?
- რეზოს დეიდა არის თამარი.
- ვინ არის თინას და?
- თინას და არის ლეილა და ა.შ.

აღნიშნული მასალაზე მუშაობისას არანაკლებ ეფექტურია სწავლა შეცდომების გასწორებით. ეს მეთოდი ენის შემსწავლელებს ეხმარება საკუთარი თუ სხვისი შეცდომების აღმოჩენასა და ადეკვატურად რეაგირებაში; ხელს უწყობს შეცდომების აღმოჩენისა და გასწორების უნარის ჩამოყალიბებას, ზრდის მოტივაციას და ავითარებს დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევებს. ამ მეთოდის მეშვეობით ენის შემსწავლელი სწავლობს აქტიურად, „კეთებით“. ამავე დროს, მათ უვითარდებათ სოციალურ-კომუნიკაციური უნარები: ზეპირი და წერიტი მეტყველება, თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, თანამშრომლობა“ (მირიანაშვილი... 2010 : 68).

ფაქტია, რომ ქართული ენის გრამატიკული სისტემა თავისთავადია. სწორედ ეს განაპირობებს მისი შესწავლის სირთულეს. ამ სირთულის გამო ხშირ შემთხვევაში ენის შემსწავლელს პრობლემები ექმნება, რაც აფერხებს სწავლების პროცესს. სწავლებისადმი სწორი მიდგომა, ეფექტური საშუალებების უხვად გამოყენება, სწორი მეთოდოლოგია, სირთულეების გადანაწილება სწავლების ეტაპებზე, გრამატიკული სისტემის სწორად და გააზრებულად მიწოდება დაეხმარება ენის შემსწავლელს სწავლების რთული პროცესი ეფექტური და ადვილად დასაძლევად გახადოს.

§ 3. სწავლებისა და შეფასების ელექტრონული სისტემის ზოგიერთი საკითხი


ვიდრე სწავლებისა და შეფასების სისტემაზე ვისაუბრებდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია განვიხილოთ ის მოთხოვნები და დონეები, რაც ქართულის, როგორც მეორე ენის, შესწავლას უდევს საფუძვლად. ამასთან დაკავშირებით დარგის სპეცილისტთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა.

ყოველთვის აქტუალურია კითხვა – რა დონეს უნდა ფლობდეს ქართულის, როგორც მეორე ენის, შემსწავლელი, რომ მან შეძლოს: ა) მისთვის სასურველ სპეციალობაზე უნაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელება ბ) პირადი თუ ბიზნეს ინტერესებიდან გამომდინარე წარმატებული კომუნიკაცია გ) საჯარო

სამსახურში თუ კერძო სტრუქტურაში ინტეგრირება; დ) საკომუნიკაციო ქართულის ფლობა და ა. შ. ყველა დასახელებული შემთხვევა გულისხმობს ქართული ენის სოციალური სტატუსის ასაკის მოთხოვნებისა და ინტერესების გათვალისწინებას; შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რა დროში მიმდინარეობს ენის სწავლება და რა შედეგებს გვინდა, რომ მივაღწიოთ.

არაქართულნოვან ჯგუფებში დღესდღეობით აპრობირებულ და წარმატებულ პროექტად აღიარებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერებათა სამინისტროს პროგრამა „ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლება“ (პროგრამის ავტორი და ხელმძღვანელი მარიკა ოძელი). ამ პროგრამის ფარგლებში შეიქმნა ქართულის, როგორც უცხო ენის, სტანდარტი – ქართული ენის ფლობის დონეების (A1- A2, B1- B2, C1- C2) აღწერლობა.

წარმოვადგენთ დონეების სქემას:



A1–ენის გასაღები	ენის ფლობის ყველაზე დაბალი დონე, რომლის ფარგლებში შემსწავლელს აქვს კითხვის, მოსმენისა და წერის ელემენტარული უნარი. მას ასევე შეუძლია ძალიან მარტივ საუბარში მონაწილეობა.
A2–ენის საფუძველი	ეს არის ენის ფლობის დონე, როდესაც შესწავლელს შეუძლია საუბარში უფრო აქტიური მონაწილეობას, თუმცა იგი კვლავ მწირად ფლობს გამოხატვის ფორმებს და სჭირდება თანამოსაუბრის დახმარება. ამ დონეზე შემსწავლელს უვითარდება მონოლოგის წარმართვისა და ყოველდღიურ ყოფით თემებზე საუბრის უნარი.
B1–ენის ფლობის ზღვრული	ეს დონე ხასიათდება ორი განსხვავებული ნიშნით.

დონე	სახელდობრ: შემსწავლელს შეუძლია: დიალოგის წარმართვა მთელ რიგ განსხვავებულ სიტუაციებში; ყოველდღიური ცხოვრებისეული ამოცანების დაძლევა, რამდენადაც მას უვითარდება სხვადასხვა მოცულობის ინფორმაციის გაცვლის უნარი. ზღვრული დონე უმეტესად უცხო ქვეყანაში მოკლე დროით ჩამსვლელებისთვისაა გათვალისწინებული.
B2–ენის ფლობის ზღვრული განვითარებული დონე	ამ დონეზე შემსწავლელს თავისუფლად შეუძლია: კომუნიკაციის დამყარება; ბუნებრივი, ძალდაუტანებელი საუბრის წარმართვა; დაწვრილებით გაგება ყველაფერი იმისა, რასაც სალიტერატურო ენით ეუბნებიან. ენის ცოდნის ამ საფეხურზე, შემსწავლელს შეუძლია გაუგებრობის გამომწვევი შეცდომების გასწორება, მას უვითარდება არგუმენტირებული დისკუსიისა და საქმიანი საუბრის წარმართვის ჩვევები.
C1–ენის ფლობის პროფესიონალური დონე	ამ დონეზე შემსწავლელი ფლობს ენობრივ საშუალებათა ფართო სპექტრს და შეუძლია თავისუფალი, შეუფერხებელი მეტყველება.
C2–ენის ფლობის სრულყოფილი დონე	ეს დონე წარმოაჩენს სიზუსტისა და ენობრივ საშუალებათა დაუბრკოლებლად გამოყენების ძალიან მაღალ ხარისხს, თუმცა იგი მაინც არ უტოლდება მშობლიურ ენაზე მოსაუბრის ენის ფლობის სრულყოფილი დონის კომპეტენციას (ოძელი, 2013:108/109.)

ჩვენს შემთხვევაში საქმე გვაქვს ქართული ენის შემსწავლელ იმ კატეგორიასთან, 1) რომლებიც განათლებას იღებენ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში (სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი ერთწლიანი პროგრამის ფარგლებში, ქართულ ენაში მოსამზადებელი მოკლევადიანი პროგრამის

მსმენელები); 2) პირადი ინტერესებიდან გამომდინარე უცხოელი მოქალაქეები და სხვ. დასახელებულ პროგრამებზე სასწავლო პროცესის მოცულობა არ აღემატება ერთ წელზე მეტს. ჩვენი აზრით ეს ქართული ენის შესწავლის მოკლე ვადაა და ამ პერიოდში ენის სიღრმისეული შესწავლის პრეტენზიები არ უნდა გვექონდეს: ვფიქრობთ, შესაძლებელია B1- B2 დონეების მიღწევა.

ენის სწავლებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსმენის პროცესს. სწორედ აქტიური მოსმენით, მასწავლებელთან უშუალო კონტაქტით, „ენის შემსწავლელს შეუძლია გაიგოს ნათქვამი ყოველდღიური მეტყველებისთვის გამოსაყენებელი ლექსიკური ერთეულებითა და შესიტყვებებით“ (ოძელი, 2013:110).

სწავლების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში შეფასებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. შეფასება არის სასწავლო მიზნების მიღწევის ხარისხის დამდგენი მონაცემების შეგროვების, აღრიცხვისა და ანალიზის მუდმივი პროცესი, ენის შემსწავლელთა წარმატებისა და პროგრესის თანამიმდევრული შესწავლა.

. მასწავლებელმა უნდა იცოდეს, თუ რა, როდის, რატომ და როგორ უნდა შეაფასოს. იგი, პირველ რიგში, გეგმავს, თუ რა შედეგს (ან შედეგებს) სურს რომ მიაღწიოს; შემდეგ გეგმავს, თუ როგორ შეაფასოს, აღწევს თუ არა იგი ამ შედეგს და ბოლოს, განსაზღვრავს იმ საშუალებებს, რომლითაც იგი ამ შედეგის მიღწევას შეეცდება. შეფასების პროცესში დგება რამდენიმე მნიშვნელოვანი კითხვა:

- რისთვის ვაფასებთ (შეფასების მიზანი)?
- რას ვაფასებთ (შეფასების საგანი)?
- როგორ ვაფასებთ (შეფასების ხერხები, ინსტრუმენტები) ?
- ვის ვაფასებთ (შეფასების ობიექტი)?
- როდის ვაფასებთ (რა სიხშირით, რა ვადებში)? (გაბუნია... 2011: 4).

მოცემულ პარაგრაფში ვეხებით რა შეფასების საკითხებს, განვიხილავთ, უპირველესად, სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ზოგიერთ სტრატეგიას, აქვე წარმოვადგენთ ჩვენეულ ინოვაციას შეფასების სისტემაში. ეს ის სიახლეა, რომელზეც ვმუშაობდით კოლეგებთან ერთად ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის „ქართული ენა უცხოელთათვის“ ფარგლებში.

ერთი მხრივ, თავად უცხო ენის სწავლების მიდგომების შეცვლამ და, მეორე მხრივ, საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ზოგადად სასწავლო პროცესის ფორმირებაზე. თანამედროვე შემსწავლელებისათვის ელექტრონული აპლიკაციების გამოყენება მათი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, ამდენად, სასწავლო კურსში მათი ინტეგრირება სასწავლო პროცესის სრულყოფის მეტ შესაძლებლობას იძლევა.

მოცემული პარაგრაფი პრაქტიკული ხასიათისაა. მასში მოცემულია, თუ როგორ შეიძლება ამა თუ იმ ელექტრონული რესურსის გამოყენება კონკრეტული ენობრივი კომპეტენციების გასავითარებლად და ცოდნის შესაფასებლად. ამ ნაწილში, ძირითადად გადმოცემულია ჩვენი პირადი გამოცდილება, რომელიც სწავლების პროცესში დაგვიგროვდა, ის სიახლეები, რომელთა დანერგვაც ვცადეთ არაქართულენოვან მსმენელთა ჯგუფებში.

საკამათო არაა, რომ სწავლების პროცესში მულტიმედია საშუალებების დანერგვას, მეორე ენის სწავლებაში ელექტრონული საშუალებების ინტეგრირებას ბევრი უპირატესობა აქვს. ბუნებრივია ისიც, რომ უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში კომპიუტერი და მასთან დაკავშირებული ელექტრონული საშუალებები სულ უფრო მზარდ როლს თამაშობს საგანმანათლებლო პროცესის მიმდინარეობისას. „ციფრულმა რევოლუციამ“, ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს მსგავსად, მნიშვნელოვნად შეცვალა სასწავლო გარემოს ლანდშაფტი. თუკი არც თუ ისე დიდი ხნის წინ პირისპირ (Face To Face) სწავლება უალტერნატივო სასწავლო გარემოდ მიიჩნეოდა (სადაც მედია იყო დაფა, ინფორმაციის ცალმხრივად გავრცელებისათვის მეტად მოსახერხებელი საშუალება), ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიების შესაძლებლობების განვითარების კვალდაკვალ, მას გამოუჩნდნენ კონკურენტები შერეული და ელექტრონული განათლების სახით. ახალი ტიპის სასწავლო გარემოს ფორმირება ბუნებრივად მოითხოვს ახალი საგანმანათლებლო მეთოდების დანერგვას, რომლებშიც ინტეგრირებულია ICT (ინფორმაციული და კომუნიკაციური) ტექნოლოგიები პედაგოგიური და საგანმანათლებლო ამოცანების შესასრულებლად. იგულისხმება საგანმანათლებლო მეთოდები, რომელთა დამკვიდრებისა და დანერგვისათვის კომპიუტერი გამოყენებულია, როგორც შუამავალი შემსწავლელსა და მასწავლებელს შორის.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეორე/უცხო ენის დაუფლება ხანგრძლივი და რთული პროცესია, რომელიც ენის შემსწავლელისაგან მოითხოვს მაღალ მოტივაციას, სურვილს, ნებას, ენერგიას, დროს და ა. შ. კურიკულუმისა და კურსის ავტორთა, აგრეთვე საგნის პედაგოგთა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას სასწავლო მიზნების შესაბამისი ინსტრუმენტების კურსში ჩართვა და იმპლიმენტაცია უნდა წარმოადგენდეს, რათა გაამრავალფეროვნოს, გაამდიდროს, გააადვილოს სწავლა-სწავლების პროცესი და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, დაუახლოვოს ის ქართული ენის შემსწავლელთა ბუნებრივ და მოხეხებულ გარემოს. თუკი გავითვალისწინებთ, რომ თანამედროვე შემსწავლელთა აბსოლუტური უმრავლესობა „ციფრული რევოლუციის“ შემდგომი თობის წარმომადგენელია, რომელთათვისაც ელექტრონული საშუალებები ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია, ინფორმაციულ-ტექნოლოგიური საშუალებებით კურსის გამდიდრების მნიშვნელობა სრულიად აშკარა ხდება, რადგან ეს მათთვის მეტად კომფორტული გარემოს შექმნის შესაძლებლობას იძლევა (გოჩიტაშვილი, 2013: 22). რასაკვირველია, სასწავლო პროცესში ელექტრონული საშუალებების გამოყენება არ არის თვითმიზანი. ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფა მნიშვნელოვანი პირობაა ენის კურსის წარმატებისათვის, თუმცა, ის მაინც მედიაა, „დამხმარე საშუალებაა და, პირველ რიგში, კურსის შინაარსსა და მისი მიწოდების მეთოდოლოგიაზე უნდა გამახვილდეს ყურადღება“ (გოჩიტაშვილი... 2010: 131).

მივუბრუნდეთ შეფასების თემას: როდესაც ვსაუბრობთ არაქართულენოვან ჯგუფებზე, „შეფასებაში“ ვგულისხმობთ ადამიანის მიერ ენის გამოყენების უნარის შეფასებას. უნდა გაიმიჯნოს შეთვისების შეფასება ენის ფლობის შეფასებისგან; შეთვისების შეფასება არის გარკვეულ დავალებათა შესრულების შეფასება ანუ იმის შეფასება, რაც ასწავლეს. ეს შეფასება ორიენტირებულია სასწავლო კურსზე. ენის ფლობის შეფასება კი ენის პრაქტიკული გამოყენების ჩვევების შეფასებაა. და ბუნებრივია, როგორც აღვნიშნეთ, დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ საშუალებათა დადგენას, რითაც მასწავლებელმა სასურველ შედეგს უნდა მიაღწიოს.

ელექტრონულ საშუალებათა მრავალმხრივი დანერგვა სასწავლო პროცესში თანამედროვე ეპოქის არსებითი პროცესია. ამჟამად არსებობს სხვადასხვა კომპიუტერული სისტემა, რომლებიც გამოიყენება როგორც სწავლების პროცესში,

ასევე ცოდნისა და უნარ-ჩვევების შემოწმებისა და შეფასების მიზნით. პროგრამული სისტემით ცოდნის გამოვლენა და შეფასება სასწავლო პროცესის სრულყოფის ერთ-ერთი გზაა. ამ მიზნით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2011 წელს დაინერგა ცოდნის გამოვლენისა და შეფასების კომპიუტერული სისტემა – „Kiber - 1“, რომლის ბაზაზე შესაძლებლობა გვეძლევა, ჩავატაროთ პრაქტიკული მეცადინეობები, მიმდინარე შეფასებები და დასკვნითი გამოცდები. მივცეთ სტუდენტებს საშუალება, დამოუკიდებლად შეამოწმონ საკუთარი ცოდნა (კომპიუტერული უზრუნველყოფა ასოც. პროფ. ო. ნაკაშიძე). უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებულ სისტემას ბევრ მსგავს პროგრამულ სისტემასთან შედარებით გააჩნია რიგი უპირატესობანი, კერძოდ:

- ✓ მნიშვნელოვნად გამარტივებულია ტესტების შედგენის პროცესი;
- ✓ ტესტები შეიძლება იყოს როგორც ღია, ასევე დახურული, მარტივი ან რთული, რაც ქულათა დიფერენცირების საშუალებას იძლევა.
- ✓ ღია ტესტებში მაქსიმუმ 7 სავარაუდო პასუხიდან, შეიძლება იყოს მაქსიმუმ 3 სწორი პასუხი;
- ✓ დახურული ტესტის ან ამოცანის სწორი პასუხები სტუდენტმა უნდა ჩაწეროს შესაბამის სვეტში და ამ სახის ტესტებში სწორი პასუხების რაოდენობა არ არის შეზღუდული;
- ✓ ტესტები შეიძლება დავალაგოთ საკითხებისა და თემების მიხედვით და გამოკითხვისას გამოცდაზე გავიტანოთ კითხვების გარკვეული რაოდენობა ცალკეული თემის მიხედვით;
- ✓ რამდენიმე სწორ პასუხიანი ტესტების შეფასებისას შეიძლება გამოვიყენოთ ან არ გამოვიყენოთ წილობრივი შეფასება;
- ✓ ტესტებში კითხვების ფორმულირების დროს შეიძლება გამოვიყენოთ როგორც სურათი, ასევე აუდიო ან ვიდეო ფაილი;
- ✓ პროგრამა საშუალებას იძლევა, მოვახდინოთ დახურული ტესტებისათვის ლექსიკონის ორგანიზაცია, რის საფუძველზეც პროგრამაში რეალიზებულია ტესტებში გამოყენებული სიტყვის, ფრაზის ან წინადადების სემანტიკური ანალიზი.


- ✓ პროგრამა შესაძლებლობას იძლევა ტესტების ბაზიდან კონკრეტული ტესტირებისთვის (მაგ. მიმდინარე, შუალედური გამოცდის, დასკვნითი გამოცდის...) არჩეული იქნეს ტესტების სასურველი რაოდენობა და ჯგუფები. ყველა ჯერზე შეიცვალოს ტესტების თანმიმდევრობა და შედგენილობა.

უკანასკნელ წლებში, საკვალიფიკაციო თემაზე მუშაობისას, შესაძლებლობა გვქონდა, ხსენებული კომპიუტერული პროგრამის ბაზაზე დაგვემუშავებინა სისტემა სპეციალურად მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ქართული ენა უცხოელთათვის“. ამჟამად ზეპირი და წერიტი გამოკითხვების გარდა, კომპიუტერული სისტემით ვაფასებთ ქართული ენის აღქმის უნარს, ლექსიკურ მარაგს... შეფასების ელექტრონულ სისტემაში, ბუნებრივია, წარმოდგენილია სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული თანმიმდევრობა ენის სწავლებისა, ანუ ტესტირებისთვის გამოყენებული მასალა „მიბმულია“ სასწავლო კურსზე. სასურველი შედეგი მიიღწევა მხოლოდ სისტემატურობით, რაც ნიშნავს დაგეგმვის მკაცრ ლოგიკას, მასალის თანმიმდევრული წესრიგით განლაგებას, სადაც მომდევნო ემყარება წინამავალს და წინამავალი აუცილებლად მოითხოვს შემდეგს. თუ სწავლება-შეფასების დროს ეს პრინციპი დაირღვა, შესასწავლი მასალის ათვისება საგრძნობლად რთულდება და ზოგჯერ შეუძლებელიც ხდება. შესაბამისად, ყველა ტესტირება დაგეგმილია და მოიცავს კონკრეტულ მასალას. მსმენელს ეძლევა შესაძლებლობა, კომპიუტერის დახმარებით მუდმივად იმუშაოს კითხვის, წერის, ზეპირმეტყველების, განსაკუთრებით, მოსმენის და გაგების უნარების სრულყოფაზე. ამ მიზნით საკონტროლო ტესტების შეკითხვა წარმოდგენილია აუდიო ფაილის სახით, ანუ სტუდენტი ისმენს ტესტის შეკითხვას და სავარაუდო პასუხებიდან პოულობს სწორ პასუხს, პასუხებს. სტრუქტურისა და თემატური რკალების მიხედვით შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე მიმართულება:

- ✓ ისმენს სიტყვას ქართულად და თარგმნის მშობლიურ ენაზე ან პირიქით;
- ✓ ისმენს ფრაზას ქართულად და თარგმნის მშობლიურ ენაზე ან პირიქით;
- ✓ ისმენს კითხვას ქართულად და პოულობს სავარაუდო პასუხებიდან სწორ პასუხს.

ამგვარი მიდგომა საშუალებას გვაძლევს ასევე შევამოწმოთ: რამდენად ადეკვატურად აღიქვამს სტუდენტი სიტყვას ან ფრაზას; სწორად აღიქვამს თუ არა ამა თუ იმ ფორმას, სიტყვათა შეთანხმებებს და ა.შ.


მაგალითად, სურ. N1-ზე მოცემულ შემთხვევაში სტუდენტი ისმენს სიტყვას „სკოლა“. მის მშობლიურ ენაზე მოცემულ პასუხების ვარიანტებში უნდა მონახოს შესატყვისი. თუ შერჩეული პასუხი არ არის სწორი, სისტემა აძლევს შესაბამის შეტყობინებას.



განსაკუთრებულად ეფექტურია მოცემული სტრატეგია ლექსიკაზე მუშაობის დროს. სტუდენტს მუდმივად უწევს ურთიერთობა კომპიუტერთან და შესაბამის ტესტების ბაზასთან. ლექსიკური მარაგის ზრდის კვალობაზე ფართოვდება მიწოდებული ტესტების რაოდენობა. ბუნებრივია, ელექტრონული სისტემის სათანადო მომზადებას წინ უძღვის მნიშვნელოვანი სამუშაო: აუცილებელია განისაზღვროს ნაცნობი სიტყვების რაოდენობა და ახალი სიტყვების მატების დინამიკა. სურათის სისრულისთვის ქვემოთ წარმოვადგენთ ტესტების ელექტრონული ბაზის მოსამზადებელი მასალის ფრაგმენტს საწყისი ეტაპისთვის:

<p>მამა</p> <p>ა) Nine ბ) Anne გ) Baba დ) Dede</p>	<p>ათი</p> <p>ა) Bir ბ) Onbir გ) Onuncu დ) On</p>	<p>ია</p> <p>ა) Çiçek ბ) Menekşe გ) Gül დ) Pençe</p>	<p>თათი</p> <p>ა) Burun ბ) Pençe გ) Parmak დ) Kulak</p>
<p>მთა</p> <p>ა) Tarla ბ) Dağ გ) Mısır დ) Ekmek</p>	<p>თითი</p> <p>ა) Parmak ბ) Pençe გ) Meşe დ) Gözlük</p>	<p>მუხა</p> <p>ა) Masa ბ) Meşe გ) Ağaç დ) Pençe</p>	<p>უთო</p> <p>ა) Ütü ბ) Oda გ) Dersane დ) Sınıf</p>
<p>თხა</p> <p>ა) At ბ) Köyün გ) İnek დ) Keçi</p>	<p>თასი</p> <p>ა) Ders ბ) Kazma გ) Kavanoz დ) Kupa</p>	<p>ოთხი</p> <p>ა) Sekiz ბ) Beş გ) Dört დ) Yedi</p>	<p>ხუთი</p> <p>ა) Dokuz ბ) Dört გ) Beş დ) Altı</p>
<p>ოთახი</p> <p>ა) Dersane ბ) Sınıf გ) Oda დ) Mutfak</p>	<p>თიხა</p> <p>ა) Yüzük ბ) Küpe გ) Kazma დ) Kil</p>	<p>საათი</p> <p>ა) Döşeme ბ) Saat გ) Duvar დ) Tavan</p>	<p>სია</p> <p>ა) Liste ბ) Dergi გ) Sayfa დ) Kağıt</p>
<p>სამი</p> <p>ა) Dört ბ) Üç გ) Beş დ) Bir</p>	<p>სახე</p> <p>ა) Yüz ბ) Çene გ) Yanak დ) Dudak</p>	<p>ხე</p> <p>ა) Meşe ბ) Dağ გ) Ağaç დ) Tarla</p>	<p>აი</p> <p>ა) Burada ბ) İşte გ) Orada დ) Menekşe</p>
<p>დეიდა</p> <p>ა) Erkek ბ) Teyze გ) Hala დ) Abla</p>	<p>დედა</p> <p>ა) Anne ბ) BaBa გ) Nine დ) Dede</p>	<p>სახლი</p> <p>ა) Bahçe ბ) Okul გ) Ev დ) Evli</p>	<p>-დან</p> <p>ა) -Dan ბ) -Da გ) İşte დ) On</p>
<p>დანა</p> <p>ა) Kaşık ბ) Çatal გ) Bardak დ) Bıçak</p>	<p>რვეული</p> <p>ა) Kitap ბ) Kalem გ) Defter დ) Kürşünkalem</p>	<p>დროშა</p> <p>ა) Yaşlı ბ) Bayrak გ) Büyük დ) Kötü</p>	<p>საქართველო</p> <p>ა) Türkiye ბ) Devlet გ) Gürcistan დ) Amerika</p>

მე-2 სურათზე მოცემულია ფრაგმენტი, როცა სტუდენტი ისმენს არა სიტყვას, არამედ წინადადებას, ამ შემთხვევაში კითხვას: „ნინო ხვალ რას დაათვალიერებთ?“ სტუდენტმა პასუხების ვარიანტებში (რომლებიც ამჯერად ქართულ ენაზეა მოცემული) უნდა მონახოს წინადადება, რომელიც ზუსტად შეესაბამება დასმულ შეკითხვას: „ხვალ მუზეუმს დაათვალიერებთ“.



სურ.2

ეს საშუალებას აძლევს სტუდენტს არა მარტო შეამოწმოს თავისი ცოდნა, არამედ ისწავლოს სიტყვის ან ფრაზის სწორი მნიშვნელობა. სიტყვის ან ფრაზის სწორად აღთქმისათვის სტუდენტს საშუალება აქვს, ერთი და იგივე სიტყვა ან ფრაზა მოისმინოს რამდენჯერმე და შემდეგ გასცეს პასუხი შეკითხვას.

შეფასების მოცემული სისტემა ორიენტირებულია, როგორც აღვნიშნეთ, უპირველესად, მოსმენის და გაგების უნარის განვითარებაზე. ენის შემსწავლელმა მოსმენილი ტექსტი შეიძლება სხვადასხვანაირად გაიგოს. ტექსტის გაგება აქტიური, სუბიექტური პროცესია, რომელიც დამოკიდებულია პიროვნულ ფაქტორებზე, როგორცაა: მეორე ენის შესწავლის მოტივაცია, ტექსტის ტიპებისა და აგებულების (სტრუქტურის) ცოდნა, გაგების კომპეტენცია მშობლიურ ენაში, დამახსოვრების უნარი და სხვა.

„ზეპირი მეტყველების აღქმა-გაგებისა და მასთან დაკავშირებული ფონეტიკურ-ფონოლოგიური კომპეტენციის გარეშე მეორე ენის შემსწავლელი უცხოენოვან გარემოში ელემენტარულ დონეზე კომუნიკაციასაც ვერ გაართმევენ თავს. ემპირიული გამოკვლევებით დასტურდება, რომ „მოსმენას“ ენის ყოველდღიური გამოყენების დროს წამყვანი ფუნქცია აკისრია - 42%. მას მოსდევს „ლაპარაკი“ - 32%, „კითხვა“ - 15% და „წერა“ - 11% (ნოინერი, ჰუნფელდი, 1993: 37). ის ფაქტი, რომ მოსმენა, როგორც რეცეფციული უნარი, წარმოადგენს საფუძველს პროდუცირებისათვის, ლაპარაკისთვის, განსაკუთრებით გასათვალისწინებელია მეორე ენის გაკვეთილზე. ამიტომ, ერთი მხრივ, უნდა ვიზრუნოთ აუდიო და კომპიუტერული ტექნიკისა და უახლესი მეთოდოლოგიის გამოყენებით მოსმენის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე, მეორე მხრივ კი, მხედველობაში უნდა მივიღოთ ზეპირი მეტყველების გაგებასთან დაკავშირებული სირთულეები. ამ სირთულეების ანალიზის ბაზაზე შესაძლებელი გახდება როგორც ენის შემსწავლელთა მიზნების გათვალისწინება, სასწავლო მასალის სწორი შერჩევა და გამოყენება სწავლებისა და სწავლის პროცესში, ასევე, შეფასების ტესტების კორექტული შედგენა და ობიექტური შეფასება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოსმენის და გაგების უნარის გასავითარებლად მნიშვნელოვანია სწავლების პროცესში სხვადასხვა კომპონენტის კომპლექსური ჩართვა, მაგრამ ძირითადი საკითხი, რომელსაც მასწავლებლის უწყვეტი კონტროლი სჭირდება, არის თემატიკა, რომელსაც არჩევს არაქართულენოვანი ჯგუფებისთვის.

მიუზღრუნდეთ ბსუ-ს უწყვეტი განათლების ცენტრში აპრობირებულ შეფასების ელექტონულ პროგრამას. აღვნიშნავთ, რომ მიმდინარე ეტაპზე პროგრამისთვის დამუშავებული გვაქვს 1500 სიტყვა და დაახლოებით 800-მდე ფრაზა.

ჩვენი ელექტრონული პროგრამა მხოლოდ სიტყვების და ფრაზების სწავლებით არ შემოიფარგლება. ვინაიდან ჩვენ საქმე გვაქვს არაქართულენოვან ჯგუფთან, ვცდილობთ, შეფასების სისტემაც ორიენტირებული იყოს სასწავლო კურსზე, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ჩვენ ვამოწმებთ კონკრეტულ საკითხს, თუ როგორ ითვისებენ ენის შემსწავლელი ჩვენ მიერ მიწოდებულ მასალას. რადგანაც ჩვენი ნაშრომი სახელების სწავლებას ეხება, შევეცადეთ ეს პროგრამა გრამატიკის სწავლებისთვისაც გამოგვეყენებინა. ამიტომ, სხვა სამუშაო მასალებთან ერთად, კვლევის ჩატარების

მიზნით, მოვამზადეთ საცდელი ტესტი, რომელმაც აპრობაცია გაიარა, უპირველესად, ბსუ-ს უწყვეტი განათლების ცენტრის მსმენელებთან – ქართული ენის შემსწავლელებთან. ტესტი შედგებოდა 50 კითხვისგან და მოიცავდა საკითხებს, რომლებიც შეეხებოდა არსებით, ზედსართავ, რიცხვით და ნაცვალსახელებს. ენის შემსწავლელებს 15 წუთი ჰქონდათ იმისთვის, რომ გაეაზრებინათ კითხვები და მოემძებნათ სწორი პასუხები. ტესტები შევადგინეთ ენობრივ-გრამატიკული მახასიათებლების გათვალისწინებით. შეიძლება ითქვას, რომ ექსპერიმენტმა ინტერესი გამოიწვია. ამასთან, ენის შემსწავლელებისთვის შეფასების ეს ფორმა მისაღები აღმოჩნდა. გარდა საკუთრივ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა, უწყვეტი განათლების ცენტრის ინოვაციური პროექტის ფარგლებში ტესტირება ჩატარდა კიდევ სამ უნივერსიტეტში. ესენია: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი; რიზეს რეჯეფ ტაიფ ერდოღანის სახელმწიფო უნივერსიტეტი. კვლევებისას ყურადღებას ვამახვილებდით, სასწავლო მასალის ათვისების მხრივ იყო თუ არა განსხვავება გოგონებსა და ვაჟებს შორის.

ვფიქრობთ, მიღებული შედეგები სასარგებლო იქნება ქართული ენის შესწავლელ არაქართულენოვან ჯგუფებში მუშაობისას სწავლებისა და შეფასების ახალი ელექტრონული სისტემის განვითარებისათვის. ქვემოთ დავასახელებთ, რა შეუძლიათ ენის შემსწავლელებს და რა პრობლემები აქვთ, ანუ, რაზე უნდა გამახვილდეს სწავლების პროცესში ყურადღება.


ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევების შედეგების წარმოსაჩენად გამოვიყენეთ როგორც ცხრილები, აგრეთვე დიაგრამებიც:

ცხრილი № 1

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი			
სტუდენტის შედეგი			
1.	სტუდენტი (გოგო)	42 ქულა საკითხები, რომლებიც ყურადღებას საჭიროებს: <i>კუთვნილებითი ნაცვალსახელების გამოყენება; ვინ და რა ჯგუფის გარჩევა; -ზე და -ში თანდებულების გარჩევა; მოქმედებითბრუნვიანი ფორმები;</i>	მაქსიმალური ქულა 50 დრო- 15 წუთი
2.	სტუდენტი (ბიჭი)	42 ქულა საკითხები, რომლებიც ყურადღებას საჭიროებს: <i>ვინ და რა ჯგუფის გარჩევა;</i>	

		<i>მიცემითბრუნვიანი ფორმები.</i>	
3.	სტუნდენტი (ბიჭი)	44 ქულა საკითხები, რომლებიც ყურადღებას საჭიროებს: სახელობითი და მოთხრობითი ბრუნვების გარჩევა. მოქმედებითბრუნვიანი ფორმები (ვერ ხვდება, როდის უნდა გამოიყენოს მოქმედებითი ბრუნვა).	
4.	სტუნდენტი (ბიჭი)	17 ქულა (დროში ვერ ჩაეტია) საკითხები, რომლებიც ყურადღებას საჭიროებს: (თითქმის ყველა გრამატიკულ მასალაში ჰქონდა შეცდომა). <i>ვინ და რა ჯგუფის გარჩევა;</i> <i>მოთხრობითბრუნვიანი ფორმები;</i> <i>სახელობითი და მოთხრობითი ბრუნვების გარჩევა</i> <i>მიცემითბრუნვიანი ფორმები;</i> <i>-ზე და -ში თანდებულების გარჩევა;</i> <i>მოქმედებითბრუნვიანი ფორმები;</i>	
5.	სტუნდენტი (ბიჭი)	49 ქულა საკითხები, რომლებიც ყურადღებას საჭიროებს: <i>მოქმედებითბრუნვიანი ფორმები;</i>	
6.	სტუნდენტი (ბიჭი)	29 ქულა საკითხები, რომლებიც ყურადღებას საჭიროებს: <i>მსაზღვრელ-საზღვრულის მიმართება;</i> <i>სახელობითი ბრუნვა ზმნასთან მიმართებით;</i> <i>თანდებულის ფორმები;</i>	

დიაგრამა № 1



ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოსამზადებელი ცენტრის მსმენელებთან (თურქულენოვანი ჯგუფები) ჩატარებული ტესტირების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი საკითხები:

- ენის შემსწავლელებს შეუძლიათ ნასწავლი ლექსიკური ერთეულების პრაქტიკაში გამოყენება;
- შეუძლიათ საკითხთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი სიტყვების შერჩევა;
- შეუძლიათ სიტყვის მნიშვნელობის გააზრება;
- უჭირთ ბრუნვიანი ფორმების სწორად გამოყენება;
- უჭირთ თანდებულის ფორმების გაგება და მათი ფუნქციების გამოყოფა;
- ყურადღება უნდა გავამახვილოთ სახელობით და მოთხრობით ბრუნვიანი ფორმების გამოყენებაზე.


ცხრილი № 2

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი		
სტუდენტის შედეგი		
1.	სტუდენტი (გოგო)	45 ქულა საკითხები, რომლებიც ყურადღებას საჭიროებს: მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვის ფორმები; მსაზღვრელ-საზღვრულის მიმართება.
2.	სტუდენტი (გოგო)	45 ქულა საკითხები, რომლებიც ყურადღებას საჭიროებს: სახელობითი ბრუნვის ფორმების განმტკიცება; კუთვნილებითი ნაცვალსახელის ფორმები; თანდებულის ფორმები
3.	სტუნდენტი (გოგო)	39 ქულა (დროში ვერ ჩაეტია) საკითხები, რომლებიც ყურადღებას საჭიროებს: დროის მართვა; მოქმედებითბრუნვიანი ფორმები.
4.	სტუნდენტი (გოგო)	46 ქულა საკითხები, რომლებიც ყურადღებას საჭიროებს: მსაზღვრელ-საზღვრულის მიმართება; ში თანდებულის გამოყენების წესი;
5.	სტუნდენტი (ბიჭი)	46 ქულა საკითხები, რომლებიც ყურადღებას საჭიროებს: თანდებულის ფორმები.
6.	სტუნდენტი (ბიჭი)	39 ქულა საკითხები, რომლებიც ყურადღებას საჭიროებს: მიცემითი ბრუნვის ფორმები; მოქმედებითბრუნვიანი ფორმები; თანდებულის ფორმები;
7.	სტუნდენტი (ბიჭი)	46 ქულა საკითხები, რომლებიც ყურადღებას საჭიროებს: მოქმედებითბრუნვიანი ფორმები; თანდებულის ფორმები;
	სტუნდენტი (ბიჭი)	50 ქულა ძალიან კარგად გაართვა თავი მოცემულ დავალებას.

მაქსიმალური ქულა 50

დრო- 15 წუთი

დიაგრამა № 2



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კვლევა განხორციელდა „ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი საგანმანათლებლო პროგრამის (აზერბაიჯანულენოვანთათვის/სომხურენოვანთათვის) ფარგლებში. შეიძლება ითქვას, სტუდენტებმა დავალებას კარგად გაართვეს თავი.


- შეუძლიათ უკვე ნასწავლი ლექსიკური ერთეულების თავისუფლად გამოყენება;
 - კარგად იაზრებენ სიტყვის შემადგენლობას და შესაბამისად მის მნიშვნელობას;
 - ნასწავლ გრამატიკულ მასალებს კარგად იყენებენ პრაქტიკაში;
 - უჭირთ მოქმედებით ბრუნვიანი ფორმების სწორად გამოყენება...
 - ყველაზე მეტი შეცდომა დაფიქსირდა თანდებულიანი ბრუნვებთან დაკავშირებით;
- ცხრილი № 3

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი		
სტუდენტის შედეგი		
1.	სტუდენტი (ბიჭი)	46 ქულა საკითხები, რომლებიც ყურადღებას საჭიროებს: მსაზღვრელ-საზღვრულის მიმართება; ვინ და რა ჯგუფის ფორმები; კუთვნილებითი ნაცვალსახელების გამოყენება; თანდებულიანი ფორმები;
2.	სტუდენტი (ბიჭი)	44 ქულა საკითხები, რომლებიც ყურადღებას საჭიროებს: თანდებულიანი ფორმები; კუთვნილებითი ნაცვალსახელების გამოყენება;
3.	სტუდენტი (ბიჭი)	47 ქულა (დროში ვერ ჩაეტია) საკითხები, რომლებიც ყურადღებას საჭიროებს: მოქმედებითი ბრუნვის ფორმებთან ჰქონდა შეცდომა;

		<i>კუთვნილებით ნაცვალსახელების გამოყენება;</i>	
4.	სტუდენტი (გოგო)	28 ქულა საკითხები, რომლებიც ყურადღებას საჭიროებს: <i>ძალიან ნელა იაზრებს საკითხს;</i> <i>უჭირს მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება;</i> <i>ვერ ხვდება მიცემითი და ნათესაობით ბრუნვებს შორის განსხვავებას;</i> <i>მოქმედებითბრუნვიანი ფორმები;</i> <i>თანდებულისანი ფორმები;</i>	

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმაც კარგად გაართვეს თავი მოცემულ დავალებას. ეს იყო შერეული ჯგუფი. ჩვენ გამოვიკითხეთ ორი თურქი, ერთი აზერბაიჯანელი და ერთიც ჩინელი სტუდენტი. ვაჟებს არ გასჭირვებიათ შეკითხვებზე პასუხი. გოგონას უჭირს როგორც ნასწავლი ლექსიკური ერთეულების გამოყენება, აგრეთვე გრამატიკული კონსტრუქციები. იგი ვერ აღიქვამდა წინადადებას მარტივად და ამიტომ ბევრ დროს ჰკარგავდა ერთ კითხვაზე.

დიაგრამა № 3



ანალოგიური კვლევა ჩავატარეთ რიზეს რეჯეფ ტაიფ ერდოღანის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობის პირველ კურსზე, სადაც ქართული ენის სამეტყველო ფუნქციების შესწავლას ეთმობა ერთი სასწავლო წელი. განსხვავებით ქართული უნივერსიტეტების მსმენელებთან მუშაობისა, ჩვენი მიზანი იყო შეგვესწავლა, აბსოლუტურად უცხოენოვან გარემოში, თურქი სტუდენტების შესაძლებლობები ქართულის, როგორც მეორე ენის ათვისებაში.

ამასთან, გვინტერესებდა, რა და რა სახის შეცდომებს უშვებდნენ ისინი, როგორი იქნებოდა საერთო სურათი?

ცხრილი № 3


რიზეს რეჯეფ ტაიფ ერდოღანის სახელმწიფო უნივერსიტეტი.		
სტუდენტის შედეგი		
1.	სტუდენტი (გოგო)	45 ქულა საკითხები, რომლებიც ყურადღებას საჭიროებს: <i>მიცემითი ბრუნვის გამოყენება;</i> <i>მოქმედებითი ბრუნვის ფორმები;</i> <i>მსაზღვრელ-საზღვრულის მიმართება;</i>
2.	სტუდენტი (გოგო)	42 ქულა საკითხები, რომლებიც ყურადღებას საჭიროებს: <i>კუთვნილებითი ნაცვალსახელის გამოყენება;</i> <i>წინადადებებში ბრუნვის ფორმის მისადაგება უჭირს.</i> <i>(მიცემითის და ნათესაობითის).</i>
3.	სტუნდენტი (გოგო)	26 ქულა (დროში ვერ ჩაეტია) საკითხები, რომლებიც ყურადღებას საჭიროებს: <i>დროის მართვა;</i> <i>მოქმედებითბრუნვიანი ფორმები.</i>
4.	სტუნდენტი (გოგო)	23 ქულა (დროში ვერ ჩაეტია) საკითხები, რომლებიც ყურადღებას საჭიროებს: <i>მოთხრობითბრუნვიანი კონსტრუქციები;</i> <i>კუთვნილებითი ნაცვალსახელის გამოყენება;</i> <i>მოქმედებითბრუნვიანი ფორმები;</i> <i>მსაზღვრელ-საზღვრულის მიმართება;</i>
5.	სტუნდენტი (გოგო)	31 ქულა საკითხები, რომლებიც ყურადღებას საჭიროებს: <i>-ში თანდებულის გამოყენების წესი;</i> <i>მოქმედებითბრუნვიანი ფორმები;</i> <i>უჭირს სიტყვის მნიშვნელობის გააზრება.</i> <i>თანდებულიანი ფორმები;</i>

მაქსიმალური
ქულა 50

დრო
15 წუთი

6.	სტუნდენტი (ბიჭი)	25 ქულა საკითხები, რომლებიც ყურადღებას საჭიროებს: გაუჭირდა ინფორმაციის დახარისხება; ვერ არჩევს მიცემით და ნათესაობით ბრუნვას. მოქმედებით ბრუნვიანი ფორმები.
7.	სტუნდენტი (ბიჭი)	29 ქულა(დროში ვერ ჩაეტია) საკითხები, რომლებიც ყურადღებას საჭიროებს: დროის მართვა; ვინ და რა ჯგუფის ფორმები. თანდებულებიანი ფორმები;

დიაგრამა № 3



რიზეს უნივერსიტეტის სტუნდენტებმა, ძირითადად, თავი გაართვეს მოცემულ დავალებას. გოგონები უფრო ყოჩაღები აღმოჩნდნენ, ვიდრე ბიჭები. ტესტური დავალების დასრულების შემდეგ გამოიკვეთა შემდეგი საკითხები:

- ენის შემსწავლელების უმრავლესობას შეუძლია გაიგოს და გაიაზროს მოცემული საკითხი;
- შეუძლიათ სიტყვის მნიშვნელობის გააზრება;
- აქვთ ცნებების/სიტყვების ერთმანეთთან დაკავშირების უნარი;
- ინფორმაციის დახარისხების უნარი;
- მრავალი კუთხით იაზრებენ სიტყვას და მათთან დაკავშირებით სხვა ცნებებს;

ენის შემსწავლელებს უჭირთ:

- მოქმედებით ბრუნვიანი ფორმების გაგება;

➤ მსაზღვრელ-საზღვრულის სწორად გამოყენება.

საბოლოოდ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ექსპერიმენტმა ენის შემსწავლელებს მისცა საკუთარი თავის შეფასების საშუალება. ისინი თავად მართავენ ტესტს, აკონტროლებენ დროს და აკვირდებიან დაშვებულ შეცდომებს. ამგვარად მიწოდებული მასალა არაქართულენოვანებს პირველ რიგში ასწავლის ყურადღების მობილიზებას და სწრაფად აზროვნებას, დამოუკიდებლად, საკუთარ თავთან მუშაობას. ისინი სწავლობენ მნიშვნელოვანი ინფორმაციის გამოყოფას, ვარჯიშობენ ინფორმაციის დამუშავებასა და გამთლიანებაზე.

ამრიგად, იმის მიხედვით, თუ სად გამოავლენს სისუსტეს ენის შემსწავლელი, რა უჭირს, რა არ ესმის საერთოდ, რა სიტუაციაში ვერ ახერხებს ადეკვატურად თვითგამოხატვას, მასწავლებელმა უნდა შეარჩიოს, მოამზადოს შესაბამისი მასალა, რაც პერმანენტულად აისახება ელექტრონული ტესტირებისთვის განსაზღვრულ ფორმატში.

დასკვნები

1. ქართული არის საქართველოს სახელმწიფო ენა და იგი რეგულირდება სახელმწიფოს მიერ. ამავე დროს იგი მსოფლიო მიმოქცევაში მყოფი ერთ-ერთი ენაა. შესაბამისად, ბუნებრივია, რომ ქართული ენის დაუფლება მახლობელ თუ შორეულ ქვეყანაში მცხოვრები მრავალი მოქალაქის ინტერესის საგანია. განსხვავებულია მიზნობრივი ჯგუფებიც.

ქართულის, როგორც მეორე ენის შესწავლის მიმართ ინტერესის მნიშვნელოვნად გაზრდა, ქვეყნის არაქართული მოსახლეობის მისწრაფება სახელმწიფო ენის დაუფლებისკენ კიდევ უფრო აქტუალური გახდა XXI საუკუნეში. შესაბამისად, მნიშვნელოვანია არაქართულენოვან ჯგუფებში მომუშავე მასწავლებელთა საქმიანობა. მეორე ენის დაუფლება საკმაოდ რთული და შრომატევადი პროცესია. როგორც მასწავლებლის, ისე ენის შემსწავლელის მხრიდან იგი მოითხოვს აქტიურ და ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობას, რაც მოიცავს: ლექსიკური მარაგის გამდიდრებას, საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების ეტაპობრივად გაძლიერებას, სიტყვიდან მარტივ ტექსტამდე სვლას. მოსმენის, ზეპირმეტყველების, კითხვის, წერის ინტერესების განვითარება გულისხმობს ენასთან დაკავშირებული ყველა კომპონენტის გათვალისწინებას. მათ შორის ერთ - ერთი მნიშვნელოვანი სწორედ სახელთა სწავლებაა.

თუ გავითვალისწინებთ თანამედროვე საზოგადოებაში მიმდინარე სოციოკულტურულ სტერეოტიპთა მნიშვნელოვან ცვლილებებს, ლოგიკურია მისწრაფება სწავლებისა და სწავლის ახლებურად ორიენტირებული მეთოდებისკენ, რომლებიც მეორე ენის ათვისებისა და დაუფლების ტენდენციებს შეესაბამება და პრაქტიკულად ღირებულ შედეგებსაც მოგვცემს.

2. ქართულის, როგორც უცხო ენის ან მეორე ენის სწავლების თუ შესწავლის პროცესში მრავალი პრობლემა იჩენს თავს. ენის შესწავლა საზოგადოდ არის რთული და რაც შეეხება არაქართულენოვან ჯგუფებში სახელების სწავლებას, იგი ამ პროცესის ერთი ნაწილია, ისეთივე მნიშვნელოვანი, როგორც სხვა კომპონენტები, რაც გულისხმობს არსებული კვლევების ანალიზისა და ექსპერიმენტით მიღებული შედეგების საფუძველზე, მსმენელზე ორიენტირებული ტექნოლოგიების

გამოყენებას, ასევე, ახლის შემუშავებას და დანერგვას, ეს კი ხელს შეუწყობს ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, ისე უმაღლეს სასწავლებლებში.

აღსანიშნავია, რომ სახელთა რაობასთან დაკავშირებული საკითხები (და, ასევე, სხვა, ასე ვთქვათ, ქრესტომათიული თემები), ნაშრომის ზოგიერთ მონაკვეთში შედარებით ფართოდაა წარმოდგენილი რამდენიმე მიზეზის გამო. ჯერ ერთი, ნაშრომის კომპოზიციას განაპირობებს, უპირველესად, მიზანი, რაც ასახულია საანალიზო თემის სათაურიშიც: „სახელი ქართულში და მისი სწავლება არაქართულენოვან ჯგუფებში“, მეორეც, სახელთა რაობასთან დაკავშირებული დეტალები უშუალოდ უკავშირდება სწავლების სტრატეგიებს, ანუ ის არსებითი საკითხები, რომლებზეც უნდა გამახვილდეს ყურადღება სასწავლო პროცესის და მასში სხვადასხვა აქტივობის დაგეგმვის დროს, ერთგვარად მოინიშნება, როგორც მასალა სწავლების სტრატეგიების უზრუნველყოფისათვის.

3. ნაშრომში, სასწავლო მასალის განხილვისას, სურათის სისრულისა და შედარებითი ანალიზისთვის, ქართულის პარალელურად, მოხმობილია მაგალითები თურქული, ინგლისური და უკრაინული ენებიდან, შესაბამისად, გათვალისწინებულია ქართული ენის შემსწავლელებთან მუშაობის პრაქტიკა. ეს არის, ძირითადად, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი საგანმანათლებლო პროგრამისა (აზერბაიჯანულენოვანთათვის /სომხურენოვანთათვის) და მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის „ქართული ენა უცხოელთათვის“ ჯგუფებში მუშაობის გამოცდილება. ნაშრომის მიზანდასახულობიდან გამომდინარე, მოცემულია მაგალითები საანალიზო ენებიდან, კერძოდ, ჩვენ ვეყრდნობით თურქულენოვან, ინგლისურენოვან და უკრაინულენოვან მასალას.

4. ქართულში სახელთა სწავლების დროს აუცილებელია გაკვეთილები დაიგეგმოს შესასწავლი ენის სტრუქტურის საფუძველზე, მისი ბუნების და გრამატიკული თავისებურებების გათვალისწინებით, მაგრამ, მეორე მხრივ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გრამატიკა უნდა ისწავლებოდეს არა სისტემურად, თეორიული კურსის, არამედ - პრაქტიკულად, კონტექსტების აქტიური გამოყენებით.

5. თანამედროვე ეტაპზე უპირატესობა არ ენიჭება რომელიმე მეთოდს, რადგან არ არსებობს უცხო ენის სწავლების უნივერსალური მეთოდი, რომელიც შეიძლება მიესადაგებოდეს აბსოლუტურად ყველა მიზნობრივ ჯგუფს. ამა თუ იმ მეთოდის წარმატება დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორცაა შემსწავლელის წინარე ცოდნა, კულტურული განსხვავება, განსხვავებები მშობლიურსა და შესასწავლ ენას შორის, შემსწავლელის სწავლის ტრადიცია, ასაკი და სხვ.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, უპირატესობა ენიჭება შედარება-შეპირისპირებითი ანალიზის, აღწერითი, დაკვირვების, გონებრივი იერიშის, წყვილებში მუშაობის, პარალელური დიალოგების, ერთობლივი წერის, ერთობლივი კითხვის, კომუნიკაციური, ჯგუფური და პარტნიორული მუშაობის მეთოდებს, აგრეთვე, სახელთა სწავლებისას აქტიურად ვიყენებთ აუდიოლინგვურ, აუდიოვიზუალურ ,თავისუფალი საუბრისა და პედაგოგიური ექსპერიმენტის მეთოდებს.

6. შინაარსობრივად მრავალფეროვანი არსებითი სახელებიდან სწავლების პროცესში უმჯობესია ყურადღება გამახვილდეს კომუნიკაციისთვის აუცილებელ სიტყვებზე. დასაშვებია სხვადასხვა ენებში ერთი და იმავე ლექსიკური ერთეულების ადეკვატური შესაბამისობების მონახვა. შეპირისპირებითი მეთოდით არსებითი სახელის ჯგუფების შესწავლა სახალისო და საინტერესო იქნება.

7. სასწავლო პროცესის ორგანიზებისას აშკარა და გამოკვეთილია შემსწავლელის ინტერესები. უფრო მეტიც, შემსწავლელი აქტიურ როლსაც კი თამაშობს მასში. აქედან გამომდინარე, უნდა მოხდეს სწავლების ინდივიდუალიზაცია, ანუ მასწავლებელმა უნდა იფიქროს დავალებების სიმძელის სხვადასხვა დონეზე, არჩევს საშუალებაზე, მასალის, სავარჯიშოებისა და ზოგადად ინფორმაციის მრავალფეროვნებაზე.

სწავლების მეთოდის შერჩევას მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს მოსმენის, წერის, კითხვის, ლაპარაკის... გაკვეთილების ჰარმონიზაციის, ამ გაკვეთილებზე გამოყენებული მასალის ურთიერთთავსებადობის პრინციპები; სწორად უნდა დაგეგმოს მიზანი და სავარაუდო შედეგი: მოცემული ეტაპისთვის რა უნდა იცოდეს ქართული ენის შემსწავლელმა და რის გაკეთებას შეძლებს იგი. სწორედ ამაზეა დამოკიდებული რამდენად წარმატებული იქნება სწავლების პროცესი.

8. ისევე, როგორც არსებითი, ზედსართავი სახელის სწავლებაც უნდა დაიგეგმოს თანმიმდევრულად. სწავლების თანამედროვე სტრატეგიებში მიღებულია მოსაზრება, რომ თითოეული თემატური ერთეული მასწავლებელს შეუძლია გაანაწილოს რამდენიმე გაკვეთილზე, მას ეძლევა სრული თავისუფლება მასალის გაკვეთილებად განაწილებაში, აქტივობებისა და ორგანიზების ფორმის შერჩევაში. ცხადია, მან უნდა გაითვალისწინოს ენის შემსწავლელთა შესაძლებლობები, საჭიროებები, მასალის აქტუალურობა და სირთულე, ამიტომ მანამდე უნდა განისაზღვროს გრამატიკული მასალის შერჩევის კრიტერიუმები.

9. რიცხვითი სახელის სემანტიკურ კლასში ერთიანდება იმ რიგის დამოუკიდებელი შინაარსის სიტყვები, რომლებიც საგანთა რაოდენობრივ დახასიათებას (აღწერას, აღრიცხვას) უკავშირდება. ამ მეტყველების ნაწილის სწავლების პროცესშიც შესასწავლი მასალა ენის შემსწავლელს. უნდა მივაწოდოთ ისე, რომ არ დააზიანოს გრამატიკულმა კონსტრუქციებმა და წესებმა.

რაოდენობითი რიცხვითი სახელის სწავლებისას ყურადღება უნდა გამახვილდეს: ა) მარტივფუძიანი, ბ) რთული, გ) შედგენილი, დ) განსაზღვრული და განუსაზღვრელი რიცხვითი სახელების თავისებურებებზე.

რიგობითი რიცხვითი სახელის სწავლებისას შემსწავლელებს უნდა გავაგებინოთ, რომ რიგობითი რიცხვითი სახელი გამოხატავს საგნის რიგით „ოდენობას“, იგი რეალურად გამოყოფს რიგით ერთს მრავლისაგან, უჩვენებს კონკრეტული საგნის რიგით „ადგილს“ საგანთა სიმრავლეში...ყველაზე მთავარი ამ დროს მართლწერის საკითხებია, რაც უჭირთ ქართული ენის შემსწავლელებს.

რიცხვითი სახელის სწავლების პროცესში მიზანშეწონილია, ერთისა და იმავე თემატიკის, და ტექსტისაც კი, რამდენჯერმე გამეორება. მაგალითად, რაოდენობითი რიცხვითი სახელის დროს შესწავლილი ტექსტი და სავარჯიშოები რომ გამოვიყენოთ რიგობითი რიცხვითი სახელის სწავლის დროს. რა თქმა უნდა, თემატიკა უნდა შესაბამებოდეს ახალ მასალას. ეს ყველაფერი გვაძლევს შედარების და გამეორების საშუალებას. ეს პრაქტიკა შეიძლება გამოვიყენოთ წილობითი რიცხვითი სახელების სწავლების დროსაც.

10. სახელთა კლასებს შორის ნაცვალსახელს განსხვავებული ადგილი უჭირავს. მისი თავისებურება უპირველესად მდგომარეობს იმაში, რომ არ აქვს ისეთი

დამოუკიდებელი სემანტიკური ველი, როგორც არსებითს, ზედსართავსა და რიცხვითს სახელებს; მეტიც, ნაცვალსახელი ყველა სხვა სახელის ზოგად სემანტიკურ მონაცვლედ არის განსაზღვრული. ზოგადიო ვამბობთ, იმიტომ რომ, ის კონკრეტული საგნობრივი მიმართებები, რაც დანარჩენი სახელების ენობრივ შინაარსს წარმოადგენს, ნაცვალსახელებში განზოგადებულად, აბსტრაქტირებულად არის მინიშნებული.

ნაცვალსახელთა ჯგუფები გამოიყოფა იმის შესაბამისად, თუ რა როლს, რა „მონაცვლობით“ ფუნქციას ასრულებენ ისინი ენობრივ ერთეულთა ფუნქციონალურ მიმართებებში.

ნაცვალსახელი, როგორც მეტყველების ნაწილი, ყველა ენაშია და ყველგან ერთისა და იმავე ფუნქციით არის წარმოდგენილი. შესაბამისად, შესასწავლი ენის პრაქტიკულ მასალაზე თანმიმდევრული და სწორად დაგეგმილი მუშაობის პარალელურად შემსწავლელის მშობლიურ ენასთან შედარება-შეპირისპირება ამ შემთხვევაშიც დადებითი შედეგის მომტანია.

11. ბრუნება არის სახელის ფორმაცვალება ბრუნვათა მიხედვით. თუ გავითვალისწინებთ სახელთა ბრუნების თავისებურებებს ქართულში, უნდა ვაღიაროთ, რომ არაქართულენოვანთათვის მისი სწავლება მნიშვნელოვან პრობლემებთან არის დაკავშირებული. არაქართულენოვანს ბრუნვის ფორმათა სწორი გამოყენება შეუძლია მოსმენისა და გამეორების გზით, მასწავლებელთან აქტიური თანამშრომლობით. დიალოგური მეტყველება, შეკითხვების დასმა, სვლა მარტივიდან რთულისკენ სახელთა ბრუნების შესწავლის აუცილებელი პირობაა.

12. ბრუნვებს ქართულში, განსხვავებით ბევრი სხვა ენისგან, გარკვეული სინტაქსური ფუნქცია აკისრია. მათი საშუალებით იქმნება მორფო-სინტაქსური კონსტრუქციები, რის გაგებაც საკმაოდ უჭირს არაქართულენოვან აუდიტორიას.

სახელთა სწავლების დროს აუცილებელი არ არის ბრუნვებით შექმნილ კონსტრუქციებთან დაკავშირებით (ნომინატიური, ერგატიული და დატიური) ყურადღება გამახვილდეს თეორიულ სწავლებაზე.

ქართულის ბრუნვათა რიგი იწყება სახელობითით, რომელსაც მოსდევს მოთხრობითი და მიცემითი. სახელობითი და მიცემითი არაქართველისთვის შედარებით ადვილად გასაგებია, მათთვის სირთულეს მოთხრობითი ბრუნვა ქმნის.

შესაბამისად, სწავლების დროს, უნდა გავითვალისწინოთ არა მაინცადამაინც ბრუნვათა თანმიმდევრობა, არამედ - მათი სირთულე და მოსალოდნელი პრობლემები.

ქართულ ენაში მეტად აქტიურია ნათესაობითი ბრუნვა. სწავლების მიზანი უნდა იყოს ის, რომ ენის შემსწავლელმა ნათესაობითი ბრუნვის საშუალებით უნდა შეძლოს საკუთარი თავის, საცხოვრებელი ადგილის, საქმიანობის, ასაკის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

მოქმედებითა და ვითარებითი ბრუნვების ფორმათა სწავლება, სასურველია, მათი ძირითადი ფუნქციების გათვალისწინებით. ენის შემსწავლელებს უნდა ავუხსნათ, რომ მოქმედებითი ბრუნვა აღნიშნავს საგანს, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება მოქმედება. კითხვითი სიტყვა – რ-ით? მსმენელებს უადვილებს სახელთა ჩასმას სათანადო ფორმაში. ამგვარადვე უნდა გავითვალისწინოთ ვითარებითი ბრუნვის ფუნქციებიც.

რაც შეეხება წოდებით ბრუნვას, ამ ფორმის სწავლებისას აუცილებელია ყურადღების გამახვილება მის სპეციფიკურ ბუნებაზე. კერძოდ, იგი ცალკე დგას და მისი ფუნქცია მიმართვის როლით შემოიფარგლება.

სახელების შესწავლა მიზნად უნდა ისახავდეს ქართული ენის სამეტყველო ფუნქციების – მოსმენის, ლაპარაკის, კითხვის და წერის უნარ-ჩვევების განვითარებას.

13. სახელების შესწავლის შემდგომი ეტაპი სახელური სიტყვათშეხამებანია. მხედველობაში გვაქვს მსაზღვრელ-საზღვრულის წყვილი. მსაზღვრელად ხან ზედსართავი სახელია, ხან ნაცვალსახელი, ხან რიცხვითი სახელი, ხან კი – არსებითი.

სახელური სიტყვათშეხამებანის სწავლების სტრატეგიებზე საუბრისას აუცილებელია ორი ენის ბუნების გათვალისწინება და, ამასთან, საჭიროა მასალის მარტივ და რთულ კომპონენტებად დაყოფა და შესაბამის ეტაპებზე განაწილება. დიდი მნიშვნელობა აქვს გრამატიკული მასალის შერჩევას. სწავლების პროცესში მნიშვნელოვანი ფაქტორია, ასევე, მზა ფორმულებისა და სქემების გამოყენება. ამ ფორმათა გამოყენებას ააქტიურებს აგრეთვე შესაბამისი სიტუაციების გათამაშება (საგანთა აღწერა ზომის, სიდიდის, რაოდენობის, ფერის... მიხედვით; ადამიანების დახასიათება გარეგნული თვისებების მიხედვით...).

ქართული ენის გრამატიკული სისტემა თავისთავადია, რაც განსაკუთრებულად ართულებს მის შესწავლას. ამ სირთულეების გამო ხშირ შემთხვევაში ენის შემსწავლელს პრობლემები ექმნება, რაც აფერხებს სწავლების პროცესს. სწავლებისადმი სწორი მიდგომა, ეფექტური საშუალებების უხვად გამოყენება, სწორი მეთოდოლოგია, სირთულეების გადანაწილება სწავლების ეტაპებზე, გრამატიკული სისტემის სწორად და გააზრებულად მიწოდება დაეხმარება ენის შემსწავლელს სწავლების რთული პროცესი ეფექტური და ადვილად დასაძლევად გახადოს.

14. ერთი მხრივ, თავად უცხო ენის სწავლების მიდგომების შეცვლამ და, მეორე მხრივ, საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ზოგადად სასწავლო პროცესის ფორმირებაზე. ამ მხრივ გამონაკლისი არც უცხო ენის სწავლებაა. ენების თანამედროვე შემსწავლელისათვის ელექტრონული აპლიკაციების გამოყენება მათი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, ამდენად, სასწავლო კურსში მათი ინტეგრირება სასწავლო პროცესის სრულყოფის მეტ შესაძლებლობას იძლევა.

ამა თუ იმ ელექტრონული რესურსის გამოყენება მრავალი თვალსაზრისით არის შესაძლებელი. მათ შორის – კონკრეტული ენობრივი კომპეტენციების გასავითარებლად და ცოდნის შესაფასებლად. ამ უკანასკნელ კომპონენტს ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სწავლების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში.

სასწავლო პროცესში ელექტრონული საშუალებების ჩართვა უზრუნველყოფს ყველა იმ საჭირო უნარისა და კომპეტენციის განვითარებას და ცოდნის ათვისების შესაძლებლობას, რომლებიც შემსწავლელის მიზნის მისაღწევად საჭიროა; ამასთან, სწავლების მრავალფეროვნება, განსახვავებული მეთოდებით მასალის მიწოდება აადვილებს და ახალისებს სწავლა-სწავლების პროცესს. მოსწავლე, რომელიც ინფორმაციას სრულიად განსხვავებულ პირობებში და განსახვავებული ფორმებით იღებს, უფრო სწრაფად აგებს კოდირების სისტემას და ახერხებს ინფორმაციის ორგანიზებას.

15. ელექტრონულ საშუალებათა მრავალმხრივი დანერგვა სასწავლო პროცესში, თანამედროვე ეპოქის არსებითი პროცესია. ამჟამად არსებობს სხვადასხვა კომპიუტერული სისტემა რომლებიც გამოიყენება როგორც სწავლების პროცესში,

ასევე ცოდნისა და უნარ-ჩვევების შემოწმებისა და შეფასების მიზნით. ელექტრონული სისტემით ცოდნის გამოვლენა და შეფასება სასწავლო პროცესის სრულყოფის ერთერთი გზაა. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში დანერგილი ცოდნის გამოვლენის, ტესტირებისა და შეფასების კომპიუტერული სისტემა – „Kiber - 1“ შესაძლებლობას იძლევა, ჩავატაროთ პრაქტიკული მეცადინეობები, მიმდინარე შეფასებები და დასკვნითი გამოცდები. მივცეთ სტუდენტებს საშუალება, დამოუკიდებლად შეამოწმონ საკუთარი ცოდნა.

ხსენებული კომპიუტერული პროგრამის ბაზაზე დამუშავდა სისტემა სპეციალურად მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ქართული ენა უცხოელთათვის“. ზეპირი და წერიტი გამოკითხვების გარდა კომპიუტერული სისტემით ფასდება ქართული ენის აღქმის უნარი, ლექსიკური მარაგი... შეფასების ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილია სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული თანმიმდევრობა ენის სწავლებისა, ანუ ტესტებისთვის გამოყენებული მასალა „მიზმულია“ სასწავლო კურსზე.

უწყვეტი განათლების ცენტრის ინოვაციური პროექტის ფარგლებში ტესტირება ჩატარდა ოთხ უნივერსიტეტში. ესენია: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი; რიზეს რეჯეფ ტაიფ ერდოღანის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ექსპერიმენტმა ენის შემსწავლელებს მისცა საკუთარი თავის შეფასების საშუალება. ისინი თავად მართავენ ტესტს, აკონტროლებენ დროს და აკვირდებიან დაშვებულ შეცდომებს. ამგვარად მიწოდებული მასალა არაქართლუენოვანებს პირველ რიგში ასწავლის ყურადღების მობილიზებას და სწრაფად აზროვნებას, საკუთარ თავთან დამოუკიდებლად მუშაობას, სწავლობენ მნიშვნელოვანი ინფორმაციის გამოყოფას, ვარჯიშობენ ინფორმაციის დამუშავებასა და გამთლიანებაზე. მიღებული შედეგები სასარგებლო იქნება სწავლებისა და შეფასების ახალი ელექტრონული სისტემის განვითარებისათვის.

16. სასურველი შედეგი მიიღწევა მხოლოდ სისტემატურობით, რაც ნიშნავს დაგეგმვის მკაცრ ლოგიკას, მასალის თანმიმდევრული წესრიგით განლაგებას, შესაბამისად, ყველა ტესტირება დაგეგმილია და მოიცავს კონკრეტულ მასალას.

მსმენელს ეძლევა შესაძლებლობა, კომპიუტერის დახმარებით მუდმივად იმუშაოს კითხვის, წერის, ზეპირმეტყველების, განსაკუთრებით, მოსმენის და გაგების უნარების სრულყოფაზე.

იმისთვის, რომ არაქართველი მზად იყოს საქართველოში შრომითი და საზოგადოებრივი საქმიანობისთვის, ყოფით, სასწავლო, სოციალურ, კულტურულ და ოფიციალურ-საქმიან სფეროში ურთიერთობებისათვის, მას უნდა შეემლოს ქართულ ენაზე ურთიერთობა, ამ ენაზე საუბარი, კითხვა და წერა. უცხო ენის სწავლებისას ძალიან ბევრ სირთულეს აწყდებიან პედაგოგები. ძირითადი პრობლემები მეთოდოლოგიაშია. აღნიშნული ნაშრომი დახმარებას გაუწევს როგორც არაქართულენოვან ჯგუფებში მომუშავე პედაგოგებს, ასევე მსმენელებსაც, რომლებიც არსებული პრობლემის წინაშე დგანან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **ალხაზიშვილი, 1997:** ალხაზიშვილი ა., უცხოური ენების სწავლება ფსიქოლოგიის მონაცემთა საფუძველზე, თბილისი;
2. **არაბული, 2004:** არაბული ა., ქართული მეტყველების კულტურა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის, თბილისი;
3. **არაბული, 2015:** არაბული ა., შუქ-ლექსემის საკრალური შინაარსისთვის ხევისურულში, XXXV რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სერიის მასალები, ბათუმი.
4. **ბალაშვილი, ოძელი, 2006:** ბალაშვილი ზ., ოძელი მ., კომუნიკაციური კომპეტენციის განვითარება, თბილისი;
5. **ბეიკერი, 2010:** ბეიკერი კ., ბილინგვური განათლებისა და ბილინგვიზმის საფუძვლები, თბილისი;
6. **ბიბილეიშვილი, 2008:** ბიბილეიშვილი ი., სწავლების ფუნქციები, ბათუმი;
7. **ბირდსონგი, 1999:** Birdsong, D. (ed.), Second Language Acquisition and the Critical Period Hypothesis: Second Language Research and Methodological Issues. Mahwah, NJ: Lawrence Erlbaum;
8. **გაბუნია, ინასარიძე... 2011:** გაბუნია კ., ინასარიძე მ., წერეთელი მ., ენის შეფასება და ტესტირება, თბილისი;
9. **გაბუნია, 2015:** გაბუნია კ., ქართული ენის დაჩქარებული კურსი არაქართულენოვანთათვის, თბილისი;
10. **გაბუნია 2016:** გაბუნია კ. მარტივი წინადადების ანალიზის პრინციპები თანამედროვე ქართულში, თბილისი;
11. **გიორგობიანი, კახიშვილი... 2004:** გიორგობიანი ლ., კახიშვილი ლ., მაცხოვნაშვილი გ., ქვლივიძე რ... უცხო ენების სწავლების თეორია და მეთოდოლოგია, თბილისი;
12. **გოგოლაშვილი... 2011:** გოგოლაშვილი გ., არაბული ა., სუხიშვილი მ., მანჯგალაძე მ., ჭუმბურიძე ნ., ჯორბენაძე ნ., თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, თბილისი;

13. **გოჩიტაშვილი... 2010:** გოჩიტაშვილი ქ., ლომინაძე თ., მანჯგალაძე მ., ენის ელექტრონული სწავლება და ვირტუალური სასწავლო გარემო, ვერბალური კომუნიკაციური ტექნოლოგიები, (127-132), თბილისი;
14. **გოჩიტაშვილი, 2013:** გოჩიტაშვილი ქ., საინფორმაციო ტექნოლოგიები უცხო ენის სწავლა/სწავლების პროცესში, საერთაშორისო ჟურნალი მულტილინგვური განათლებისთვის, N 2, თბილისი, www.multilinguaeducation.org;
15. **გოცირიძე, 2003:** გოცირიძე ი., თურქული ენის სახელმძღვანელო (დაწყებითი კურსი), თბილისი;
16. **დობორჯგინიძე, ინასარიძე, 2006:** დობორჯგინიძე ნ., ინასარიძე მ., მოსმენისა და ზეპირმეტყველების უნარების განვითარება, თბილისი;
17. **ეროვნული... 2011-2016:** ეროვნული სასწავლო გეგმა 2011-2016 (მოქმედი რედაქცია), თბილისი;
18. **ვაირი, 1993:** Weir, C. J., Understanding and Developing Language Tests. Hemel Hempstead: Prentice Hall;
19. **თალაკვაძე, 1975:** თალაკვაძე მ., ქართული ენის გრამატიკის სწავლების მეთოდოლოგია, თბილისი;
20. **თალაკვაძე, 1964:** თალაკვაძე მ., თანდებულის სწავლება, ჟურნალი “სკოლა და ცხოვრება”, №10, თბილისი;
21. **თოფურია, 1965:** თოფურია ვ., ქართული ენა და მართლწერის ძირითადი საკითხები, თბილისი;
22. **კილურაძე, ქუთათელაძე, 2013:** კილურაძე თ., ქუთათელაძე ე., ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების მეთოდოლოგია, თეორიული კურსი, თბილისი;
23. **კუმინსი... 2016 :** კუმინსი ჯ., სვეინი მ., ბილინგვიზმი განათლებაში. თბილისი;
24. **ინასარიძე, 2013:** ინასარიძე მ., მეთოდოლოგიური მითითებები ქართულის როგორც მეორე ენის მასწავლებელთათვის, <http://mastsavlebeli.ge/>;
25. **ინასარიძე, დობორჯგინიძე, 2006:** ინასარიძე მ., დობორჯგინიძე ნ., კითხვის უნარ-ჩვევათა განვითარება, თბილისი;
26. **ინასარიძე, ნაჭყებია, 2006:** ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების თანამედროვე მეთოდები, თბილისი;

27. **ინასარიძე, 2007:** ინასარიძე მ., მეთოდოლოგიური მიზნით მეთოდები კომუნიკაციური გრამატიკის სახელმძღვანელოსთვის, თბილისი;
28. **კვანტალიანი.. 1999:** კვანტალიანი ე. ჯანაშია ნ. თურქული ენის სახელმძღვანელო, თბილისი;
29. **კვაჭაძე, 2001:** კვაჭაძე ლ., ქართული ენა, თბილისი;
30. **კიკვაძე, 2015:** კიკვაძე მ., სუბსტანტიური მსაზღვრელის სწავლებისათვის თურქულენოვან ჯგუფებში, კრებული „ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში-2“, ბათუმი;
31. **კილურაძე... 2013:** კილურაძე თ., ქუთათელაძე ე., ქართულის როგორც უცხო ენის სწავლების მეთოდოლოგია, თბილისი;
32. **კიზირია, 1982:** კიზირია ა., მარტივი წინადადების შედგენილობა ქართველურ ენებში, თბილისი;
33. **კობიაშვილი, 2015:** კობიაშვილი დ., მოთხრობითი ბრუნვის ფორმის სწავლების ასპექტები სომხურენოვან სკოლებში, „ახალი განათლება“, თბილისი, <http://axaliganatleba.ge>;
34. **ლაითბოუნ, სპადა, 1999:** Lightbown, P. M., Spada, N., How Languages are Learned (Second Edition). Oxford: Oxford University Press;
35. **ლანტოლფი, 2004:** Lantolf, J. P. (ed.), Sociocultural Theory and Second Language Learning. Oxford: Oxford University Press;
36. **ლექსიკონი, 1989:** Kâmüsi Türki Şemseddin sâmî;
37. **ლექსიკონი, 2001:** თურქულ-ქართული ლექსიკონი, I-II, სტამბოლი;
38. **ლექსიკონი, 2007:** Osmanlıca-Türkçe Ansıklopedık, Ankara;
39. **ლომინაძე, გოჩიტაშვილი: 2012:** ლომინაძე თ., გოჩიტაშვილი ქ., ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის ტიპები ინტერნეტსივრცეში; კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, XXVII; 5-15); Lominadze T. Gochitashvili K; Verbal and Non-verbal Communication in the Internet Space; Issues of History and Theory of Culture XXVII); (<http://blog.tradepressservices.com/content/using-humor-in-business-communications>);

40. მაკკეი, 1996: McKay S. L., Literacy and literacies, In S. L. McKay N. H. Hornberger (eds.), Sociolinguistics and Language Teaching (pp. 421 –45).Cambridge: Cambridge University Press;
41. მაკლაგლინი, 1987: McLaughlin B., Theories of Second Language Learning. London: Arnold;
42. მაღრაძე, 2005: მაღრაძე მ., ინტეგრირებული მეთოდებით სწავლების ფსიქოლოგიური საფუძვლები, ქუთაისი;
43. მაღლაკელიძე, 2004: მაღლაკელიძე ნ., ქართული ენის სწავლების მეთოდика, თბილისი;
44. მაღლაკელიძე, 2009: მაღლაკელიძე ე., დედაენა I ნაწილი, თბილისი;
45. მახარობლიძე, 2007: მახარობლიძე თ., ქართული, როგორც მეორე ენა: სახელთა სწავლებისათვის არაქართულ სკოლებში, თბილისი;
46. მეგრელაძე, 2009: მეგრელაძე ციალა, ზეპირმეტყველების, კითხვის, წერის. გაგების სტრატეგიები, ბათუმი;
47. მელიქიძე, ქირია, 2006: ქართული ენის გრამატიკის სწავლება, დამხმარე სახელმძღვანელო არაქართული სკოლების ქართული ენის მასწავლებელთათვის, თბილისი;
48. მინაშვილი, ნაკაშიძე, 2013: Z.Munjishvili, O.Nakashidze, Sistem if Reveling and Evaluating Knowlage, Material Intrnational scientific-practical Conference, “Modern Problems of Social-Eeconomic Devlopment and Informatization: New Challenges and Perspectives”, October 26-27-2013, Kutaisi (Georgia), p.175-179;
49. მინდაძე, 2006: მინდაძე ი., კომუნიკაციური დიდაქტიკა და დისკუსია როგორც სწავლების ფორმა, პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი;
50. მირიანაშვილი... 2010: მირიანაშვილი მ., ჩხენკელი გ., ჯაში ნ., ხატისაშვილი გ., გახელაძე გ., ლორთქიფანიძე ბ., ჩორგოლაშვილი პ., ბერიშვილი ლ., მახარობლიძე ნ., ფირცხალავა ე., დაწყებითი მასწავლებლის მეთოდური გზამკლვევი, თბილისი;

51. **ნეიშენი, 1990:** Nation I. S. P., Teaching and Learning Vocabulary. New York: Newbury House. Cited in S. M. Gass, L. Selinker, Second Language Acquisition: An Introductory Course (p. 374). Mahwah, NJ: Lawrence Erlbaum;
52. **ონიანი 2013:** ონიანი ა., თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა, თბილისი;
53. **ორმროდი, 2016 :** ორმროდი ჯ. ე., ადამიანი და სწავლა, თბილისი;
54. **ოქსფორდი, ეჰმენი, 1993:** Oxford R. L., Ehrman M., Second language research on individual differences. Annual Review of Applied Linguistics, 13 (1): 188 –205;
55. **ოძელი, ბალაშვილი: 2006:** ოძელი მ., ბალაშვილი ზ., გაკვეთილის დაგეგმვა და შეფასება, ცოდნის შეფასება, თბილისი;
56. **ოძელი, 2013:** ოძელი მ., საქართველოს სახელმწიფო ენის ფლობის დონის განსაზღვრა საჯარო მოხელეებისა და საქართველოს მოქალაქეობის მოსურნე პირთათვის, ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები, ტ. II, თბილისი.
57. **სანზი, 2005:** Sanz C. (ed.), Mind and Context in Adult Second Language Acquisition. Washington, DC: Georgetown University Press;
58. **სლავინი, 2016:** სლავინი რ. ე., განთლების ფსიქოლოგია; თბილისი;
59. **სვეინი, ლაპკინი, 1995:** Swain M., Lapkin S., Problems in output and the cognitive processes they generate: a step towards second language learning. Applied Linguistics, 16 (3): 371 –91;
60. **სახელმწიფო... 2011:** სახელმწიფო. ენის სწავლების საკითხები პრობლემები და გამოწვევები (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), ბათუმი;
61. **ტაბატაძე, შუბითიძე, 2010:** ტაბატაძე შ., შუბითიძე ი., მეორე ენის სწავლისა და ათვისების თეორიები. ჟურნალი „ბილინგვური განათლება“ №4, თბილისი;
62. **ტროიკე, 2016 :** ტროიკე მ. , შესავალი მეორე ენის ათვისებაში, თბილისი;
63. **ტყემალაძე, 2008:** ტყემალაძე რ., შეფასების მეთოდები, წიგნში „სწავლება და შეფასება“, თბილისი;
64. **USAID G-PRIED, 2015:** სასწავლო მეთოდოლოგიური რესურსების კრებული. ვიზუალური სქემები და გრაფიკული ორგანიზატორები;
65. **ფეიქრიშვილი, სალინაძე, 2014:** ფეიქრიშვილი ჟ., სალინაძე რ., ქართული ენა, ფონეტიკა, მორფოლოგია. თბილისი;
66. **ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1990.**


67. ქირია, გაბუნია... 2007: ქირია ჭ., გაბუნია კ., გოჩიტაშვილი ქ., მეთოდოლოგიური მითითებანი ლექსიკის შესწავლის დასახმარებლად, თბილისი;
68. ქირია, ოძელი, 2007: ქირია ჭ., ოძელი მ., ლექსიკაზე მუშაობის მეთოდოლოგია მეორე ენის სწავლებისას, თბილისი;
69. შაბაშვილი, 2012: შაბაშვილი, გ., მეორე ენა - წერა, პრობლემები, მიდგომები, სტრატეგიები, თბილისი;
70. შანიძე, 1973: შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი;
71. შარაშენიძე: 2011: შარაშენიძე ნ., ქართული ენის გრამატიკა, მორფოლოგია, თბილისი;
72. ჩეპმენი... 2016: ჩეპმენი კ., კინგი რ., კითხვის სწავლების განსხვავებული სტრატეგიები. თბილისი;
73. ჩიქობავა, 1968. ჩიქობავა ა., მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, თბილისი;
74. ჩიბქე, 2012: Çimke H., Different systems of noun determination in Georgian and Turkish languages, Lekturer of Turkish and Georgian languages at the faculty of Humanities International Black Sea University, Tbilisi;
75. წიკლაური, ჯაფარიძე, 2014: წიკლაური მ. ჯაფარიძე ა. თურქული ენის სახელმძღვანელო, თბილისი;
76. ჭუმბურიძე, 1992: ჭუმბურიძე ზურაბ, რა გქვია შენ? თბილისი;
77. ჯანაშია... 2008: ჯანაშია ნ., იმედაძე ნ., გორგოძე ს., განვითარებისა და სწავლის თეორიები, დამხმარე სახელმძღვანელო, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, თბილისი;
78. ჯანაშია... 2010: ჯანაშია ნ., იმედაძე ნ., გორგოძე ს., განვითარებისა და სწავლების თეორიები, თბილისი;
79. ჯაყელი, ხუციშვილი, 2006: ჯაყელი თ., ხუციშვილი მ., მეორე ენის სწავლება დაწყებით სკოლაში; თბილისი;
80. ჯაყელი, ხუციშვილი: 2006 - 1: ჯაყელი თ., ხუციშვილი მ., წერის უნარ-ჩვევების განვითარება, თბილისი;
81. ჯაყელი, ხუციშვილი: 2006 - 2: ჯაყელი თ., ხუციშვილი მ., მეორე ენის სწავლება დაწყებით კლასებში, თბილისი;

82. ჯაყელი, მელიქიძე... 2007: ჯაყელი თ., მელიქიძე მ., ინასარიძე მ., ოძელი მ., ქირია ჭ., მეთოდოლოგიური მიმოხილვა ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების პროცესში (მასწავლებლის გზამკვლევი), თბილისი.

დანართი

სიტყვის რუკა


(კომუნიკაციისთვის აუცილებელი ლექსიკური ერთეულები და ფრაზები)



მადალი
სახლი

ორი მადალი
სახლი

ის ორი მადალი
სახლი არის ჩემი



ბეჯითი
სტუდენტი

მრავალი
ბეჯითი
სტუდენტი

ეს სტუდენტი
ბეჯითია

ჩემს უნივერსიტეტში
მრავალი ბეჯითი
სტუდენტი არის

<p>ადამიანი/ადამიანები <u>ადამიანის</u> ასაკი; <u>ჭკვიანი</u> ადამიანი; <u>ორი</u> ადამიანი; ორი <u>ჭკვიანი</u> ადამიანი; <u>ეს</u> ადამიანი; ჩემს სკოლაში <u>ჭკვიანი</u> ადამიანები არიან.</p>	<p>ავტოკალამი/ავტოკალმები <u>ავტოკალმის</u> ყუთი; <u>ლურჯი</u> ავტოკალამი; <u>ორი</u> ავტოკალამი; ორი <u>ლურჯი</u> ავტოკალამი; <u>ეს</u> ავტოკალამი; ეს არის <u>ორი</u> <u>ლურჯი</u> ავტოკალამი.</p>	<p>ავტომობილი/ავტომობილები <u>ავტომობილის</u> საჭე; <u>შავი</u> ავტომობილი; <u>სამი</u> ავტომობილი; სამი <u>შავი</u> ავტომობილი; <u>მისი</u> ავტომობილი; ეს მისი <u>შავი</u> ავტომობილია.</p>
<p>ამინდი/ამინდები <u>ამინდის</u> პროგნოზი; <u>კვირის</u> ამინდი; <u>კარგი</u> ამინდი; <u>როგორი</u> ამინდი? დღეს როგორი ამინდი არის? დღეს კარგი ამინდი არის.</p>	<p>ატამი/ატმები ატამი ხილია; <u>ატმის</u> ხე; <u>გემრიელი</u> ატამი; <u>ორი</u> ატამი; ორი <u>გემრიელი</u> ატამი; <u>ეს</u> ატამი; ეს არის ატმის ხე.</p>	<p>აფთიაქი/აფთიაქები <u>აფთიაქის</u> მისამართი; <u>ახალი</u> აფთიაქი; <u>ორი</u> აფთიაქი; ორი <u>დიდი</u> აფთიაქი; <u>ჩვენი</u> აფთიაქი; ეს არის ჩვენი ახალი აფთიაქი.</p>
<p>-ბ-</p>		
<p>ბაბუა/ბაბუები <u>ბაბუას</u> სოფელი; <u>მოხუცი</u> ბაბუა; <u>ბევრი</u> მოხუცი ბაბუა; <u>ეს</u> ბაბუა; ეს <u>ორი</u> მოხუცი ბაბუა; ესენი ჩვენი მოხუცი ბაბუები არიან.</p>	<p>ბავშვი/ბავშვები <u>ბავშვის</u> ოთახი; <u>პატარა</u> ბავშვი; <u>ორი</u> ბავშვი; <u>ბევრი/ცოტა</u> ბავშვი; <u>ჩვენი</u> ბავშვები; ესენი ჩვენი <u>პატარა</u> ბავშვები არიან</p>	<p>ბალი/ბლები ბალი ხილია; <u>ბლის</u> ხე; <u>წითელი</u> ბალი; წითელი <u>ბლის</u> ხე; <u>ბევრი</u> წითელი ბალი; <u>ის</u> ბალია; ის ჩვენი წითელი ბალია.</p>

ბალიში/ბალიშები დის ბალიში; <u>სუფთა</u> ბალიში; <u>ორი</u> ბალიში; ორი სუფთა ბალიში; <u>მისი</u> ბალიში; მისი დის ბალიში სუფთაა.	ბინა/ბინები <u>ბინის</u> კარი; <u>დიდი</u> ბინა; <u>შვიდი</u> ბინა; შვიდი დიდი ბინა; <u>შენი</u> ბინა; ეს დიდი ბინა შენია?	ბურთი/ბურთები <u>ბურთების</u> მალაზია; <u>ლურჯი</u> ბურთი; <u>ბევრი</u> ბურთი; ბევრი ლურჯი ბურთი; <u>ჩვენი</u> ბურთი; ეს დიდი ლურჯი ბურთი ჩვენია.
--	---	--

-გ-

გაზაფხული გაზაფხულის ყვავილი; წვიმიანი გაზაფხული; გაზაფხულზე თბილა; ენძელა გაზაფხულის ყვავილია.	გაკვეთილი/გაკვეთილები <u>გაკვეთილების</u> ცხრილი; <u>საინტერესო</u> გაკვეთილი; <u>მეხუთე</u> გაკვეთილი; მეხუთე გაკვეთილი საინტერესოა; ეს გაკვეთილი; ეს ჩემი გაკვეთილების ცხრილია.	გასაღები/გასაღებები რკინის გასაღები; <u>მძიმე</u> გასაღები; რკინის მძიმე გასაღები; <u>ცხრა</u> გასაღები; ცხრა მძიმე გასაღები; <u>მისი</u> გასაღები; მას რკინის მძიმე გასაღები აქვს.
--	---	---

გემი/გემები <u>გემის</u> ლუზა; <u>თეთრი</u> გემი; თეთრი გემის ლუზა; <u>თერთმეტი</u> გემი; თერთმეტი თეთრი გემი; <u>მათი</u> გემი; მათი გემები ზღვაშია.	გვირილა/გვირილები <u>გვირილების</u> თაიგული; <u>ლამაზი</u> გვირილა; <u>რამდენიმე</u> გვირილა; რამდენიმე ლამაზი გვირილა; ჩვენს ბაღში რამდენიმე ლამაზი გვირილა არის.	გოგო/გოგოები <u>გოგოს</u> კაბა; <u>შავგრემანი</u> გოგო; შავგრემანი გოგოს კაბა; შავგრემანი გოგოს შავი კაბა; <u>ხუთი</u> გოგო; ხუთი შავგრემანი გოგო; <u>ის</u> გოგო; ის გოგოები; ის გოგო შავგრემანი არ არის,
---	--	---

		ის ქერაა.
-დ-		
და/დები <u>დის</u> ოთახი; <u>ბეჯითი</u> და; <u>სამი</u> და; სამი ბეჯითი და. <u>ჩემი</u> დები. ჩემი დები ბეჯითები არიან.	დანა /დანები <u>პურის</u> დანა; <u>შავი</u> დანა; <u>ბევრი</u> შავი დანა; <u>მისი</u> დანა; მისი დანები მაგიდაზე არის.	დაფა/დაფები <u>კლასის</u> დაფა; <u>თეთრი</u> დაფა; <u>ერთი</u> დაფა; ერთი თეთრი დაფა; <u>ეს</u> დაფა. ჩემს უნივერსიტეტში თეთრი დაფები არის.
დედა/ დედები <u>დედის</u> ლოცვა; <u>მოხუცი</u> დედა; მოხუცი დედის ლოცვა; <u>ორი</u> დედა; ორი მოხუცი დედა; <u>ის</u> დედაა. დედაჩემი სახლში არ არის.	დეიდა/დეიდები <u>ნინოს</u> დეიდა; <u>ახალგაზრდა</u> დეიდა; <u>ნინოს</u> დეიდა ახალგაზრდაა. <u>სამი</u> დეიდა; სამი ახალგაზრდა დეიდა; <u>ის</u> დეიდაა. დეიდამისი ახალგაზრდა არ არის, ის მოხუცია.	დროშა/ შროშები <u>საქართველოს</u> დროშა; <u>წითელი</u> დროშა; <u>რამდენიმე</u> დროშა; რამდენიმე წითელი დროშა; <u>მათი</u> დროშები; საქართველოს დროშა წითელ და თეთრ ფერებშია.
-ე-		
ეზო/ეზოები სახლის ეზო <u>ხეხილინი</u> ეზო; <u>რამდენიმე</u> ეზო; რამდენიმე ხეხილიანი ეზო;	ენა/ ენები <u>ენის</u> გაკვეთილი; <u>ქართული</u> ენის გაკვეთილი; <u>ორი</u> ენა; <u>ორი</u> სხვადასხვა ენა;	ექიმი/ ექიმები <u>ექიმის</u> ისტორია; <u>ახალგაზრდა</u> ექიმი; ახალგაზრდა ექიმის ისტორია; <u>ერთი</u> ექიმი;

ჩვენი ეზო; ჩვენ სახლს რამდენიმე ეზო აქვს.	ჩვენი ენა; ჩვენი ენა ქართულია. ჩვენი ქართული ენის გაკვეთილები საინტერესოა.	ერთი ახალგაზრდა ექიმის ისტორია. ჩვენი ექიმი; ჩვენი ექიმები ახალგაზრდები არიან.
---	--	--

-ვ-

ვარდი/ ვარდები ვარდების თაიგული; წითელი ვარდები; ათი ვარდი; ათი წითელი ვარდი; ჩემი ვარდები; ეს ჩემი წითელი ვარდების თაიგული არის.	ვაჟი/ვაჟები თამარის ვაჟი; ქერა ვაჟები; თამარის ვაჟი ქერაა; ოთხი ვაჟი; ოთხი ქერა ვაჟი; მისი ვაჟი; მას ოთხი ვაჟი ჰყავს.	ვაშლი/ვაშლები ვაშლის ხე; ტკბილი ვაშლი; ტკბილი ვაშლის ხე; შვიდი ვაშლი; შვიდი ტკბილი ვაშლი; ეს ვაშლი; ვაშლი ხილია; ეს არის ტკბილი ვაშლის ხე.
ვახშამი/ ვახშმები ვახშმის დრო; გემრიელი ვახშამი; რამდენიმე ვახშამი; რამდენიმე გემრიელი ვახშამი; ჩემი ვახშამი; ჩემი ვახშამი გემრიელი იყო.	ველოსიპედი/ველოსიპედე -ბი ველოსიპედის ბორბალი; ახალი ველოსიპედი; ორი ველოსიპედი; ორი ახალი ველოსიპედი; ჩვენი ველოსიპედები; ჩვენ ახალი ველოსიპედები გვყავს.	ვეფხვი/ვეფხვები ვეფხვის გალია; საშიში ვეფხვი; ბევრი ვეფხვი; ბევრი საშიში ვეფხვი; ის ვეფხვი; ვეფხვი გარეული ცხოველია; ის ვეფხვი ზოოპარკში არის.

-ზ-

ზარი/ზარები ზარის დრო; თეთრი ზარი;	ზღაპარი/ ზღაპრები ზღაპრის გმირი; საინტერესო ზღაპარი;	ზღვა/ზღვები ზღვის ტალღა; შავი ზღვა.
---	---	--

ერთი ზარი; ერთი თეთრი ზარი; ჩვენი ზარი; ჩვენს სკოლაში არის ერთი ზარი.	ორი ზღაპარი; ორი საინტერესო ზღაპარი; მისი ზღაპარი; მას საბავშვო ზღაპრები აქვს.	შავი ზღვის ტალღა; რამდენიმე ზღვა; ეს ზღვა; ეს ზღვა შავია; შავი ზღვა ბათუმშია.
--	---	---

-თ-

თაგვი/თაგვები თაგვის სორო; რუხი თაგვი; რუხი თაგვების სორო; ბევრი თაგვი; ბევრი რუხი თაგვი; ეს თაგვი; ჩვენს სახლში თაგვები არ არიან.	თარო/თაროები კარადის თარო; ხუთი თარო; კარადის ხუთი თარო; ეს თაროები; ჩვენს თაროებზე ბევრი წიგნი არის.	თაფლი თაფლის ნამცხვარი; ტკბილი თაფლი; ტკბილი თაფლის ნამცხვარი; ცოტა თაფლი; ცოტა ტკბილი თაფლი; ეს თაფლი. ეს თაფლი ვისია?
თოვლი თოვლის ბაბუა; თეთრი თოვლი; ბევრი თოვლი; ბევრი თეთრი თოვლი; ამისთანა თოვლი; ამისთანა თოვლი ჯერ არ ყოფილა.	თუთა/თუთები თუთა ხილია; თუთის ხე; შავი თუთა; შავი თუთის ხე; ერთი შავი თუთა; ჩვენი თუთა; ჩვენი თუთის ხე დიდია.	თხა/თხები თხის ბალახი; თეთრი თხა; თეთრი თხის ბალახი; ორი თხა; ორი თეთრი თხა; ის თხა; თხა შინაური ცხოველია; ის თხა ჩვენი არ არის.

-ო-

ია/იები	ისტორია/ისტორიები	ინჟინერი/ინჟინერები
----------------	--------------------------	----------------------------

<p><u>იების</u> თაიგული; <u>ლამაზი</u> ია; ლამაზი იების თაიგული; <u>ბევრი</u> ია; ბევრი ლამაზი ია; <u>მათი</u> ია; ეს იები მათია.ია გაზაფხულის ყვავილია.</p>	<p><u>ისტორიის</u> წიგნი; <u>საინტერესო</u> ისტორია; საინტერესო ისტორიის წიგნი; <u>არა ერთი</u> ისტორია; <u>მისი</u> ისტორია; მას არა ერთი საინტერესო ისტორია აქვს.</p>	<p><u>ინჟინრის</u> სახლი; <u>ჭკვიანი</u> ინჟინერი; <u>რამდენიმე</u> <u>ჭკვიანი</u> ინჟინერი; რამდენიმე <u>ჭკვიანი</u> ინჟინრის სახლი; ეს ინჟინერია. ეს ინჟინერი <u>ჭკვიანია</u>.</p>
---	--	--

-3-

<p>კაბა/კაბები <u>კაბის</u> ქსოვილი; <u>წითელი</u> კაბა; წითელი კაბის ქსოვილი; <u>ერთი</u> კაბა; ერთი წითელი კაბა; ჩემი კაბა; ეს წითელი კაბა ჩემია.</p>	<p>კალამი/კალმები <u>კალმის</u> ყუთი; <u>ლურჯი</u> კალამი; ლურჯი კალმის ყუთი; <u>ოთხი</u> კალამი; ოთხი ლურჯი კალამი; <u>მისი</u> კალამი; მისი ლურჯი კალმები ყუთშია.</p>	<p>კარადა/კარადები <u>კარადის</u> თარო; <u>მაღალი</u> კარადა; მაღალი კარადის თარო; <u>ექვსი</u> კარადა; ექვსი მაღალი კარადა; <u>შენი</u> კარადა; ეს მაღალი კარადა შენია?</p>
<p>კატა/კატები <u>კატის</u> კნუტი; <u>მსუქანი</u> კატა; მსუქანი კატის კნუტი; <u>ორი</u> კატა; ორი მსუქნი კატის კნუტი; ეს კნუტები; ეს კნუტები მსუქანი კატისაა; კატა შინაური</p>	<p>კაცი/კაცები <u>კაცის</u> სახლი; <u>დაბალი</u> კაცი; დაბალი კაცის სახლი; <u>სამი</u> კაცი; სამი დაბალი კაცი; <u>ეს</u> კაცი; ეს კაცები ვინ არიან?</p>	<p>კლასი/კლასები <u>კლასის</u> კარი; <u>სუფთა</u> კლასი; სუფთა კლასის კარი; <u>ოცდაათი</u> კლასი; ოცდაათი სუფთა კლასი; <u>ჩვენი</u> კლასი; ჩვენი სუფთა კლასი მეორე სართულზეა.</p>

ცხოველია.		
-ლ-		
ლექსი/ლექსები <u>ლექსის</u> სტროფი; <u>საინტერესო</u> ლექსი; საინტერესო ლექსის სტროფი; <u>ერთი</u> ლექსი; ერთი საინტერესო ლექსი; <u>ეს</u> ლექსი; ეს ლექსი არის საინტერესო.	ლიმონი/ლიმონები <u>ლიმონის</u> ხე; <u>მჟავე</u> ლიმონი; მჟავე ლიმონის ჩაი; <u>ორი</u> ლიმონი; ორი მჟავე ლიმონი; <u>მისი</u> ლიმონი; ლიმონი ციტრუსია; ეს არის ლიმონი ხეა.	ლომი/ლომები <u>ლომის</u> ბოკვერი; <u>დიდი/მტაცებელი</u> ლომი; დიდი ლომის ბოკვერი; <u>რვა</u> ლომი; რვა დიდი ლომი; <u>ის</u> ლომი; ლომი გარეული ცხოველია; მტაცებელი ლომები გალიაში არიან.
-მ-		
მამა/მამები <u>მამის</u> მანქანა; <u>მოხუცი</u> მამა; მოხუცი მამის მანქანა; ეს არის მამაჩემის მანქანა. ის ვისი მამაა? ის ნინოს მამაა; ნინოს მამა არის მოხუცი.	მანქანა/მანქანები <u>მანქანის</u> საჭე; <u>შავი</u> მანქანა; შავი მანქანის საჭე; <u>ორი</u> მანქანა; ორი შავი მანქანა; <u>ჩვენი</u> მანქანები; ჩვენი მანქანები არის შავი.	მეგობარი/მეგობრები <u>მეგობრის</u> სახლი; <u>ერთგული</u> მეგობარი; ერთგული მეგობრის სახლი; <u>ორი</u> მეგობარი; ორი ერთგული მეგობარი; <u>ჩემი</u> მეგობარი; თამარი არის ჩემი მეგობარი.
მელია/მელიები <u>მელიის</u> ქურქი; <u>პატარა</u> მელია; <u>ბევრი</u> მელია; ბევრი პატარა მელია; ის მელია; მელია	მუშა/მუშები <u>მუშის</u> სახლი; <u>მშრომელი</u> მუშა; მშრომელი მუშის სახლი; <u>ოცი</u> მუშა; ოცი მშრომელი მუშა;	მუხა/მუხები <u>მუხის</u> ხე; <u>დიდი</u> მუხა; დიდი მუხის ხე; <u>ათი</u> მუხა; ათი დიდი მუხა;

ცხოველია; მელიები ტყეში არიან.	ის მუშა; ის მშრომელი მუშა ქარხანაშია.	ეს მუხა; ჩვენს ეზოში არის დიდი მუხის ხე.
-----------------------------------	---	--

-ნ-

ნავი/ნავეები	ნაყინი	ნესვი/ნესვები
ნავის ნიჩაბი; <u>პატარა</u> ნავი; <u>ორი</u> ნავი; ორი პატარა ნავი; ორი პატარა ნავის ნიჩაბი; <u>ჩვენი</u> ნავი; ჩვენი ორი პატარა ნავი; ჩვენი ნავეები ზღვაშია.	<u>ნაყინის</u> ტორტი; <u>ხილის/გემრიელი</u> ნაყინი; გემრიელი ნაყინის ტორტი; <u>ხუთი</u> ნაყინი; ხილის ხუთი ნაყინი; <u>შენი</u> ნაყინი; ეს არის შენი ნაყინი?	<u>ნესვის</u> ნაყინი; <u>ტკბილი</u> ნესვი; ტკბილი ნესვის ნაყინი; <u>ბევრი</u> ნესვი; ბევრი ტკბილი ნესვი; ეს ნესვი; ეს ნესვი ყვითელია.

-ო-

ოთახი/ოთახები	ოქრო	ოჯახი/ოჯახები
<u>ოთახის</u> კარი; <u>ნათელი</u> აოთახი; ნათელი ოთახის კარი; <u>ოთხი</u> ოთახი; ოთხი ნათელი ოთახი; <u>მისი</u> ოთახი; მისი ოთახი არის ნათელი. ჩვენი ოთახი პირველ სართულზეა.	<u>ოქროს</u> ბეჭედი; ძვირფასი ოქრო; ძვირფასი ოქროს ბეჭედი; <u>ერთი</u> ბეჭედი; ერთი ძვირფასი ბეჭედი; <u>ჩემი</u> ბეჭედი; ჩემი ძვირფასი ბეჭედი ლამაზია.	<u>ოჯახის</u> დიასახლისი; <u>დიდი</u> ოჯახი; ძმის დიდი ოჯახი; <u>ხუთი</u> ოჯახი; ხუთი დიდი ოჯახი; <u>ჩემი</u> ოჯახი; ჩემი ძმის დიდი ოჯახი; შენი ოჯახი დიდია?

-პ-

პაპა/პაპები	პეპელა/პეპლები	პური/პურები
პაპას სახლი;	<u>პეპლის</u> ფრთა;	<u>პურის</u> მაღაზია.
<u>მზრუნველი</u> პაპა;	<u>ჭრელი</u> პეპელა;	რბილი პური;
მზრუნველი პაპას სახლი;	ჭრელი პეპლის ფრთა;	<u>ცხრა</u> პური;
<u>სამი</u> პაპა;	<u>ბევრი</u> პეპელა;	ცხრა რბილი პური;
სამი მზრუნველი პაპა;	ბევრი <u>ჭრელი</u> პეპელა;	<u>ჩვენი</u> პური;
<u>ვისი</u> პაპა?	<u>ის</u> პეპელა;	ჩვენი რბილი პური
ეს არის ჩემი პაპა.	ის პეპელა <u>ჭრელია</u> ;	კარადაშია.
		პური საჭმელია.

-ჟ-

ჟირაფი/ჟირაფები	ჟოლო/ ჟოლოები	ჟურნალი/ჟურნალები
<u>ჟირაფის</u> გალია;	<u>ჟოლოს</u> მურაბა;	<u>ჟურნალის</u> გვერდი;
<u>დიდი</u> ჟირაფი;	<u>მწიფე</u> ჟოლო;	<u>ფერადი</u> ჟურნალი;
დიდი ჟირაფის გალია;	მწიფე ჟოლოს მურაბა;	ფერადი ჟურნალის გვერდი;
<u>ცხრა</u> ჟირაფი;	<u>ბევრი</u> ჟოლო;	<u>ცოტა</u> ჟურნალი;
ცხრა დიდი ჟირაფი;	<u>ეს</u> ჟოლო;	მათი ჟურნალები;
<u>ის</u> ჟირაფი;	ეს ჟოლო <u>ტკბილია</u> ?	მათი ფერადი ჟურნალები
ჟირაფი ცხოველია.		არის მაგიდაზე.
ის ჟირაფი არის გალიაში.		

-რ-

რვეული/რვეულები	რუკა/რუკები	რძე
<u>რვეულის</u> ფურცელი;	საქართველოს რუკა;	<u>რძის</u> ნაწარმი;
<u>თხელი</u> რვეული;	<u>პატარა</u> რუკა;	გემრიელი რძე;
თხელი რვეულის	საქართველოს პატარა	<u>ცოტა</u> რძე;
ფურცელი;	რუკა;	<u>ის</u> რძე;
<u>შვიდი</u> რვეული;	<u>ორი</u> რუკა;	ის რძე გემრიელია; ჩვენს
შვიდი თხელი რვეული;	ორი ქვეყნის რუკა;	მარკეტში არის გემრიელი

<p><u>ის რვეული;</u> ის არის შენი რვეული?</p>	<p><u>ჩვენი რუკა;</u> ის არის საქართველოს რუკა.</p>	<p>რძე; რძიანი შოკოლადი გემრიელია.</p>
-ს-		
<p><u>საათი/საათები</u> <u>საათის</u> ისარი; კედლის საათი; <u>ლამაზი</u> საათი; კედლის ლამაზი საათი; <u>შვიდი</u> საათი; შვიდი კედლის საათი; <u>მათი</u> საათები; მათი საათები ლამაზია.</p>	<p><u>სადილი/სადილები</u> <u>სადილის</u> დრო; გემრიელი სადილი; გემრიელი სადილის დროა. მისი სადილი; მისი სადილი გემრიელი არ არის.</p>	<p><u>სათამაშო/სათამაშოები</u> სათამაშოების მაღაზია; <u>ლამაზი</u> სათამაშო; <u>ლამაზი</u> სათამაშოების მაღაზია; გიორგის ლამაზი სათამაშო; <u>ცოტა</u> სათამაშო; გიორგის ცოტა სათამაშო აქვს. ეს არის ჩვენი სათამაშოები.</p>
<p><u>სათვალე/სათვალეები</u> მზის სათვალე; <u>შავი</u> სათვალე; შავი მზის სათვალე; <u>ორი</u> სათვალე; ორი შავი სათვალე; <u>მისი</u> სათვალე; მას შავი მზის სათვალე აქვს.</p>	<p><u>სახლი/სახლები</u> ხის სახლი; <u>ორსართულიანი</u> სახლი; ორსართულიანი ხის სახლი; <u>სამი</u> სახლი; სამი ორსართულიანი სახლი; <u>ჩემი</u> სახლი; სოფელში ჩემი სახლი ორსართულიანია.</p>	<p><u>სპილო/სპილოები</u> <u>სპილოს</u> გალია; <u>დიდი</u> სპილო; დიდი სპილოს გალია; <u>თხუთმეტი</u> სპილო; თხუთმეტი სპილოს გალია; <u>ეს</u> სპილო; სპილო ცხოველია; სპილოები ზოოპარკში არიან.</p>
-ტ-		
<p><u>ტანსაცმელი/ტანსაცმლები</u></p>	<p><u>ტელეფონი/ტელეფონები</u></p>	<p><u>ტიტა/ტიტები</u></p>

<p><u>ტანსაცმლის</u> მაღაზია; <u>თბილი</u> ტანსაცმელი; თბილი ტანსაცმლების მაღაზია; <u>ბევრი</u> ტანსაცმელი; ბევრი თბილი ტანსაცმლის მაღაზია; <u>მათი</u> ტანსაცმელი; მათ თბილი ტანსაცმელი აქვთ.</p>	<p><u>ტელეფონის</u> ნომერი; <u>შავი</u> ტელეფონი; შავი ტელეფონის ნომერი; <u>ერთი</u> ტელეფონი; ერთი შავი ტელეფონი; <u>ჩვენი</u> ტელეფონები; ჩვენ შავი ტელეფონები გვაქვს.</p>	<p>ტიტების თაიგული; <u>წითელი</u> ტიტა; <u>ხუთი</u> ტიტა; ხუთი წითელი ტიტა; <u>ის</u> ტიტა; ის წითელი ტიტა ლამაზია. ტიტა გაზაფხულის ყვავილია; ჩემს მეგობარს ლამაზი ტიტების ბალი აქვს.</p>
---	---	--

-უ-

<p>უბანი/უბნები უბნის მისამართი; <u>ქალაქის</u> უბანი; ქალაქის ხმაურიანი უბანი; <u>რამდენიმე</u> უბანი; რამდენიმე ახალი უბანი; <u>ჩვენი</u> უბანი; ჩვენი უბანი არ არის ხმაურიანი.</p>	<p>უთო/უთოები <u>უთოს</u> ფასი; <u>ცხელი</u> უთო; <u>ორი</u> უთო; ორი ცხელი უთო; <u>მისი</u> უთო; მისი უთო არის ცხელი.</p>	<p>ურო/უროები უროს ტარი; მძიმე ურო; ბევრი ურო; ბევრი მძიმე ურო; ჩემი ურო; ჩემი მძიმე ურო; მე მაქვს მძიმე ურო.</p>
--	---	---

-ფ-

<p>ფანქარი/ფანქრები ფანქრის ყუთი; <u>შავი</u> ფანქარი; შავი ფანქრის ყუთი; <u>ბევრი</u> ფანქარი; <u>ბევრი</u> შავი ფანქრის ყუთი; <u>მისი</u> ფანქარი;</p>	<p>ფანჯარა/ფანჯრები ფანჯრა; <u>ახალი</u> ფანჯარა; სახლის ახალი ფანჯარა; <u>ათი</u> ფანჯარა; <u>ის</u> ფანჯარა; ჩვენს სახლს ათი ფანჯარა</p>	<p>ფარდა/ფარდები <u>ფარდის</u> ქსოვილი; <u>გრძელი</u> ფარდა; გრძელი ფარდის ქსოვილი; <u>ორი</u> ფარდა; ორი გრძელი ფარდა; ეს ფარდა;</p>
---	---	--

მისი შავი ფანქრის ყუთი არის კარადაში.	აქვს.	ეს ფარდა გრძელია?
ფოთოლი/ფოთლები ფოთლის ფერი; <u>მწვანე</u> ფოთოლი; ვაზის მწვანე ფოთოლი; <u>ბევრი</u> ფოთოლი; ბევრი მწვანე ფოთოლი; <u>ის</u> ფოთოლი; ის არის ვაზის ფოთოლი. ფოთოლი არის ხეზე.	ფორთოხალი/ფორთოხლები <u>ფორთოხლის</u> წვენი; <u>მჟავე</u> ფორთოხალი; მჟავე ფორთოხლის წვენი; <u>ხუთი</u> ფორთოხალი; ხუთი ფორთოხლის წვენი; ვისი ფორთოხალი? ეს ვისი ფორთოხალია?	ფული/ფულები ფულის ერთეული; <u>ქართული</u> ფული; ლარი ქართული ფულია; საქართველოში ფულის ერთეული ლარია. <u>ბევრი</u> ფული. ბანკში ბევრი ფული არის.

-ქ-

ქათამი/ქათმები <u>ქათმის</u> ხორცი; შემწვარი ქათამი; შემწვარი ქათმის ხორცი გემრიელია; <u>ბევრი</u> ქათამი; ეზოში არის ბევრი ქათამი; ის ქათამი ბებოსია. ქათამი შინაური ფრინველია;	ქარი/ქარები ქარის წისქვილი; ქარიანი ამინდი; <u>ძლიერი</u> ქარი; დღეს ქარიანი ამინდია/დღეს ძლიერი ქარია; ქარის წისქვილი კარგია.	ქარხანა/ქარხნები <u>ქარხნის</u> მუშა; <u>ძველი</u> ქარხანა; ძველი ქარხნის მუშა; <u>ათი</u> ქარხანა; ათი ძველი ქარხანა; <u>ის</u> ქარხანა; ის ქარხანა ქალაქშია; ეს ჩვენი ქარხნის მუშები არიან.
ქვა/ქვები ქვის სახლი; <u>პატარა</u> ქვა; ქვის პატარა სახლი; <u>ბევრი</u> ქვა; ბევრი პატარა ქვა; <u>ის</u> ქვები ;	ქლიავი/ქლიავები <u>ქლიავის</u> ჩირი; <u>ტკბილი</u> ქლიავი; ტკბილი ქლიავის ჩირი; <u>ბევრი</u> ქლიავი; ბევრი ტკბილი ქლიავი;	ქუჩა/ქუჩები ქუჩის განათება; <u>გრძელი</u> ქუჩა; <u>გრძელი</u> ქუჩის განათება; <u>ერთი</u> ქუჩა; ერთი გრძელი ქუჩა; <u>ჩემი</u> ქუჩა;

<p>ის ქვეები დიდი არ არის; ჩემს სოფლში ბევრი ქვის სახლი არის.</p>	<p><u>ის ქლიავი</u>; ქლიავი ხილია; ის არის ქლიავის დიდი ხე.</p>	<p>ჩემი ქუჩა არის უნივერსიტეტთან ახლოს.</p>
-ღ-		
<p>ღამე/ღამეები ღამის პეიზაჟი; თეთრი ღამეები; გრძელი თეთრი ღამეები; ეს არის თეთრი ღამეები;</p>	<p>ღორი/ღორები ღორის ხორცი; მსუქანი ღორი; სამი მსუქანი ღორი; ეს არის ღორის ხორცი; ღორი შინაური ცხოველია.</p>	<p>ღილი/ღილები ღილის ფერი; თეთრი ღილი; ხუთი ღილი; ხუთი თეთრი ღილი; ეს ღილი; ეს ღილი თამარისაა.</p>
-ყ-		
<p>ყავა/ყავები <u>ყავის</u> ჭიქა; ხსნადი ყავა/თურქული ყავა; <u>ოთხი</u> ყავა; ოთხი თურქული ყავა; ეს ყავა; ეს თურქული ყავა ტკბილია; ეს ხსნადი ყავა გემრიელი არ არის.</p>	<p>ყვავილი/ყვავილები <u>ყვავილების</u> თაიგული; <u>ფერადი</u> ყვავილები; ფერადი ყვავილების თაიგული; <u>ბევრი</u> ფერადი ყვავილების თაიგული; <u>ვისი</u> ყვავილი? ეს მინდვრის ყვავილები ვისია?</p>	<p>ყველი <u>ყველის</u> სალათი; <u>გემრიელი</u> ყველი; გემრიელი ყველის სალათი; რამდენიმე ყველი; რამდენიმე ყველის სალათი; <u>ის</u> ყველი; ის არის ყველის სალათი.</p>
-შ-		
<p>შაქარი <u>შაქრის</u> ფხვნილი;</p>	<p>შვილი/შვილები <u>შვილის</u> დაბადების დღე;</p>	<p>შოთი/შოთები <u>შოთის</u> პური;</p>

ტკბილი შაქარი;	კარგი შვილი;	ცხელი შოთის პური;
ტკბილი შაქრის ფხვნილი;	ბევრი შვილი;	ცხრა შოთი;
ცოტა შაქარი;	ბევრი შვილი კარგია;	ცხრა ცხელი შოთის პური;
ეს არის შაქარი;	მათი შვილები;	მისი შოთის პური;
ის არის შენი შაქრიანი ჩაი.	დღეს მათი შვილების დაბადების დღეა.	მისი შოთის პური გემრიელია.

-ჩ-

ჩაი	ჩანთა/ჩანთები	ჩარჩო/ჩარჩოები
ჩაის ჭიქა;	ჩანთის ფერი;	ჩარჩოს ფორმა;
ცხელი ჩაი;	ლურჯი ჩანთა;	ლამაზი ჩარჩოს ფორმა;
ორი ჩაი;	სამი ჩანთა;	სურათის ლამაზი ჩარჩო;
ორი ცხელი ჩაი;	სამი ლურჯი ჩანთა;	ექვსი ჩარჩო;
ორი ცხელი ლიმონიანი ჩაი;	ჩემი ჩანთა;	ექვსი ლამაზი ჩარჩო;
ის ჩაი ;	ჩემი ლურჯი ჩანთა	თქვენი ჩარჩო;
ის ცხელი ლიმონიანი ჩაი დედასია.	მაგიდაზეა.	თქვენი სურათის ჩარჩო მაგიდაზე არის.
ჩემოდანი/ჩემოდნები	ჩირი/ჩირები	ჩურჩხელა/ჩურჩხელები
ჩემოდნის ზომა;	ჩირის კომპოტი;	ჩურჩხელის გემო;
შავი ჩემოდანი;	გემრიელი ჩირი;	ტკბილი ჩურჩხელა;
დიდი ზომის ჩემოდანი;	გემრიელი ჩირის კომპოტი;	ექვსი ჩურჩხელა;
შვიდი ჩემოდანი;	ბევრი ჩირი;	ექვსი ტკბილი ჩურჩხელა;
შვიდი შავი ჩემოდანი;	ბევრი გემრიელი ჩირი;	ბებოს ჩვენთვის ბევრი ჩურჩხელა აქვს.
ის ჩემოდანი;	ასეთი ჩირი;	
ის ჩემოდანი მძიმე არ არის;	ვაშლის ჩირი კალათაშია.	

-ც-

ცარცი/ცარცები ცარცის ფერი; <u>თეთრი</u> ცარცი; <u>ღრი</u> ცარცი; ორი თეთრი ცარცი; <u>ეგ</u> ცარცი; ეგ არის დაფის ცარცი.	ცხენი/ცხენები <u>ცხენის</u> უნაგირი; <u>თეთრი</u> ცხენი; თეთრი ცხენის უნაგირი; <u>ათი</u> ცხენი; ათი თეთრი ცხენი; <u>რამდენი</u> ცხენი? მას ათი თეთრი ცხენი ჰყავს. ცხენი ცხოველია;	ცხოველი/ცხოველები <u>ცხოველის</u> გალია; <u>გარეული</u> ცხოველები; გარეული ცხოველების გალია; <u>ათი</u> ცხოველი; ათი გარეული ცხოველი; ეს ცხოველები; ეს ცხოველები ჩვენს ზოოპარკში არიან.
--	---	---

-ძ-

ძალი/ძალები ძალის ბუნაგი; ავი ძალი; ავი ძალის ბუნაგი; ხუთი ძალი ხუთი ავი ძალი; ავი ძალები ბუნაგშია; ეს არის ჩემი ძალი; ძალი შინაური ცხოველია.	-ძმა/ძმები <u>ძმის</u> სახლი; <u>კეთილი</u> ძმა; კეთილი ძმის სახლი; <u>სამი</u> ძმა; სამი კეთილი ძმა; <u>მისი</u> ძმა; მისი ძმა კეთილია.	ძეხვი/ძეხვები <u>ძეხვის</u> მაღაზია; <u>გემრიელი</u> ძეხვი; გემრიელი ძეხვების მაღაზია; <u>ღრი</u> ძეხვი; ორი გემრიელი ძეხვი; <u>ის</u> ძეხვი; ის ძეხვი ახალი არ არის.
--	--	---

-წ-

წამალი/წამლები <u>წამლის</u> აბი; <u>მწარე</u> წამალი; <u>ერთი</u> წამალი; ერთი მწარე წამალი; <u>ეს</u> წამალი;	წიგნი/წიგნები <u>წიგნების</u> თარო; <u>საინტერესო</u> წიგნი; საინტერესო წიგნების თარო; <u>რამდენიმე</u> წიგნი; რამდენიმე საინტერესო	წერილი/წერილები მამის წერილი; ახალი წერილი; მამაჩემის ახალი წერილი; ორი წერილი; მამაჩემის ორი ახალი
---	---	---

ეს მწარე წამალი აფთიაქშია.	წიგნი; <u>მათი</u> წიგნები; მათ საინტერესო წიგნები არ აქვთ.	წერილი; ეს წერილები; ეს წერილები მამაჩემისაა.
----------------------------	---	---

-ჭ-

ჭერი ჭერის სიმაღლე; ოთახის ჭერი; <u>მაღალი</u> ჭერი; ოთახის მაღალი ჭერი; <u>ერთი</u> ჭერი; <u>ერთი</u> ოთახის ჭერი; ეს ჭერი; ეს ჭერი მაღალი არ არის.	ჭიქა/ჭიქები ჭიქის ფორმა; წყლის ჭიქები; <u>ლამაზი</u> ჭიქა; <u>თორმეტი</u> ჭიქა; თორმეტი ლამაზი ჭიქა; <u>მისი</u> ჭიქა; მისი ჭიქები თაროზეა; ჭიქა ჭურჭელია.	ჭურჭელი/ჭურჭლები <u>ჭურჭლის</u> კარადა; <u>ძვირფასი</u> ჭურჭელი; ძვირფასი ჭურჭლის კარადა; <u>ბევრი</u> ჭურჭელი; <u>კარადაში არის ბევრი</u> ჭურჭელი; ეს <u>მათი</u> ჭურჭელია; ჭურჭელი არის სამზარეულოში.
---	---	---

-ხ-

ხე/ხეები <u>ხის</u> სახლი; <u>დიდი</u> ხე; დიდი ხის სახლი; <u>თხუთმეტი</u> ხე; პარკში თხუთმეტი ხე არის; <u>ეს</u> ხე; ეს ხე მაღალია; ტყეში არის ბევრი ხე.	ხილი <u>ხილის</u> ჩირი; <u>მწიფე</u> ხილი; მწიფე ხილის ჩირი; <u>ბევრი</u> ხილი; ბევრი მწიფე ხილი; ბაზარში არის გემრიელი ხილი; მას ხილის ჩირი აქვს.	ხიდი/ხიდები <u>ხიდის</u> სურათი; რკინის ხიდი; <u>ორი</u> ხიდი; ორი რკინის ხიდი; <u>ის</u> ხიდი; ის რკინის ხიდი ახალია; ჩემს სოფელში ორი დიდი ხიდი არის.
---	--	---

-ჯ-		
<p>ჯობი/ჯობები</p> <p>ბაბუას ჯობი;</p> <p><u>მოკლე</u> ჯობი;</p> <p>ბაბუას მოკლე ჯობი;</p> <p><u>ოთხი</u> ჯობი;</p> <p>ოთხი მოკლე ჯობი;</p> <p><u>მათი</u> ჯობები;</p> <p>მათ ოთხი ჯობი აქვთ.</p>	<p>ჯიბე/ჯიბეები</p> <p><u>ფართო</u> ჯიბე;</p> <p>ჯიბის ფული;</p> <p><u>ერთი</u> ჯიბე;</p> <p>ერთი ფართო ჯიბე;</p> <p><u>ეს</u> ჯიბე;</p> <p>ეს არის ფართო ჯიბე;</p> <p>მას აქვს ჯიბეებიანი შარვალი.</p>	<p>ჯამი/ჯამები</p> <p><u>ჯამის ფორმა</u>;</p> <p><u>ხის</u> ჯამი;</p> <p><u>ღრმა</u> ჯამი;</p> <p>ხის ღრმა ჯამი;</p> <p><u>ორი</u> ჯამი;</p> <p>ორი ღრმა ჯამი;</p> <p><u>ეს</u> ჯამი;</p> <p>ეს ღრმა ჯამები თაროზეა.</p>
-კ-		
<p>ჰაერი</p> <p>ჰაერის ნაკადი;</p> <p>სუფთა ჰაერი;</p> <p>ეს არის სუფთა ჰაერია;</p> <p>საქართველოში კარგი ჰაერია.</p>	<p>ჰამაკი/ჰამაკები</p> <p><u>ჰამაკის</u> ადგილი;</p> <p>ახალი ჰამაკი;</p> <p><u>შვიდი</u> ჰამაკი;</p> <p>შვიდი ახალი ჰამაკი;</p> <p><u>თავისი</u> ჰამაკი;</p> <p>ის თავისს ჰამაკშია;</p>	